FRLEDRICH
EBERT
STIFTUNG

დიალოგი წინასაარჩევნო პერიოდში
პოლიტიკური პარტიების
წარმომადგენლებსა და საზოგადოებას შორის

თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
სტუდენტთა საინიციატივო
ჯგუფი

ფრიდრიხ ებერტის
ფონდი

პროექტის ავტორები

ლევან პაჭკორია
ლაშა ბლიაძე
ბაქარ ბერეკაშვილი

დიალოგი წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და საზოგადოებას შორის

თბილისი
2004

FRLEDRICH EBERT STIFTUNG

ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში

მოდერატორი: ლევან პაჭკორია
რედაქტორი: მიხეილ ბეროშვილი

კორექტორი: გივი ლუარსაბიშვილი

წინასიტყვაობა

დიალოგი წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა და საზოგადოებას შორის

როგორც ხელისუფლების ასევე პოლიტიკური პარტიების მიმართება საზოგადოებასთან არის არა დიალოგიური არამედ პროპაგანდისტური.

არსად არანაირი ფორმით არ ხორციელდება კონსტრიქციული დიალოგი საზოგადოებასა და ხელისუფლებას, საზოგადოებასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის.მაშასადამე შეიძლება ვილაპარაკოთ საზოგადოებასა და საზოგადოებრივი აზრის სრულ დაქსასულობაზე.

მასმედია ძირითადად ასახავს ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების მიერ ერთმანეთის დისკრედიტაციას ან მთელი პოლიტიკური სპექტრის მიმართ უკიდურესი უნდობლობითა და უპატივცემულობით განწყობილი საზოგადოებისა და ჟურნალისტების ნაკლებ კონსტრუქციულ აზრებს.

საზოგადოების მოაზროვნე, განათლებული და მოქალაქეობრივად.
განვითარებულ ნაწილს შეუძლია გარკვეული დადებითი ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკოსებზე თუკი მათთან უშუალო დიალოგის საშუალება ექნება.

მასმედია ასეთი დიალოგიისა და ასეთი ზემოქმედების საშუალებას არ იძლევა.

ჩვენი აზრით საერთოდ, წინასაარჩევნო პერიოდში, მით უფრო ისეთი უკიდურესი დაძაბულობის ვითარებაში, რაც ახლა წარმოიქმნა, - აუცილებელია პოლიტიკურ ძალებთან კონსტრიქციული დიალოგი. და დიალოგისთვის შესაფერისი სივრცის შექმნა.

ამგვარი შეხვედრებსა და საუბრებს შეუძლია შექმნილი დაძაბულობის განმუხტვა და პოლიტიკოსთა პასუხისმგებლობის გაზრდა; მასალის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი მენტალობის კვლევისთვის.

პროექტი ხორციელდებოდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 30 იანვრიდან, 19 მარტამდე. პროექტის მხარდაჭერისთვის დიდ მადლობას ვუხდით: ქ-ნ ია თიკანაძეს – ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობას საქართველოში – დირექტორი, თსუ –ს ადმინისტრაციას, ასევე დიდ მადლობას მოვახსენებთ, ბ- ნ ოლეგ ნამიჩეიშვილს – ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორს.
ასევე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით: ქ-ნანა კაკაბაძეს – “ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის” და ბ- ნ გია ჟორჟოლიანს, ასევე “ საზოგადოების კვლევის ცენტრს” თანადგომისათვის.

ლევან პაჭკორია

აკაკი ასათიანი
ედპ ტრადიციონალისტები

30.01.2004

პარტიის პოლიტიკური მიმართულება და ძირითადი პრინციპები:
ეს არის კლასიკური მემარჯვენე ტიპის პარტია. ქართული სპეციფიკიდან გამომდინარე მე არ მგონია, რომ ამდენად თანმიმდევრული ამ მიმართულების პარტია არსებობდეს. ეს შეიძლება ჩემი პირადი აზრია, მაგრამ ქართული პოლიტიკური ცხოვრების ხანმოკლე ისტორია ამას ადასტურებს. რაც შეეხება პრინციპებს, ჩემი პარტიისთვის ის შემდეგნაირია: კოლმა ჩამოაყალიბა კარგად ეს პრინციპები:

პლურალისტური დემოკრატია
თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა
ტრადიციული ფასეულობები

ყოველ ქვეყანაში მემარჯვენეობას თავისი სპეციფიკა აქვს, ალბათ საქართველოშიც, მაგრამ ეს სამი პრინციპი ჩემთვის ძალზედ ტევადია.

ბატონო კაკო რაც შეეხება პარტიის საქმიანობას:

14 წელია ჩვენ ვცდილობთ, ეს ქვეყანა დამოუკიდებელი იყოს, მოექცეს რაღაც ნორმებში. ეს შეიძლება მოხერხდეს ერთის მხრივ უნივერსალური გამოცდილების გამოყენებით, რომელიც ცივილიზებულმა კაცობრიობამ შეიმუშავა და მეორე მხრივ საკუთარი ისტორიული გამოცდილებისა და ამოცანების მიხედვით. აუცილებელი პირობა იყო დამოუკიდებლობა. ჩვენ დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში ვმონაწილეობდით. ეროვნული მოძრაობის დონეზეც, შემდეგ ხელიუფლებაშიც, რომელმაც დამოუკიდებლობას მიაღწია. ასევე ჩვენ წვლილი შევიტანეთ იმაში, რომ კონსტიტუცია მიგვეღო და საერთოდ ამ სახელმწიფოს რაღაც სახე მიეღო, თუმცა უნდა გითხრათ, რომ ამ საქმეში დიდ წარმატებებს ვერ მივაღწიეთ. მიგვაჩნია, რომ კონკურენცია კერძო საკუთრება ეკონომიკაში არის ძირითადი პირობა ადამიანის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის. ეს ჩვენ გვესმის და ამაში ვერასდროს ვერავინ ვერ გადაგვარწმუნებს. მე არ მიმაჩნია, რომ სოციალური დაცვის უზრუნველყოფა არის ადამიანის ღირსების უზრუნველყოფა. მე მგონია, რომ ეს მათხოვრისა და მონათფლობელის ურთიერთობაა. თავისუფალი ადამიანები ცხოვრობენ საკუთარი შრომით. სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები სადღაც შრომას აზრი აქვს.

მიზანი, მრწამსი:

ჩვენ თითქმის ყველა არჩევნებში ვმონაწილეობდით. რევოლუციებში მონაწილეობა არ მიგვიღია. ამ რევოლუციაშიც ჩვენი ღვაწლი ძალიან დოზირებული იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს რეჟიმი უნდა დასრულებულიყო. ახლა კი ვიცით, რომ ახალი რეჟიმიც ძალიან მალე უნდა დასრულდეს, რადგან ესეც შევარდნაძის რეჟიმის გაგრძელებაა.ჩვენ ხელს შეუწყობთ ამ რეჟიმის მალე დასრულებას, იმიტომ, რომ არაფერი არ იცვლება, შეიცვალა მხოლოდ ხელისუფლება, სახეები ხელისუფლებაში. ვერავინ ვერ ხედავს იმას, რომ ეს იყო სისტემის და არა შევარდნაძის კრახი. ახალ ხელისუფალთ პირადი ურთიერთობები ჰქონდათ შევარდნაძესთან, მე კი არაფერი მქონდა მასთან გასაყოფი, მე შევარდნაძესთან სადაო ის მქონდა, რაც მან შექმნა ამ ქვეყანაში და როგორც ჩამოაყალიბა. ამჟერად ეს არის ჩვენი საქმიანობა. ეს იციან მათ, ეს იცის საზოგადოებამ და იცით თქვენც. 10 წელი დაგვჭირდა საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ არ შეიძლება ასეთი სისტემის ჩამოყალიბება ქვეყანაში. მე ვფიქრობ, რომ ახლა 10 წელი საჭირო აღარ იქნება. ეს არის ჩვენი ძირითადი პოლიტიკური მრწამსი, მიზანიც და ამოცანაც.

პარტიის ისტორიიდან თუ შეიძლება გვითხრათ რამე?

პარტია შეიქმნა, უფრო სწორედ აღსდგა 1990 წელს, რადგან თავის დროზე პარტია ემიგრაციაში შექმნეს ეროვნულ – დემოკრატებმა, რითაც ჩვენი გაერთიანება ეროვნულ – დემოკრატებთან ძალზედ ბუნებრივად გამოიყურება. თანაც მათი ლიდერი გია ჭანტურია ყოველთვის მომხრე იყო ჩვენი გაერთიანებისა. 1994 წელს იგი ამას შეეწირა.დამფუძნებელი მოგეხსენებათ სპირიდონ კედია იყო. ასევე ავალიშვილი. მე მეამაყება, რომ რაღაც საერთო მაქვს ამ ადამიანებთან. არა მარტო იმიტომ, რომ მე ქართველი ვარ, არამედ იმიტომაც, რომ მათი საქმის გამგრძელებელი მგონია ჩემი თავი.

დაფინანსების წყაროებს რაც შეეხება, ჩვენ ვკრებთ საწევროებს ჩვენი წევრებისგან. ჩვენ არა ვართ დამოკიდებული რომელიმე ერთ პიროვნებაზე და სახელმწიფოზე, რის გამოც ხშირად პარტიები იძულებულნი ხდებიან გადადგან დამღუპველი ნაბიჯები, რაც ჩვენ ვნახეთ ამ რევოლუციის დროს. ეს რევოლუცია იყო ბუნებრივი მოთხოვნილება ამ საზოგადოებისა. ჩვენი დაფინანსების ძირითადი წყარო არის ეს. მე არც იმას დაგიმალავთ, რომ ამჟამად გაჩნდა ქართული ბუჟუაზია. საკამათოა მისი მანერები, ფორმა, წარმომავლობა. თუმცა ასე იყო ყველგან, მე ვფიქრობ, გარდა ჰოლანდიისა. მე – 16 საუკუნეში ჰოლანდიაში იყო ბუირჟუაზია, მხოლოდ და მხოლოდ შრომით გაჩენილი და ინგლისის ბურჟუაზია ნაწილობრივ.ბურჟუაზია გაჩნდა ჩვენთანაც და მე მგონი ჩვენთანაც ჩნდება ის შეგნებაც, რომ თვითონ კაპიტალისტი კი არ უნდა იყოს პოლიტიკაში, არამედ უნდა არსებობდეს ძალა, პოლიტიკური, თავისუფალი, რომელიც თვითონ დამოუკიდებლად იცავს კაპიტალისტის ინტერესებს და ის ამ პარტიას უნდა ეხმარებოდეს. მე მგონი, ცხოვრება მათ ამას მიახვედრებს. ჩვენთან პოლიტიკა იყო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, მის გასათავისუფლებად გადასახადებისგან. აი, ეს ესმოდათ მათ და როცა ვეუბნებოდი, რომ მე ვიბრძოლებ, რათა მარტო შენი კი არა, ყველას გადასახადი შემცირდეს და არა

გათავისუფლდეს გადასახადებისგან. ეს მათთვის სრულაიდ გაუგებარი იყო. მაგრამ ცხოვრება გვიჩვენებს, რომ თუ ყველას შეუმცირდა გადასახადი, მაშინ მასაც შეუმცირდება.

არჩევნები

ჩვენი პარტია მონაწილეობდა თითქმის ყველა არჩევნებში.დამოუკიდბლადაც, ბლოკებშიც, აქაც, იქაც, წარუმატებლობაც გვქონდა და წარმატებაც. წარუმატებლობა 1995 წელს აიხსნება მხოლოდ გაყალბებით, რომელსაც მაშინ ჰქონდა ადგილი, და რომელსაც ახლა ის ადამიანები ადასტურებენ შეშფოთებით, რომლებიც იმ არჩევნებს აყალბებდენ. მაგალითად ზურაბ ჟვანია და მთელი მოქალაქეთა კავშირი, რომლებიც სხვა სახელწოდებით გაერთიანდნენ. ნებისმიერ ქვეყანაში ესენი ციხეში ისხდებოდნენ, მაგრამ მათ ცოდვები იმით გამოისყიდეს, რომ შევარდნაძე დაამხეს, თუმცა მე არა მგონია, რომ ეს დამხობა იყო. 1990 –ში ჩვენ დავდექით ეროვნული მოძრაობის იმ ფრთასთან ერთად, რომელიც არჩევნების გზით აპირებდნენ ხელისუფლებაში მოსვლას და საკუთარი მიზნების განხორციელებას. ჩვენ დავდექით მაშინ იგივე გია ჭანტურიასთან ერთად, რომელიც პარალელურ კონგრესს ქმნიდა და სხვა გზებს ეძებდა. აი, ამიტომ მივიღეთ 1992 წლის არჩევნებში მონაწილეობდა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში უკანონო ხელისუფლება იყო. რა თქმა უნდა, ბევრ რამეში მართლები იყვნენ დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლები, იგივე ზვიად გამსახურდია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. **ჩვენ იმ არჩევნებში 135 ათასი ხმა დავაგროვეთ, ჯერჯერობით რეკორდული მაჩვენებელი ჩვენი პარტიისათვის და ეს იმ ფონზე, როცა ზვიადისტები მოღალატეებს გვეძახდნენ, ხოლო შევარდნაძისტები – ზვიადისტებს.** ადგილობრივ თვითთმართველობის არჩევნებში 1998 წელს კარგი შედეგი გვქონდა. ბოლოს აღორძინების სახელით ვიყავით, სრულიად შეგნებულად, იმისათვის, რომ დასრულებულიყო ეს ხელისუფლება. მე ვფიქრობ, რომ ეს მოხერხდა. 60 კაცი შევიდა აღორძინების ბლოკის სახელით პარლამენტში, პრინციპში ოპოზიცია სხვა ვარც მოხვდა... ცხადი იყო 7%-იანი ბარიერის პირობებში ვერც მოხვდებოდა. და ეს მნიშვნელოვან წილად ვრცელი თემაა. და ზოგი რამ ისეთი უნდა ითქვას, რაც საზოგადოებისთვის ნაკლებად შესამჩნევი იყო და არის. დაიშალა მოქალაქეთა კავშირი და დამთავრდა ედუარდ შევარდნაძის ეპოქა. რამდენად ესმოდა ეს ასლან აბაშიძეს, არ ვიცი. ეს სხვა საკითხია, მაგრამ მესმოდა მე და ჩემთვის ეს იყო მთავარი. აბაშიძე უნებლიედ გახდა ამის საშუალება და მე არაფერს ცუდს ამაში ვერ ვხედავ. ბიზნესმენებიდან მხოლოდ ისინი გვიკავშირდებიან, ვისაც დაჭერის არ ეშინია საკუთარი ბიზნესის გამო.

რევოლუციის შეფასება

მოგეხსენებათ, ეს იყო წმინდა რევოლუცია, სახალხო პროტესტი. და იგი ამ თვალსაზრისით განსხვავდება 1992 წლისაგან, რომელიც იყო, ტიპიური გადატრიალება. ორივე შემთხვევაში შეთანხმებული იყო გარე ფაქტორები, რომელზეც ხშირად ლაპარაკობენ ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთიც. **უბრალოდ მაშინ რუსეთს ჩაატარებინეს ეს ოპერაცია, ამიტომაც სისხლით და**

ველური ფორმით მოხდა ეს. ამჯერად ოპერაცია აშშ – მ ჩაატარა, ამიტომაც იყო ვარდები და კონცერტები. განსხვავება მათ შორის თვალნათელია და არჩევანი საქართველოსთვის ცხადია, თუ მაინცდამაინც რამე უნდა მოხდეს, ჯობია კონცერტებით, ვიდრე სისხლითა და ზარბაზნებით, როგორც ეს 1992 წელს იყო. ნიშანდობლივია, რომ ერთი და იგივე ხალხი მაშინ მეუბნებოდნენ: აცალე შევარდნაძეს! ახლა მეუბნებიან, აცალე სააკაშვილსო. მე არ ვაცლი სააკაშვილს არც ერთ სულელურ ნაბიჯს, მით უმეტეს, რომ ის ამის საფუძველს იძლევა ყოველ დილით, შუადღისას და საღამოს თავისი გამონათქვამებითა და მოქმედებებით. თუნდაც იმით, რომ არაფერს არ ამბობს. ისე ავირჩიეთ რომ არავინ არ იცის, რა გეგმები აქვს, როგორც მისი მომხრეები ლაპარაკობენ, ის, თურმე, რეფორმებს განახორციელებს. ეს არის საკუთარი უსინდისობის გამართლება. რა რეფორმები უნდა გაატაროს სააკაშვილმა. რაც საარჩევნოდ ჰქონდა ლოზუნგები ნაციონალურ მოძრაობას, მე ვთვლი რომ ეს ტროცკიზმის იქით, მაოიზმში გადადის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის გადასახადების გაუქმებაზე საუბრობს. მე იმედი მაქვს აქ შეკრებილმა საზოგადოებამ იცის, ვინ იყო ტროცკი და მაო ძედუნი. სააკაშვილს ამართლებენ და ამბობენ, რომ საარჩევნოდ სჭირდებოდა ესაო. გასაგებია, მაგრამ პოლიტიკოსმა არ უნდა ითამაშოს გაღატაკებული ადამიანის ქვეგრძნობებზე. დაჭერებზე კი არ უნდა იზრუნოს, არამედ სამართლიანობის აღსადგენად. მთელი დღე არ უნდა ტრიალებდეს ტელევიზიით, საწყალ, გაუბედურებელ, კაკო ჩხაიძეს როგორ ტენიან ვერტრფრენში. მე ეს სიამოვნებას არ მანიჭებს, თუმცა ვთვლი რომ დასაჭერია, ეგეც და ამ ხელისუფლებიდანაც ძალიან ბევრი. როცა ვნახავ იმასაც, თავის ხელისუფლების წარმომადგენლებს როგორ იჭერს, მე დავეთანხმები ამ პროცესებს. მანამდე კი ვთვლი, რომ ალბათ რაღაც სხვა ამოძრავებთ ამ ადამიანებს. კი არ ვთვლი, არამედ ვიცი კიდეც ეს. ამიტომ მე დიდ ილუზიებს არ ვიქმნი ამ ხელისუფლებასთან დაკავშირებით. მე ვწუხვარ და ვეცდები, უბრალოდ, გაჩნდეს პოლიტიკური ალტერნატივა აუცილებლად. მე მარჯვენა ფლანგზე ვეცდები ამას და ალბათ გამომივა ამ ფონზე. მე ვერ ავუხსნი გლეხებს, რომ მიწის გადასახადის გაუქმება ძვირად დაუჯდება საქართველოს უახლოეს მომავალში. მე მაინც გათვლას უფრო ინტელექტუალურ ნაწილზე ვაკეთებ. ღირსების მქონე ადამიანებზე, რადგან ღირსების მქონე ადამიანი ვერ აედევნება იმას, რაც ამ ხელისუფლებას ჰგონია. ეს გამოჩნდება მალე და ამას საკუთარი გამოცდილებაც მკარნახობს. 1991 წელს, როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, ბევრ რამეს სხვანაირად ვუყურებდით და იგივე სისულელეების კეთების გამო დავიღუპეთ. მე ვწუხვარ, რომ მაშინმ ვერ დავუპირისპირდი ზვიად გამსახურდიას, იმიტომ რომ მასთან სხვა სხვა ურთიერთობა მქონდა და უფრო ახალგაზრდაც ვიყავი. ამჯერად ამათთან არანაირი ვალდებულებები და ურთიერთობები არ მაქვს და ჩემი ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის სწორი იქმნება, მათთვისაც სწორი იქნება, თუ პარლამენტში იქნება ოპოზიცია, თუ არ შეიქმნება პოლიტიკური ალტერნატივა იქნება სისხლი, არანაირი ვარდები და მიხასკები, როგორც მოხდა ჩვენს შემთხვევაში. შევარდნაძე გადარჩა და ქვეყანაც იმან გადაარჩინა, რომ არსებობდა პოლიტიკური ალტერნატივა სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდიას დროს შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ შევარდნაძე სადღაც კულისებს მიღმა არსებობდა მაგრამ ასპარეზზე არ ჩანდა, ამიტომაც მოხდა მაშინ ის, რაც მოხდა. ახლაც ასე მოხდება,

იმიტომ რომ თავისთავად იმედგაცრუება იქნება, ცხადია და მაინც მოსალოდნელია სერბიის ვარიანტის მშვიდობიანი ვერსია.

კონსტიტუცია და კონსტიტუციონალიზმი რეფერენდუმის შედეგები, რომელიც 2 ნოემბერს ჩატარდა, პარლამენტის შემცირებას გულისხმობს. პარლამენტი უნდა შემცირდეს. თუ გაყალბდა სხვა შედეგები ანუ პროპორციული და მაჟორიტარების შედეგები, მაშინ რეფერენდუმიც ხელახლა უნდა ჩატარდეს უფრო მკვეთრი ფორმულირებით. რეფერენდუმის ამოცანა მაშინ უფრო სხვა იყო. ეს უფრო შევარდნაძის თამაში იყო. საქართველოს პარლამენტში უნდა იყოს სიით 100 კაცი და 50 მაჟორიტარით დაკომპლექტებული ზედა პალატა. ამისათვის კი საჭიროა, რომ ტერიტორიული მოწყობა იყოს გარკვეული.

პარტიის წინასარჩევნო პროგრამა: ჩვენ სულ ერთი პროგრამა გვაქვს. ვერასოდეს ვერ მოეწყო ეს ქვეყანა ისე, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. მე მგონია, რომ საჭიროა ძირეული სტრუქტურული ცვლილებები და არა ჟვანიას გადაყვანა სახელმწიფო მინისტრის თანამდებობიდან პრემიერ – მინისტრის თანამდებობაზე. არავითარი მუშაობა არ მიდის კონსტრიტუციური ცვლილებების პროექტზე. (მაშინ მიღებული არ იყო) არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა წერია ამ პროექტში. მე მგონია, თვითონაც არ იციან, რა წერია. ჩვენი წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი მიზანია ტერიტორიული მოწყობის გარკვევა. ჩვენ რეგიონალური მოწყობის მომხრე ვართ, ვართ აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების დახვეწის მომხრე. ჩვენ ასევე ვემხრობით მინისტრთა კაბინეტის მოდელს. ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე ვართ ავსტრიულ მოდელთან მიახლობულის, იმიტომ, რომ ზუსტი ასლები არ არსებობს. ჩვენ ყოველთვის დიდ ქვეყნებს ვუყურებთ და გვავიწყდება პატარა ქვეყნების გამოცდილება. ავსტრია ბუნებითაც გვგავს. ზღვაში ვერ გადის, ერთი ეს პრობლემა აქვს, სხვა მხრივ ძალიან საგულისხმოა მათი გამოცდილება. რაც შეეხება ეკონომიკას, აქ არ შეიძლება პოპულისტური ლოზუნგები, მაგრამ რაც არ უნდა არაპოპულარულად ჟღერდეს, ჩვენ ვიბრძოლებთ მიწის გადასახადის გაუქმების წინააღმდეგ. საქართველო ძირითადად აგრარული ქვეყანა იქნება კიდევ დიდი ხნის განმავლობაში. ჯერჯერობით ჩვენი წარმატებული ექსპორტი არის ღვინო, რომელიც სულ უფრო და უფრო წარუმატებელი ხდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიწის გადასახადი უნდა გაიზარდოს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი ის არის, რომ არ მოცდეს მიწა, მფლობელი იძულებული იყოს სულ დაამუშაოს, მაგრამ უნდა შემცირდეს ამ მიწაზე მოწეული პროდუქციის გადასახადი. თუ ვინმეს ეზარება მიწის დამუშავება, მაშინ გაყიდის მიწას. ე. ი. ჩხოროწყუს ბიუჯეტის 90% თუ არა მეტი დგება მიწის გადასახადით. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ცენტრიდან გავიტანთ ტრანსფერებს, და რომ ეს მექრთამეობაა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ცენტრიდან იმართებოდა, საბჭოთა კავშირი იყო, სადაც ყველაფერი ცენტრიდან იგზავნებოდა და ამან დაშალა საბჭოთა კავშირი და არა გამსახურდიამ და შევარდნაძემ. ჩვენ გვეუბნებიან, რომ სოროსი გადაუხდის მინისტრებს ხელფასებს კი ბატონო, სოროსი კარგი კაცია, ვარდები მისი ნაყიდი იყო, მისით ფინანდებოდა რევოლუცია. არ ვედავებით. ბატონი სოროსი დემოკრატი კაცია და ის მართალია, მაგრამ მის ფილანტროფიასაც აქვს ზღვარი. მე არ მინდა, რომ ჩემი ქვეყანა გახდეს მისი ექსპერიმენტების ერთ – ერთი ჯაჭვი სენეგალსა და კამერუნს შორის. მე მას არ დავუშვებ, ერთი რომ

დავრჩე მაინც. მე მჯერა, რომ ჩემი სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბდეს ნორმალურ ქვეყნად. ჩვენ თუ არ მივეჩვიეთ და არ მივაჩვევთ საზოგადოებას ამას, მაშინ არაფერი გამოვა. შევამციროთ გადასახადები მეწარმეებისათვის და ისინი გამოაჩენენ დამალულ თანხებს და ჩვენ იმდენივეს გადავუხდით მინისტრებს, რამდენსაც სოროსი უხდის.

ჩვენი საარჩევნო კამპანია ძირითადად არის ისეთ ადამიანებთან შეხვედრა, რომელიც ღირსეულად დგას და ფიქრობს, რომ საჭირო არ არის თოფით გამოსვლები. სამომავლო გეგმებია: რა რაოდენობითაც მოვალთ პარლამენტში, იმ რაოდენობით ვიბრძოლებთ იმის მისაღწევად, რაც მოგახსენეთ. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისთვის.

კითხვები:

დათო კოვზირიძე(პოლიტოლოგი) პოლიტოლოგიის კათედრის მაგიტრანტი

ამჟამინდელი მთავრობის პოლიტიკიდან რას მიიჩნევთ ყველაზე დიდ ნაკლად?

? ხალხმა აირჩია კაცი, რომელსაც არ უთქვამს, რას გააკეთებს. ტომის ბელადი აირჩიეს. მე უბრალოდ მგონია, რომ ჩემი ხალხი არ არის ტომი. გარკვეული მიზეზი ჰქონდა მის არჩევას. 4 იანვრამდე არავის მოუსმენია არაფერი, გარდა ამისა, რომ ყველას დაიჭერს.

კიდევ ერთი ნაკლი ის არის, რომ ხელიუფლებას ხელფასებს სოროსი უხდის. სოროსმა უნდა დააფინანსოს რაღაც პროგრამები, მაგრამ არ შეიძლება მინისტრს უხადოს ხალფასი, სამწუხაროდ საზოგადოება ამას არ აპროტესტებს.

ია თიკანაძე – ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, დირექტორი.

საქართველოში რამდენიმე მემარჯვენე პარტიაა. რა განსხვავებაა ამ პარტიებს, შორის, როგორია თქვენი პარტიის პროგრამა?

? თუნდაც ფედერალიზმი, მე ვხედავ, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია. იგივე ახალი მემარჯვენეები და მრეწველები თვითონ არიან მეწარმეები და ხშირ შემთხვევაში ტოვებენ შთაბეჭდილებას, რომ საკუთარ ბიზნესს იცავენ. პოლიტიკური ტაქტიკის თვალსაზრისით არ გამოვირჩევით აგრესიულობით, მაგრამ ყოველთვის ჩვენი პოზიცია გვაქვს და მას ხმამაღლა ვაფიქსირებთ.

ია თიკანაძე – ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, დირექტორი:

ფრიდრიხ ებერტის ფონდმა 1996 წ. დაიწყო ფედერალიზმის საკითხზე მუშაობა, პარლამენტში ვერ ვნახეთ პოლიტიკოსი, ვინც ამაზე ღიად ისაუბრებდა. თქვენ

თუ გაქვთ კონცეფცია ჩამოყალიბებული ფედერალურ მოწყობასთან დაკავშირებით?

? 1990 წლის წესდებაში ჩავწერთ, რომ საქართველო არის აფხაზებისა და ქართველების საცხოვრებელი ადგილი. ჩვენ არ ვდაობდით აბორიგენობაზე, რომელსაც პოლიტიკისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ქვეყანა უნდა მოეწყოს მისი ისტორიული პროვინციების მიხედვით. ეს ყველაფერი იხვეწება ნელ – ნელა. მე მინდა საზოგადოებასთან ამ საკითხებზე ვიმუშაო. მე ვერ ვხედავ, რომ ხელისუფლება აპირებს ამის გაკეთებას ან მასთან თანამშრომლობას ჰქონდეს რაიმე აზრი.

ეკა გახოკიძე – პოლიტოლოგიის კათედრის აპირანტი.

თუ პარლამენტში ვერ გავიდა თქვენი პარტია, რა ფორმით, აპირებთ ოპოზიციონერობას?

? მე თვითონ ვარ რევოლუციის მონაწილე, მე მესმოდა ხალხის და მათ ესმოდათ ჩემი. მე დღესაც მაქვს უფლება მანიფესტაციების, მსვლელობის, მე ხელისუფლებას ამ სიამოვნებას არ მოვაკლებ, თუ არჩევნებს გააყალბებენ, რისი გამოცდილებაც მათ აქვთ.

ლევან პაჭკორია - 7% - იანი ბარიერის დაწევაზე რას ფიქრობთ?

? 1 მილიონ ნახევარზე მ ეტი არ მოსულა არც ერთ არჩევნებზე. მაგრამ მე მირჩევნია დარჩეს 7% - იანი ბარიერი, რადგან უფრო არ მომრავლდნენ პარტიები. და თუ 5% -მდე დაიწევს, ვინც გაერთიანებულია, ისიც დაიშლება.

„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“
გია ჟორჟოლიანი

2004 წლის 6 თებერვალი

მოგესალმებით, დიდი მადლობა რომ მობრძანდით, მე წინა შეხვედრასაც ვესწრებოდი და გამიზნული მაქვს ყველა ასეთ თავყრილობას დავესწრო.

საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის მოკლე ისტორია. პარტია ჩამოყალიბდა 1999 წლის 14 აპრილს. 99 წლის ნოემბერში ჩატარდა არჩევნები. პარტია არჩევნებამდე 6 თვით ადრე ჩამოყალიბდა და მალე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ეს იყო ერთადერთი პარტია, რომელიც არ იყო დაკავშირებული სახელისუფლებო რესურსებთან. სამმა პარტიამ გადალახა 7% - იანი ბარიერი, რომელიც სწორედ ამ არჩევნებისთვის დაწესდა და მათ შორის იყვნენ მრეწველებიც. რამ განაპირობა ეს წარმატება? ორი პარტია მონაწილეობდა არჩევნებში ერთი სახელისუფლებლო „მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბდა და რომლის ხელმძღვანელიც იყო ედუარდ შევარდნაძე და ასევე ბლოკი „აღორძინება“, რომელშიც შედიოდნენ

ტრადიციონალისტები, სოციალისტები, 21-ე საუკუნე, ე ს უკანასკნელი იყო ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეთა გაერთიანება. საიდუმლო არ არის,რომ ამ წესით არგასულები პარლამენტში ან სხვაგან ლაპარაკობდნენ რომ არჩევნები ყალბდებოდა. ამ გაყალბებაში მონაწილეობას იღებდნენ ის ჯგუფები, რომლებსაც ამ საქმეში დიდი გამოცდილება ქონდათ. და ერთის მხრივ გასაკვირიც კი იყო რომ ასე მოკლე ხანში შექმნილმა პარტია „მრეწველებმა“ 7%-იანი ბარიერი გადალახა. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ბარიერი გადალახეს ასევე ლეიბორისტებმა თუმცა ისინი პარლამენტში არ შეუშვეს. მრეწველებმა გაყალბების დამადასტურებელი დოკუმენტები მოაგროვეს და თავიანთი ხმების დასაცავად სასამართლოს მიმართეს და ამით დაიცვეს ხმები და გადალახეს 7%-იანი ბარიერი, ლეიბორისტებმა კი ეს ვერ მოახრეხეს. „მრეწველების“ გამარჯვება განაპირობა ასევე იმან, რომ მათ საზოგადოებას აბსოლუტურად ალტერნატიული პოლიტიკური სტილი შესთავაზეს, რაც იმ დროისათვის ნამდვილი ალტერნატივა გახლდათ. ისინი უპირისპირდებოდნენ ზედაპირულ საუბრებს დემოკრატიაზე და საგარეო პოლიტიკაზე. მრეწველებმა მიიჩნიეს, რომ ყველაფერ ამის გადასაწყვეტად უმნიშვნელოვანესი ამოცანა ეკონომიკური - პოლიტიკური სისტემის ცვლილება იყო. ამ ცვლილებებს უნდა უზრუნველეყოთ მასიურად სამუშაო ადგილების შექმნა, ესე იგი პარტიის ალტერნატივა იყო ის, რომ მრეწველობა გადაარჩენდა საქართველოს. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იმედოვნებდა, რომ ინდუსტრია განვითარდებოდა და ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა. საქართველოს პოლიტიკა უნდა მიმართულიოყო იქით, რომ აღორძინებულიყო მრეწველობა. ძველი ტერმინი რომ ვიხმაროთ, უნდა აგუგუნებულიყო ქარხნები და ხალხი დასაქმებულიყო. „მრეწველების“ პროგრამის მიხედვით უნდა მომხდარიყო ქვეყნის სოციალურ - პოლიტიკური წინსვლა. მე „მრეწველების“ იდეურ პრინციპებს ვეთანხმებოდი, მაგრამ დღეს ეს პრინციპები შეიძლება შეიცვალოს რადგანაც ქვეყანაში ვითარება შეიცვალა და პრიორიტეტები შეიძლება გადაადგილდეს. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარმატება დიდად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მრეწველების ლიდერი იყო გოგი თოფაძე, რომელიც განასახიერებდა ამ პოლიტიკას და ადამიანების მიერ აღიქმებოდა, როგორხც ამ პოლიტიკის გამტარებელი. მისი პროგრამის ქვაკუთხედი იყო საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით ქვეყნის განვითარება. ის გარკვეულწილად უპირისპირდებოდა უცხოურ საფინანსო ორგანიზაციებს, მაგრამ არა საგარეო პოლიტიკის დონეზე. მას მიაჩნდა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული უცხოურ კაპიტალზე. მრეწველები ცდილობდნენ სამუშაო ადგილები საკუთარ საწარმოებში შეექმნათ.

შემდეგ იყო 2002 წლის თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც 2001 - ში უნდა ჩატარებულიყო. არჩევნები 6 თვით გადაიდო. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ცესკო არჩევნების ჩატარებას ვერ ასწრებდა. ცესკო-ს ნაბისმერ დროს შეუძლია, განაცხადოს, რომ ვერ ასწრებს არჩევნების ჩატარებას. ასე დაუსრულებლად შეიძლება გადაიდოს არჩევნები. მიუხევადად ამისა, „მრეწველებმა“ არჩევნებში წარმატებას მიაღწიეს და ეს მათი პროგრამით იყო განპირობებული. 2002 წელს უკვე შექმნილი იყო პარტიები - „დემოკრატები“ და „ნაციონალები“, ანუ ხელისუფლების ალტერნატივად აღარ მოიაზრებოდნენ მხოლოდ მრეწველები „ახალი მემარჯვენეები“. მრეწველებმა თავიანთი

პროგრამის ხარჯზე 4500 დეპუტატიდან 500-მდე, ხოლო „მემარჯვენეებმა“ 500-ზე მეტი მანდატი მოიპოვეს. „ახალი მემარჯვენეების“ ეს გამარჯვება განპირობებული იყო ხელისუფლებასთან კავშირით. ამავე პერიოდში 1999 წელთან შედარებით მრეწველებს დაბალი რეიტინგი ქონდათ, თანდათან მრეწველების პრეტიჟი რაღაც თვალსაზრისით დაეცა. ისმება კითხვა რატომ? ჩვენი არჩევნების სისტემა და ხალხის განწყობა ისეთია, რო მ ის არ ასახავს რეალობას, რომელიც პოლიტიკაში იქმნება ხოლმე. მაგალითად, იყო საუბარი იმაზე, რომ მრეწველებმა გაიმარჯვეს 99 წლის არჩევნებში. არჩვნებში გამარჯვება ნიშნავს, რომ მერე შენი პოლიტიკა გაატარო და არა მხოლოდ დააფიქსირო. „მრეწველებმა“ გადალახე ს 7%-იანი ბარიერი, მაგრამ რეალურად თავისი პოლიტიკის გატარება ვერ შეძლეს. „მრეწველები“ გამარჯვებულის პოზაში იდგნენ, ხალხი კი ეუბნებოდა მათ, რასაც გვპირდებით რატომ არასრულებთო. 14 -15 კაციანი ფრაქცია ცხადია ვერაფერს გააკეთებდა, იმისათვის, რომ პარლამენტში კანონპროექტი გაიტანო, ამისათვის 118 ხმაა საჭირო. გაჩნდა აზრი, რომ ბიზნესის ლობირებიდან გამომდინარე მრეწველები მთავრობას შეუთანხმდნენ. ამის მიუხედავად ბევრი მნიშვნელოვანი კანონის ავტორები სწორედ მრეწველები არიან, მაგრამ მთავარი კანონები არ გავიდა, რადგან 15 კაცი ვერაფერს გააწყობდა, მათ მიერ შემუშავებული კანონების ძირითადი პრიორიტეტები იყო საგადასახადო სისტემის შეცვლა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო უკეთესი საინვესტიციო გარემოს შექმნა. ინვესტიციებში იგულისხმება არა მხოლოდ გარედან შემოსული, არამედ შიდა ინვესტიციები. მრეწველებს სურდათ ხელი შეეწყოთ მცირე ბიზნესისათვის. შემდეგ მოხდა მრეწველთა პარტიის გარკვეული დევალვაცია, პარტიის რიგები შეთხელდა, გარდა ამისა ჩემის აზრით, გარკვეული შეცდომები იყო დაშვებული, რადგან პარტიის იმიჯს მხოლოდ 3 – 4 ადამიანი ქმნიდა და საზოგადოებაზე ეს ცუდად მოქმედებდა, მრეწველებმა გარკვეული სისუსტეები გამოამჟღავნეს.

არსებული პოლიტიკური ვითარება

როგორც თქვენთვის ცნობილია, ამ რევოლუციაში მრეწველებს მონაწილეობა არ მიუღიათ. დღეისათვის ჩვენ ვცხოვრობთ იმ პერიოდში, რომელიც მოსდევს ამ მოვლენებს და შეიძლება ზოგიერთის შეფასება გაგვიჭირდეს. პარტიის პოზიცია განპირობებული იყო შემდეგით:

საქართველოში ჩატარდა არჩევნები და გარკვეული შედეგები დაფიქსირდა, შედეგები იყო არაობიექტური და ეს დაამტკიცეს მრეწველებმა იმით, რომ ხმა არ მისცეს საარჩევნო ოქმების დამტკიცებას. „მრეწველებმა“ შემდეგაც გააგრძელეს ბრძოლა.

1. გაყალბების წინააღმდეგ და საჩივარი შეიტანეს სასამართლოში.ყველაფერი დამთვრდა იმით, რომ 24 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება,რომლის მიხედვითაც პროპორციული შედეგები გაუქმდა. აქედან გამომდინარე მრეწველების პოზიცია იყო შემდეგი.

2. თუ გავითვალისწინებთ, რატომ გაყალბდა ბოლო არჩევნები სხვადასხვა დასკვნებამდე მივალთ. თუ რომელმა პარტიამ საიდან მიიღო ხმები. ამ

არჩევნების დროს ჩატარდა ეგზიტპოლები და შედეგები 2 ნოემბრის 9 საათზე და განაცხადა რომ გაიმარჯვა. იმავე შედეგების მიხედვით ბურჯანაძე დემოკრატებმა 7 -8 %აიღეს. მაგრამ ეს არ იყო საბოლოო შედეგები. აქ არ იყო გათვალისწინებული აჭარის მონაცემები ეგზიტპოლების შედეგები ინტური იყო მეორადი შედეგებისა. ეს ყველაფერი რაღაც რევოლიციური კონიუნქტურით იყო განპირობებული. ეგზიტპოლი რომ აჩვენებდნენ რეალურ შედეგებს მაშინ არჩევნები საჭირო აღარ იქნებოდა.

საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალებს ხალხის ნდობა ქონდათ, მაგრამ ბურჯანაძე - დემოკრატებს - არა. აქედან გამომდინარე, მრეწველების პოზიცია, არჩევნების შედეგები - მოქცეულიყო კანონის ფარგლებში, სამართლიანი იყო. დღეს საქართველოში არავის აურჩევია ბურჯანაძე - დემოკრატები ისეთი უპირატესობით, რომ ჟვანია პრემიეტრ - მინისტრი იყოს. მათი ლეგიტიმურობის ხარისხს განსაზღვრავს არა ხალხი, არამედ შევარდნაძის გადადგომა, ესე იგი უფლებამოსილება ახალ მთავრობას შევარდნაძემ მიანიჭა.

შევარდნაძის პარტიიდან იყო არჩეული ბურჯანაძე, იმ პარლამენტის თავჯდომარე და შევარდნაძემ მიანიჭა მას უფლებამოსილება. მე რისი თქმა მინდა :მრეწველები ცდილობენ მოქცეულიყვნენ ხალხის ნების შესაბამისად. მეორე საკითხია: ის რომ არც ცესკომ და არც ხელისუფლებამ, არც სხვა პარტიებმა არ მოინდომეს არჩევნების ობიექტურად ჩატარება.ამ პოზიციას ადასტურებენ და ადასტურებენ დღესაც მრეწველები.

3. პარტიის როლი მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში

მრეწველებმა მხარი დაუჭირეს საკონსტიტუციო ცვლილებებს. მე ასე არ მოვიქცეოდი, ამისათვის ბევრი მიზეზი არსებობს. კონსტიტუციის მიღება არ შეიძლება კონსტიტუციის ყველა წესის დარღვევით და საზოგადოების აბსოლუტური იგნორირებით. ამ პროცესის სამართლებრივი პოლიტიკური ლეგიტიმაცია არის ნულის ტოლფასი. ეს ნიშნავს იმას, რომ არავითარი პროექტი არ იყო გამოტანილი საკანონმდებლო განხილვაზე. მე ვგულისხმობ იმას, რომ მსჯელობა ამ საკითხზე ერთი თვით ადრე უნდა დაწყებულიყო.დეპუტატების 99% არ იცოდა რა ცვლილებებს იღებდნენ. განსაკუთრებით სახელისუფლებლო ბლოკების დეპუტატებმა, მათ არავითწარი მონაწილეობა დისკუსიებში არ მიუღიათ. საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი არ მსჯელობს იმ დარღვევაზე, რომელსაც ახალი ხელისუფლება უშვებს, თუმცა ეს ადამიანები წინა ხელისუფლებას დაუზოგავად აკრიტიკებდნენ. როდესაც სააკაშვილი აკრიტიკებდა ხაზარაძეს და სხვებს და მათი მოღვაწეობის ხარისხ ზე საუბრობდა, რამდენად მართებულია ის, რომ ახლა ხაზარაძის და მისთანების მიერ მიღებული კანონებით გადიან ფონს.

ეს სრული ნონსენსია, რადგან მათ გამო და მათ გადასაგდებად მოხდა ეს რევოლუცია, ეს ახრის საზ ოგადოების შეურაცხყოფა, რომელიც ამბობდა, რომ მოგვაშორეთ ეს ხელისუფლებაო ახალმა ხელისუფლებამ არ მოაშორა ხალხს ისინი და მათ ახალ კანონებს აღებინებს. კონსტიტუციის მუშაობის წესს უნდა განაპირობებდეს არა მხოლოდ შინაარსი, არამედ ის თუ როგორ იმუშავებს ეს

კონსტიტუცია. „მრეწველობის“ დამოკიდებულება საპარლამენტო მმართველობასთან ცნობილია: ისინი საპარლამენტო მმართველობა ს უჭერენ მხარს, ანუ მრეწველები ეთანხმებიან პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღებას.

კონსტიტუციაში განხილული უნდა იყოს ფუნდამენტარული საკითხების ფართო სპექტრი, საარჩევნო სისტემა, ხელისუფლების ვერტიკალური დაყოფა და ასე შემდეგ.

მე დეცენტრალიზაციის და ადგილობრივი მმართველობიოს როლის გაზრდის მომხრე ვარ.

4. რეფერენდუმი და კონსტიტუცია

რაც შეეხება რეფერენდუმს, აქ „მრეწველების“ დამოკიდებულება იყო ცალსახა. ისინი მხარს უჭერდნენ რეფერენდუმში ჩამოყალიბებულ კითხვას და ამბობდნენ, რომ უნდა მოხდეს რეფერენდუმის შედეგების რეალიზება. რას ნიშნავს ეს? რაც არ უნდა ეწეროს იქ რეფერენდუმის შედეგები კანონთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს პარლამენტარმა გარკვეულ ვადაში. თუ ეს არ მოხდა, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა იქნას სარჩელი შეტანილი და პარლამენტს დაეკისროს გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ შეიძლება ამ გადაწყვეტილების მისაღებად კვორუმი არ იყოს, ამიტომ ეს პროცესი დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. ეს არის ის ხარვეზები კანონმდებლობაში, რომელიც ხელს უშლის გადაწყვეტილების მიღებას. მეორეს მხრივ, ეს გადაწყვეტილება უარეს შემთხვევაში პლებისციტის ხასიათს უნდა ატარებდეს, რაც ნათლად გამოჩნდა მოსახლეობის დამოკიდებულებაშიც.

5. PR

პარტიას 99 წლისთვის ჰყავდა ლიდერი და ამან განსაზვრა მისი პოპულარობა. საერთოდ მთავარი პიარის მეთოდიკაა,დღეს ამას განსაზღვრავს ტელევიზია, რის შესაძლებლობაც არ აქვთ. საზოგადოებას აქვს უარყოფითი დამოკიდებულება შევარდნაძის მიმართ და ამაში ტელევიზიები ეხმარებოდნენ ოპოზიციას. „მრეწველებს“ ასეთი მხარდამჭერი ტელევიზია არ ჰყავთ. დღეისათვის განსაზღვრავს პარტიის ლიდერი, ვთქვათ სააკაშვილი რომ არ იყოს ნაცმოძრაობა არ იქმნებოდა. საჭიროა შეიქმნას ევროპული სტილის პარტია, რომელიც დამოკიდებული იქნება პარტიის პროგრამაზე და არა ლიდერებზე.

მოდერატორი: დიდი მადლობა ბ -ნ გია! და მე მინდა აუდიტორიას მივმართო, თუ არის შეკითხვები?

გელა ბანძელაძე - სტუდენტი:

თქვენ განაცხადეთ, რომ ისე როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ისე საქართველოშიც უნდა შეიქმნას პარტია და მისი გამაერთიანებელი უნდა იყოს

იდეა და არა, რომელიმე ლიდერი ან პირველივე ხუთეული ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ეს შეუძლებელია?

გია ჟორჟოლიანი:

მე არ მითქვამს, რომ პარტია უნდა შეიქმნას ქვემოდან, როგორც ევროპაში იქმნება. ძალიან ცუდია, რომ საქართველოში ასე არ ხდება.

კახა ლომაშვილი - სტუდენტი“:

თუ აზრი არა ჰქონდა 14 – 15 კაცით შესვლას პარლამენტში, მაშინ რატომ შედიოდით საერთოდ?

გია ჟორჟოლიანი:

პარტია არჩევნებში იმიტომ მონაწილეობს, რომ მიიღოს რაღაც შედეგი, აქედან გამომდინარე მრეწველებმა მიიღეს შედეგი. თუ მრეწველები პარლამენტში შესვლაზე უარს იტყოდნენ, მაშინ რა აზრი ჰქონდა ბრძოლას. ამასთან ისინი მართალი არ იქნებოდნენ ამომრჩევლების წინაშე.

ზურაბ კუკულაძე - სტუდენტი:

მე მაქვს ერთი შეკითხვა, რომელსაც შეიძლება პასუხი გაეცა, მაგრამ მაინც მინდა დავსვა. როგორც თქვენ ახსენებთ საქართველოს ხელისუფლება ბევრ კანონს არღვევს და ბევრს ეს არ მოსწონს და მეც არ მომწონს. მე მაინტერესებს ამ ყველაფერს ვინ შეეწინააღდეგება?

გია ჟორჟოლიანი -

პოლიტიკური პოზიცია უნდა ჩამოყალიბდეს იმის თაობაზე, რომ კანონები უნდა იყოს დაცული და პოლიტიკური გაერთიანება უნდა მოხდეს იმ ჯგუფებისა, რომლებიც მზად არიან მთავარ ამოცანად დაისახონ კანონის დაცვა და იმოქმედონ დაცვის პრინციპებით. კლასიკური გაგებით ამას სამართლებრივი სახელმწიფო ეწოდება, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლებები, მაგრამ ეს უფლებები უნდა ხორციელდებოდეს კანონის ფარგლებში და ეს კანონი წინ უნდა უსწრებდეს ყოველგვარ დემოკრატიას.

ოლეგ ნამიჭეიშვილი - პროფესორი:

რომელი მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს?: ცივი ჩაი თუ ლუდი? თუ ახალი ტექნოლოგიების მრეწველობა, სუპერ ინფრასტრუქტურა და ა.შ.?

გია ჟორჟოლიანი: უნდა განვითარდეს ინფრასტრუქტურა, ხელი უნდა შეეწყოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ამისათვის საჭიროა ტექნოლოგიების განვითარება და განათლების სისტემისათვის ხელშეწყობა, რათა ამაღლდეს ცოდნის დონე, ამ მიმართულებით.

მოდერატორი:

დიდი მადლობა ბ -ნ გია ჟორჟოლიანს და ყველას მობრძანებისათვის.

 # 3 „გაერთიანებული დემოკრატები“
გიორგი გაბაშვილი

13.02.2004

დიდი მადლობა მოწვევისათვის, არ არსებობს უფრო საინტერესო აუდიტორია, ვიდრე სტუდენტური, ახალგაზრდული აუდიტორიაა. მითუმეტეს აქ ის ხალხი ხართ, ვინც პოლიტიკური მეცნიერებით და საერთაშორისო ურთიოერთობებით არის დაინტერესებული და მითუმეტეს საინტერესოა,რომ გაქვთ ასეთი პროექტები, რათა უფრო ღრმად ჩაიხედოთ. გააკეთოთ ანალიზი პოლიტიკურ ვითარებაზე და პოლიტიკურ ლანდშაფტზე, თუ რა ხდება საქართველოში, რა ხდებოდა და გარკვეული პროგნოზები გააკეთოთ იმის შესახებ თუ რა მოხდება.

როცა თქვენ ამ პროექტს გეგმავდით, იყო ორი პოლიტიკური პარტია, გაერთიანებული დემოკრატები და ნაციონალური მოძრაობა. თქვენ იცით პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ პარტიათა ხელმძღვანელებისა, რათა გაერთიანდეს ეს ორი პარტია, რადგან თავისთავად ამ რევოლუციამ, რომელშიც ჩვენ ერთად ვიყავით, ეს გაერთიანება პრაქტიკულად უკვე მოახდინა. დგება კულმინაციური პერიოდი. ეს იქნება ყველაზე მძიმე გამოცდა. მუშაობენ თუ არა ამ ორგანიზაციის აქტივისტები, რამდენად ენერგიულები არიან ისინი, რამდენად შეუძლიათ ინმიციატივა გამოავლინონ. ამ ვითარებაში მოხდა პოლიტიკური შერწყმა ამ ორგანიზაციებისა და ახლა არ არის მიზაშეწონილი, რომ ხელისუფლებაში მყოფმა ორმა პარტიამ ცალ-ცალკე იტვირთონ პაუხისმგებლობა. პრაქტიკულად არჩევნებამდე იყო იდეოლოგიური სიახლოვე, მაგრამ იყო განსხვავებებიც, მაგრამ ახლა ამ განსხვავებებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა. ახლა უკვე ეს არის სახელისუფლებლო ძალა. უკვე დაწყებულია ადგილობრივი ორგანიზაციების გაერთიანება. თებერვლის ბოლოს იქნება ყრილობა, სადაც ეს ალიანსი უკვე ერთ პარტიად გარდაიქმნება. თვითონ „გაერთიანებული დემოკრატები“ არ არის დიდი ტრადიციების მქონე პარტია. მაგრამ პოლიტიკური გუნდი დიდი ტრადიციების მქონეა. პარტია 2002 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბდა. ეს იყო პირველი ელვისებური ბრძოლა, რომელიც პარტიის ლიდერმა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ გადაიტანა, როცა მას სასამართლოს გზით აუკრძალეს მონაწილეობა მიეღო 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. მაშინ ჟვანიამ ქრისტიან - კონსერვატორების სახელით მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, 4%-იანი ბარიერი, რომელიც თბილისის საკრებულოს არჩევნებზე იყო დაწესებული, 12 დღიანი კამათის შემდეგ გადალახული იქნა. ეს მართლაც უაღრესად რთული პროცესია, როდესაც პრაქტიკულად ორგანიზაცია არ არსებობდა, ამ დროს გადალახულია 4%-იანი ბარიერი და ამის შემდეგ იქმნება პოლიტიკური ძალა - ორგანიზაცია „გაერთიანებული დემოკრატები“ შეიქმნა როგორც ლიბერალური ცენტრისტული

პოლიტიკური პარტია. თქვენ პოლიტოლოგები ბრძანდებით და დამეთანხმებით, რომ საქართველოში ეს დაყოფა პირობითია. თანამდეროვე მსოფლიო პოლიტიკურ პრაქტიკაში არც თუ ისე პოპულარულია პოლიტიკურ ძალთა მემარჯვენეებად, მემარცხენეებად და ცენტრისტებად დაყოფა, მაგრამ ძველი მოდელის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ეს იყო ცენტრისტული პარტია. პარტიის პირველივე შეკრებებზე განისაზღვრა მისი იდეოლოგია, განისაზღბვრა ის ძირითადი ქვაკუთხედი, რასაც დაეფუძნა პარტია და დაიწყო ბრძოლა. მაგრამ სინამდვილეში ყველაზე დიდი ბრძოლა ამ ქვეყანაში მიმდინარეობდა არა პარტიების, არამედ, პირობითად რომ ავიღოთ ორ მიდგომას შორის. ერთი მიდგომა გულისხმობდა ქვეყანაში „სტაბილურობის“ შენარჩუნებას და რა სტაბილურობაზე იყო საუბარი, ყველას კარგად გვახსოვს. საჭირო იყო ამ სიტუაციის შენარჩუნება თუნდაც ძალადობის გზით, სიყალბის გზით და რაღაც წილად მემკვიდრის მოძებნა იმ დრომდე, სანამ შევარდნაძე იქნებოდა თავის ადგილზე. მმართველ ისტაბლიშმენტს უნდა გამოეძებნა მემკვიდრე, რომელიც შეინარჩუნებდა იმ მოდელებს, რომელიც არსებობდა შევარდნაძის დროს, იმ ბერკეტებს, ფინანსური მართვის სტილს, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლების კოსმეტიკური შელამაზების გზით გააგრძელებდა არსებობას. ამავე დროს არსებობდა მეორე ძალა, რომელიც ამბობდა რომ საჭიროა ცვლილებები, მმართველი ისტაბლიშმენტის გაშვება, მისი გადაყენება ნებისმიერი გზით. ბუნებრივია, საუბარი იყო მშვიდობიან გზებზე, ამისათვის უნდა ყველაფერი გაკეთებულიყო. წელიწადნახევრის განმავლობაში ჩვენი მხრიდან მუდმივად იყო ინიცირებული საკითხი ამ ძალების გასაერთიანებლად. ბუნებრივია, ყველაზე ინტენსიური მოლაპარაკებები ნაციონალურ მოძრაობასთან გვქონდა, იმიტომ, რომ პიროვნულ დონეზეც ყველაზე დიდი სიახლოვე სწორედ ამ პარტიის ლიდერებთან გვქონდა, მაგრამ ამავე დროს მჭიდროდ ვთანამშრომლობდით ახალ მემარჯვენეებთან, რომლებიც იზიარებდნენ მეორე პოზიციას და აცხადებდნენ, რომ სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო ცვლილებები. ასევე გვქონდა კონტაქტები ლეიბორისტებთანაც. ჩვენ გვქონდა მცდელობა, რომ ოპოზიციური ძალების სრული სპექტრი გაერთიანებულიყო და მას მოეგო 2 ნოემბრის არჩევნები. არჩევნების მოგება გახდებოდა იმის წინაპირობა, რომ პარლამენტი იქნებოდა მკვეთრად ოპოზიციური, მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე შეინარჩუნებდა ხელისუფლებას, ოპოზიციური პარლამენტი მას ბევრ რამეს არ გააკეთებინებდა. სტრატეგიული მიზანი იყო ის, რომ შევარდნაძეს არ ჰქონოდა უმრავლესობა პარლამენტში უმრავლესობა უნდა ჰქონოდა ოპოზიციას, რათა შევარდნაძეს ვერ გაეტარებინა კონსტიტუციური ცვლილებები, როგორიც მაგალითად უკრაინაში მოხდა. კუჩმა შეეცადა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანით გაეხანგრძლივებინა ხელისუფლებაში ყოფნა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ოპოზიციის გაერთიანება ვერ მოხერხდა. აქ დასამალი არაფერი არ არის, რომ არსებობს ლიდერების, რეგიონალური ორგანიზაციების ფაქტორი. ამიტომ ეს გაერთიანება ძალიან გართულდა. მაგრამ ოპოზიცია ბოლოს მაინც შეთანხმდა რომ ერთიანი ფრონტით იბძოლებდა გაყალბების წინააღმდეგ ანუ ჩვენ ერთი სიით პარლამენტში ვერ მივდივართ, გაერთიანება ვერ ხერხდება მაგრამ მიუხედავად ამისა ერთიანი ფრონტით ვიბრძვით გაყალბების წინააღმდეგ, ჩვენ ჩვენი ძალებით ვლახავთ ბარიერს, შევდივართ პარლამენტში და იქ ვახდენთ ძალთა გაერთიანებას იმისათვის, რომ შევარდნაძის ხელისუფლება დავბლოკოთ

საკანონმდებლო ორგანოში. ერთადერთი ბერკეტი, ოპოზიციის ხელისუფლებაზე ზეწოლისათვის, ეს საერთაშორისო ზეწოლის ინსტრუმენტი იყო, რადგან ეს ხელისუფლება არანაირ ლოგიკას არ ემორჩილებოდა. ეს გახლდათ ერთმანეთთან დაპირისპირებული ჯგუფების კონგლომერატი, რომლის ერთადერთ მიზანსაც შევარდნაძის შენარჩუნება წარმოადგენდა. სხვა არაფერი მათ არ აერთიანებდათ. ხელისუფლებას უნდა შეეგნო, რომ არჩევნების ობიექტურად და პატიოსნად ჩატარება ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო და ამას უცხოელებიც ეუბნებოდნენ წინა მთავრობას. ეს იყო ობიექტური მონაცემები. სხვადასხვა გამოკითხვების შედეგები გვიჩვენებდა, რომ ოპოზიციური ელექტორატი საქართველოში 80% აღწევდა. აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, თუ რომელიმე ცალკე აღებულ პარტიას რა რეიტინგი ჰქონდა. თქვენ გახსოვთ, რომ კვირების მიხედვით იზომებოდა რეიტინგი. ზოგჯერ ერთ პარტიას ჰქონდა მეტი და მეორეს - ნაკლები. ანდა პირიქით. ეს ყოველთვის გარკვეულ საჯარო განცხადებებზე და აქციებზეა დამოკიდებული. საბოლოოდ ეს რეიტინგები ლეიბორისტებზე, ახალ მემარჯვენეებზე, ნაციონალებსა და დემოკრატებზე ნაწილდებოდა. ყველას ერთად დაახლოებით 80% გვქონდა. ძალიან რეალურად იკვეთებოდა ხელისუფლების შეცვლის გზა 2 ნოემბრის არჩევნების შემდგომ. ჩვენ გვინდოდა ამ ბრძოლაში საერთაშორისო საზოგადოება ჩაგვერთო. თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ აშშ ჩაერია ამ პროცესებში და პრეზიდენტმა ბუშმა უპეცედენტო ნაბიჯი გადადგა, როდესაც საქართველოში ჯეიმს ბეიკერი მოავლინა. ძალიან სერიოზული რეზოლუციები მიიღო ეუთომ. ევროსაბჭოსაც ძალიან სერიოზული დამოკიდებულება ჰქონდაბა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც ევროკავშირს. ბოლო მომენტში იაროვის ხელმძღვანელობით ესენგეს დამკვირვებელთა კომიტეტმა ხელისუფლება გააფრთხილა, რომ არ უნდა მომხდარიყო ერთი რამ: არჩევნების შედეგების თავდაყირა დაყენება. ყველას გვესმის, რომ გარკვეულ მანიპულაციებს ხელისუფლების მხრიდან ექნებოდა ადგილი. ეს იყო ძალა, რომელიც სარეიტინგო გამოკითხვებით ხმათა 6% ფლობდა. ჩვენ გვესმოდა, რომ შევარდნაძე 6% არ დასჯერდებოდა. იქმნებოდა მანიპულაციები ქვემო ქართლში, სამცხე - ჯავახეთში და სხვა რეგიონებში, მაგრამ არჩევნების ასე გაყალბებას ჩვენ არ ვაპატიებდით და ამ არპატიების ფორმები წინასწარ ღიად იყო გაცხადებული. ჩვენ ტელევიზიით და რადიოთი ხშირად ვამბობდით: „ხალხი გამოვა ქუჩაში, იმიტომ, რომ დემოკრატია სხვა არაფერია, თუ არა ხალხის მიერ გაკეთებული არჩევანი“. როცა ხელისუფლება არ გვაძლევს საშუალებას განვახორციელოთ წარმომადგენლობითი დემოკრატია, მყარდება პირდაპირი დემოკრატია. ხალხი გამოდის მოედანზე და ვინც უფრო ხმამაღლა ამბობს, იმის სათქმელი იმარჯვებს. ეს არის დემოკრატიული საზოგადოების ელემენტარული ლოგიკა. ეს ყველაფერი ხელისუფლებამ მშვენივრად იცოდა, თუმცა გათვლა კეთდებოდა შემდეგზე: საზოგადოება პასიურია და პოლიტიკური პარტიები ვერ გამონახავენ ერთმანეთთან საერთო ენას. იქ ითამაშებდნენ პოლიტიკური ლიდერების ამბიციებზე. ისაუბრებდნენ ბურჯანაძე - სააკაშვილის, სააკაშვილი - ჟვანიას, ჟვანია - ბურჯანაძის დაპირისპირებაზე და ა. შ. იქ რაღაც დონეზე კონფლიქტებს დანერგავდნენ. ვთქვათ, ტელე პროპაგანდა იქნებოდა ისეთი, რომ თითქოს ჩვენ სხვადასხვა მოთხოვნები გვაქვს, ერთმანეთში ვერ ვთანხმდებით. იმედი ჰქონდათ,რომ ჩაიკეტებოდა მოძრაობა მხოლოდ თბილისში, 5-ჯერ შევიკრიბებოდით ფილარმონიასთან, ერთხელ კიბეებზე დავსხდებოდით

პარლამენტთან, მერე დავიშლებოდით და ქვეყანა დარჩებოდათ ლევან მამალაძეს, ვახო რჩეულიშვილს და მათთანებს. ჩვენ მოგვდიოდა ინფორმაცია, რომ არჩევნების შედეგები პირდაპირ იქნებოდა ჩამოწერილი. თქვენ კარგად გესმით, თუ რას ნიშნავს ეს, 11 საათზე მარნეულში უკვე დამთავრებული იყო არჩევნები. არჩევნების შედეგები ყალბდებოდა ასე ვთქვათ, მსხვილ უბნებში, მაგალითად ფოთის ოლქში, ლაგოდეხში, მარნეულში, ბოლნისში. 2 ნოემბერს ეს მოხდა აბსოლუტურად ყველა უბანზე. ამას დაერთო პოლიტიკური კარუსელი, ადმინისტრაციული კონტროლი და ბოლოს ყოვლად უსირცხვილოდ ოქმების გადასწორება. ჩვენს წარმომადგენლებს უბნებიდან ყრიდნენ, ართმევდნენ იმ ოქმებს, რომლებიც ჩვენ პირველადი შეჯამების შედეგად მივიღეთ. ხმების დაახლეობით 5 – 6% კალმისტრით გადაგვიხაზეს და დაგვიწყეს საუბარი იმაზე, რომ უკვე გადავლახეთ ბარიერი ღიად უნდა გითხრათ: დაგვიწყეს ვაჭრობა, ვაჭრობა დაიწყეს თითქმის ყველა ოპოზიციურ პარტიასთან. ხელისუფლებამ ღია ტენდერი გახსნა. ჩვენ გადავწყიტეთ, რომ პარლამენტი არ უნდა შეკრებილიყო. იგივე გადავწვეტილება მიიღო ნაცმოძრაობამაც. ეტყობა სხვა პარტიებში სხვა გადაწყვეტილებები მიიღეს და დაიწყო ის, რასაც ჩვენ დღეს პირობითად ვარდების რევოლუციას ვეძახით. პოლიტიკაში მთავარია იგრძნო ხალხის განწყობა. როცა 5 ნოემბერს ფილარმონიაში გადავწვიტეთ შეკრება, ერთი დაძახებით იქ 8 000 კაცი მოვიდა. ჩვენ ვმოქმედებდით ხალხის განწყობის მიხედვით და საჯარო ლიდერის ფუნქცია მიხეილ სააკაშვილმა აიღო საკუთარ თავზე. ჩვენი ლიდერები ძალიან კოორდინირებულად მოქმედებდნენ. რა თქმა უნდა იყო კამათი რაღაც ტაქტიკურ ნაბიჯებზე, მაგრამ მოქმედება მაინც ძალიან კოორდინირებული იყო, რამაც ხალხი ჩვენ ერთიანობაში დაარწმუნა. ეს მცირე ისტორია, იმისათვის, რომ ცხადი იყოს არსებული პოლიტიკური ვითარება.

მოდერატორი: გადავიდეთ შემდეგ საკითხზე და ვისაუბროთ კონსტიტუციურ ცვლილებებზე?

გოკა გაბაშვილი:

ძალიან კარგია, როცა გამოითქმება შენიშვნები, მაგრამ ამ შენიშვნების ავტორები კონსტიტუიციურ ცვლილებებთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებით გამოდიოდნენ. ერთი ნაწილი ამ განცხადებების ავტორებისა ამბობდა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება იკვეცება და ყველაფერს აკონტროლებს პტრემიერ-მინისტრი, ხოლო მეორე ნაწილი აცხადებდა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება იზრდება და ის დიქტატორს ემსგავსება. რაც ჩვენი პოლიტიკური ძალებისათვის აბსოლიტურად მიუღებელია. პრეზიდენტ შევარდნაძის დროს კონსტიტუცია ძალიან ცუდი იყო, ამიტომაც ხალხი ქუჩაში გამოვიდა და ეს კონსტიტუციურმა კრიზისმა გამოიწვია.

ახლა ვილაპარაკოთ ამ მოდელებზე და იმის შესახებ, თუ რა კრიზისი შეიძლება განვითარდეს:

<u>კრიზისი #1</u> - მთავრობა არ მუშაობს ეფექტურად. ამას ხედავს საზოგადოება და ამას ხედავენ დეპუტატები. სვამს პრეზიდენტი მთავრობის უუნარობის საკითხს, რის შემდეგაც მას შეუძლია გადააყენოს მთავრობა.

<u>კრიზისი #2</u> - მთავრობა არის რეფორმატორი, ის მუშაობს, მაგრამ პარლამენტში ძალთა კონფიგურაცია ისეთია, რომ შეგნებულად ხდება ტორპედირება რეფორმაციულ;ი პროცესებისა, არ მტკიცდება ბიუჯეტი, არ მტკიცდება სამთავრობო პროგრამა და მნიშვნელოვანი კანონები არ მიიღება. მთავრობა სვამს ნდობის საკითხს და ამბობს: ან მენდე, ან გადავდგები და მოვიხსნი პასუხისმგებლობას, ან ეს საკითხი პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტოს. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი მიმართავს მთავრობას და ეს ხდება მხოლოდ ძალიან შეზღუდულ პირობებში ბიუჯეტთან დაკავშირებით, პრეზიდენტს აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი. პრეზიდენტისთვის ურთულესი რამ არის პარლამენტის დათხოვნა და აქედან გამომდინარე მთავრობა უფრო მეტად დგება დათხოვნის საშიშროების წინაშე.

ვარიანტი მეორე:

პრეზიდენტი ვერ ხედავს მთავრობის გადაყენების აუცილებლობას მაგრამ ამას ხედავს პარლამენტართა უმრავლესობა და ამბობს, რომ მთავრობა არ მუშაობს. პარლამენტი სვამს მთავრობის გადაყენების აუცილებლობას და მთავრობა მიდის უპირობოდ. მის გადაყენებას ხმათა სამი მეხუთ ედი სჭირდება. როცა მე ამ კონსტიტუციური ცვლილებების მოწინააღმდეგეებს ვესაუბრები, ვამბობ, რომ შეიძლება ეს არ არის იდეალური მოდელი, მაგრამ წლების განმავლობაში შეიძლება რაღაც დაბალანსდეს.

ამ მოდელის მიხედვით მთავრობა არის გუნდი, რომელიც ერთად მუშაობს და ის არ არის უბრალოდ სათათბირო, მთავრობის ყველა წევრი ერთად მუშაობს და ერთის წარუმატებლობა მთელი კაბინეტის წარუმატებლობა იქნება.

? ლევან ლობჟანიძე - სტუდენტი:

თუ მთავრობის მუშაობა არ არის ეფექტური, პასუხისმგებლობა მას ეკისრება და ის უნდა გადადგეს, მაგრამ თუ მთავრობის ერთი მინისტრი, ვთქვათ, ეკონმომიკის მინისტრი, ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას მაგრამ დანარჩენი მინისტრები კარგად მუშაობენ, ამ შემთხვევაში საჭირო იქნება თუ არა მთელი კაბინეტის გადადგომა?

გობა გაბაშვილი:

თუ კი ამ მინისტრის მოღვაწეობა მთავრობის იმიჯს ლახავს, მაშინ პრემიერ - მინისტრი ერთი მესამედით ცვლის მინისტრთა კაბინეტს და თუ პრემიერ - მინისტრმა ისეთი მინისტრები დანიშნა, სადაც მათი ერთიმესამედი არ ვარგა, მაშინ მთელი მთავრობა უნდა გადადგეს.

? ელენე ხუციშვილი: რა კრიტერიუმით ხდება მინისტრების შერჩევა მთავრობაში?

გოკა გაბაშვილი:

გარკვეულწილად არსებობს სტერეოტიპი, რომ მინისტრი უნდა იყოს პროფესიონალი იმ საქმისა, რისი მინისტრიც არის. არ არის სავალდებულო,რომ ჯანდაცვის მინისტრი იყო ექიმი, მთავარია მას ჰყავდეს შტატი სპეციალისტებისა. მის სამმართველოებში უნდა იყვნენ ნამდვილი პროფესიონალები. მისი დანიშვნა უნდა ხდებოდეს პოლიტიკური ნიშნით, იგი უნდა განსაზღვრავდეს პოლიტიკას სამინისტროში. არ უნდა ინიშნებოდეს სპეციალობის მიხედვით. ამგვარად, სრულიად გამართლებულად მიმაჩნია, თუ თავდაცვის მინისტრი იქნება არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო პირი. კრიტერიუმი უნდა იყოს პატიოსნება და პროფესიონალიზმი მართვის მენეჯმენტის თვალსაზრისით.

? ლაშა ბლიაძე: რევოლუციის შემდეგ როგორ ჩამოყალიბდა თქვენი საარჩევნო პროგრამა, რამდენად შეიცვალა ის და რამდენად დაიცავს პარლამენტში უმრავლესობა საზოგადოების რაღაც ნაწილს ხელისუფლებისგან, თუ ეს საჭირო გახდა. თქვენ ხომ იცით რომ ძალზედ საეჭვო ვითარებაში დაიხურა სატელევიზიო ღამის თოქშოუები?

როდესაც ამ ორ გადაცემაზე და, საერთოდ ტელესივრცეზეა საუბარი ყოველთვის ვამბობ, რომ ჩვენც არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ვუფრთხით და არც საჯარო ღამის დებატები და გამოსვლები არ წარმოადგენს ჩვენთვის საფრთხეს, მითუმეტეს ეხლა, როცა ხელისუფლებას მხარს უჭერს მოსახლეობა. ტელევიზიების გადაწყვეტილებებიდან ნათლად ჩანს, რომ ალბათ საჭიროა სატელევიზიო ფორმატის შეცვლა. როგორც ჩანს ეს ემყარება რაღაც რეიტინგულ გამოკითხვებს. მე დარწმუნებული ვარ ჩვენს მთავრობაში არავის აზრადაც არ მოუვა პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვა. ამიტომ ამ მხრივ მასმედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით „აღორძინების“ კონტროლი არ გვჭირდება.

რაც შეეხება უმრავლესობას, ჩვენს პოლიტიკურ ძალას ექნება უმრავლესობა პარლამენტში, მაგრამ ეს იქნება უპრეცედენტოდ სამართლიანი და პატიოსანი არჩევნები. ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებშია ის, რომ არსებობდეს ოპოზიცია. პოლიტიკური ტექნოლოგიების თვალსაზრისითაც საპარლამენტო ცხოვრების პოლიტიკური ლოგიკა ითხოვს, რომ არსებობდეს ოპოზიცია: როცა არ არის ოპოზიცია იწყება განხეთქილება შიგნით, ამიტომ არანაირი შეზღუდვა ოპოზიციას არ ექნება არც წინასაარჩევნო კამპანიას, იდეოლოგიის, ხმების დათვლის თუ სხვა თვალსაზრისით. ბუნებრივა, ჩვენ შევეცდებით მოსახლეობის დარწმუნებას იმაში, რომ ჩვენ უფრო სწორი იდეები გვაქვს, ვიდრე შალვა ნათელაშვილს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ამომრჩეველი, რომელიც ნათელაშვილს ეყოლება. არ იქნება ასახული მის საბოლოო შედეგში.

ახლა იმის შესახებ რამდენად შეიცვალა პროგრამა, პრინციპები, არ შეცვლილა. მთავარია განსხვავება, რომელიც ჩვენსა და ნაცმოძრაობას შორის არსებობდა. იყო ის, რომ ნაცმოძრაობა ღიად აფიქსირებდა, რომ მათთვის რევოლუციური გზა უფრო მისაღებია. ჩვენ ვამბობდით, რომ რევოლუციური გზა მიუღებელია, მაგრამ რევოლუციას ჩვენ შევუერთდით იმ მოტივით, რომ ეს უნდა ყოფილიყო მშვიდობიანი. ამ მხრივ ჩვენი პრინციპები დაცული იქნა. ის იყო განსხვავებული სტილი და ტემპერამენტი თორემ ის, რომ დაყაჩაღებული ფული ხალხს რომ უნდა დაუბრუნდეს, ამაში ჩვენ ერთიანები ვიყავით და ვართ. თქვენ ხედავთ, რომ

საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ პროცესებს მტკივნეულად აღიქვამს. მაგრამ კანონი კანონია და მის წინაშე პასუხი ყველამ უნდა აგოს. ჩვენ ლიბერალურ პრინციპებს ვუჭერთ მხარს და ხელს შევუწყობთ მცირე და მსხვილ ბიზნესს, მაგრამ შეიქმნება ახალი საგადასახადო მოდელი, ჩვენი პროგრამა პრინციპში იქმნება იმ პრიორიტეტების განხორციელება, რაზეც გვქონდა საუბარი 2 ნოემბრის არჩევნებზე.

? ოლეგ ნამიჭეიშვილი:

ინგა გრიგოლიასთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია. ვანო ჩხარტიშვილს დასაჭერად აქვს საქმე და დროზე მოიშორა ის გადაცემა, მაგრამ რატომ ამოაგდეს ღამის კურიერი იმ ტელეარხზე, რომელსაც ასე ვთქვათ, სამთავრობო ძალები აკონტროლებენ?

! თავად ვანო ჩხარტიშვილი თუ ეროსი კიწმარიშვილი რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ ტელეგადაცემებთან დაკავშირებით, ამაში მთავრობა ვერ ჩაერევა და არც ჩაერვა, რადგან მისი საქმე არ არის ტელეფორმატის დადგენა. ეს რომ არ არის დაკავშირებული სიტყვის თავისუფლების პრობლემებთან, ცხადია. უფრო რადიკალურადგანწყობილი ტელევიზია, როგორიც არის „იბერია“, ლუბა ელიაშვილის თოქ შოუ, ჩვეულებრივ გადის ეთერში, ასევე „კავკასიაც“. . .

გელა ბანძელაძე

როდესაც საუბარია სტრუქტურათა შემჭიდროებაზე, რაღა საჭიროა პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რომელიც ძალიან ბუნდოვანი მიზნების მქონე უწყებას წარმოადგენს და რომელსაც ფართო უფლება და ფუნქციები ექნება?

ყველგან სადაც სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია, რომელიც მონაწილეობას იღებს მართვაში და არ არის მხოლოდ რეპრეზენტანტი, როგორც ვთქვათ გერმანიაში, მას ყველგან უნდა ჰქონდეს თავისი მართვის ინსტრუმენტები, მართვის ასეთი ინსტრუმენტები საქართველოში იქმნება უშიშროების საბჭო და პრეზიდენტის ადმინისტაცია. პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ბუნებრივია იქნება ისეთი სტრუქტურისგან შემდგარი, როგორიცაა პრეზიდენტის პირადი აპარატი, პროტოკოლის სამსახური, რეგიონებთან ურთიერთობის სამსახური.პრეზიდენტის ადმინისტრაცია ასევე ზედამხედველობას გაუწევს მთავრობის მუშაობას, რადგანაც ეს პასუხისმგებლობა პრეზიდენტს საარჩევნო მანდატით აქვს აღებული. ბუნებრივია, აქ ჩნდება რაღაც მსგავსება პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და მთავრობას შორის, მაგრამ უნდა შეეცადოთ რომ არ მოხდეს ფუნქციათა დუბლირება.შ

? გიორგი აბრამიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობები

თქვენ ყოველთვის რეიტინგიოს სათავეში ექცეოდით, რაც 2 ნოემბრამდეც კარგად ჩანდა. მერე დაიწყო სახელისუფლებო და სხვა პარტიების მხრიდან თქვენს წინააღმდეგ შავი პირის აგორება. ერთხანს მეექვსე ადგილზეც კი აღმოვჩნდით. ეს

ხომ არ იყო რევოლუციის დაწყების მიზეზი, თქვენი მხრიდან და პირდაპირ რომ ვთქვათ, თქვენ ხომ არ წააქეზეთ ნაციონალები?

! ეს ნამდვილად არ იყო მიზეზი. როცა ვნახეთ ჩვენი საარჩევნო შტდ ეგები, რომელიც რეალურად, აღებულ ხმებზე ნაკლები იყო, ვიდრე ჩვენი რეიტინგი იყო, ამას თავისი ახსნა მოვუძებნოთ. ამომრჩევლის ის ტიპი, რომელზეც ჩვენ გვქონდა აქცენტი გაკეთებული ნაკლებად აქტიური აღმოჩნდა, ვიდრე მხარდამჭერი. რეალურად ჩვენ ავიღეთ ნაკლები ხმები, ვიდრე მოველოდით. ეს უნდა ვაღიაროთ. მე საარჩევნო შტაბის ერთ - ერთი ლიდერი ვიყავი და ამ კრიტიკას ყოველთვის ჩემს თავზე ვიღებ. 2 ნოემბერს ჩვენ მივიღებთ ნაკლები ხმები, ვიდრე რეიტინგი გვქონდა 1 ნოემბერს. ეს ნიშნავს იმას, რომ თვითონ საარჩევნო დღე უნდა ყოფილიყო სხვანაირად ორგანიზებული, უბნებზე ჩვენი მუშაობა სხვანაირად უნდა წარმართულიყო, რაც ვერ მოხერხდა. ჩვენ ვნასხეთ ასეთი სურათი: შევარდნაძე და აბაშიძე ერთად ქმნიდნენ უმრავლერსობას. „მრეწველობის“ საკითხი როგორც ცალკე პოლიტიკური ერთეულისა, არც არასოდეს მდგარა და არც დადგებოდა, თუ მათ არ მისცემდნენ საშუალებას, რომ უცხოეთიდან ჩამოტანილი ხმებით მოსულიყვნენ პარლამენტში. გარწმუნებთ, რომ ახალი მემარჯვენეების ნაწილი ამ უმრავლესობაში მონაწილეობას იღებდა და ეს იყო ის, რაც უნდოდა შევარდნაძეს - თავისი პარლამენტი. ჩვენ დავინახავთ, რომ ეს არის მათი პარლამენტი, რომლის შემადგენლობა მათ წინასწარ განსაზღვრეს. რითაც გვაშინებდნენ და რისიც ჩვენ არ გვჯეროდა, რომ ასე გათავხედებოდნენ და რეალურ მონაცემებს მოსახლეობას თავზე გადაახევდნენ. აქედან გამომდინარე, ჩვენ, რასაკვირველია, სასწრაფოდ დავიწყეთ კონსულტაციები ნაცმოძრაობასთან და ყველა ოპოზიციურ პარტიასთან. იმის დაშვება, რაც მოხდა 2 ნოემბერს, ნიშნავდა იმას, რომ 2005 წლ;ის არჩევნების ბედს მამალაძე და ასლან აბაშიძე გადაწყვეტდნენ. ეს ნიშნავდა იმას, რომ აჭარისა და ქვემო ქართლის გაყალბებული შედეგები წყვეტდა საქართველოს ბედსაც და საზოგადოებას ამის წინააღმდეგ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, ხალხი ამას უნდა შეეგუოს დაჯდეს სახლში და იწუწუნოს. ჩვენ გვქონდა არჩევანი, ვყოფილიყავით პატარა მყვირალი ფრაქცია პარლამენტში, რომელიც გამოვიდოდა ხოლმე და იტყოდა: „ აი, თქვენ გააყალბეთ არჩევნები, და ჩვენ გაყალბებულ პარლამენტში ვზივართ“ მაშინ რატომ ზიხარ პარლამენტში, თუ არჩევნები გაყალბდა და არ გამოხატავს ხალხის ნებას?! აი, როგორი არჩევანის წინაშე იდგა ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, ყველა ჩვენთაგანი. . . .

? რა არის ამის მიზეზი, რომ კაკო ასათიანი თქვენს გვერდით არ დგას? - **ნუკრი ყველაშვილი:**

! ბატონმა კაკომ ჩათვალა, რომ მისი პოლიტიკური ამბიციე ბის ადგილი ამჟამადაც ოპოზიციაშია. გადაწყვიტა,რომ არ ეთანხმება იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც მთავრობა ღებულობს. შეიძლება იყო პიროვნული მომენტებიც. ყოველ შემთხვევაში მე პატივს ვცემ მის გადაწყვეტილებებს. მე ეს არ მიმაჩნია არც გაუგებრობად, არც ღალატად. ეს არის გადაწყვეტილება პოლიტიკოსისა.

? **კახა ლომაშვილი** - საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი რას იტყვით საგარეო კურსისა და კონკრეტულად პრეზიდენტის ვიზიტის შესახებ მოსკოვში?

! დღეს მართლაც საჭი როა მკაფიო პოლიტიკის გამოკვეთა, პოლიტიკისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესებშია და არ არის მერყევი და ცვალებადი იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოქმედებდნენ ჩვენზე გარე ფაქტორები. ჩვენი ინტერესი ამა თუ იმ ქვეყანასთან მიმართებაში ჩვენ თვითონ უნდა განვსაზღვროთ. რუსეთთან მიმართებაში ისეთი პოლიტიკა უნდა წარვმართოთ, რომ მას არ ჰქონდეს საშუალება და ბერკეტი იმისა, რომ ჩვენს შიდა პოლიტიკურ პროცესში და პოლიტიკურ ცხოვრებაში უხეშად ჩაერიოს. მისი უმთავრესი საშუალება საქართველოს ზემოქმედების სამხედრო ბაზებია. ბაზები უნდა გავიდნენ საქართველოდან და ეს არა იმიტომ, რომ სტამბულის შეხვედრაზე იქნა ეს შეთანხმება ხელმოწერილი, რომ ეს შედის ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებში. ჩვენ ქვეყანაში არ უნდა იმყოფებოდეს უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები.

შალვა ნათელაშვილი
ლეიბორისტული (შრომის) პარტია

20.02.2004

ქვეყნის გადარჩენი პრობლემა ისევ და იევ დგას ჩვენს წინაშე. ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენ არ მივცემთ გეოპოლიტიკურ შეფასებას იმ მოვლენებს, რომელიც საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარდა.

მოგეხსენებათ, რომ კაცობრიობის ისტორია ყოველთვის იყო გლობალიზმისა და ეროვნულობის ისტორია. ყველა პერიოდს არ განვიხილავთ. გავიხსენებ მხოლოდ რომის იმპერიის მაგალითს. რომის იმპერია არ იყო მხოლოდ ომებით და ბრძოლებით შექმნილი იმპერია, ყველა იმპერიაში შექმნილი იყო შესაბამისი ეკონომიკური გარემო, სადაც საბანკო კრედიტი იყო 7 – 8%. მაშინ როცა საქართველოში საბანკო კრედიტი არის 30% ლეგალურად და 30% ზემოდან. ყველა წარმომადგენელი ქვეყანა იყო ეკონმომიკურად მიმზიდველი, რომი თუ ეკონომიკურად ვერ ახერხებდა ევროპული ქვეყნების დაკაბალებას, მაშინ მიდიოდა ცეზარი, პომპეუსი და ისე იპყრობდა იმ სახელმწიფოს შემდგომი პერიოდიც რა თქმა უნდა ისევ გლობალიზმის და ეროვნულობის დაპირიპირება იყო, მაგრამ ამ ბრძოლაში მაინმც ეროვნულობამ გაიმარჯვა და დღემდე ერები არსებობენ, და დედამიწაზე არ შექმნილა ერთიანი გლობალური კულტურა, სარწმუნოება, მენტალიტეტი, რადგანაც როგორც ინდივიდია განუმეორებელი, ისევე ერია განუმეორებელი.

ჩვენ თავი უნდა ავარიდოთ გათქვეფას იმ მსოფლიო გლობალურ მოდელში,რომელიც ითვალისწინებს დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანის გატანასწორებას. შემდეგი ეტაპი ბოლო 2 საუკუნის განმავლობაში იყო

ნეოკოლიზმი, როდესაც განვითარებულმა მანიფაქტურულმა, კაპიტალისტურმა ქვეყნებმა შეძლეს დედამიწის ხუთივე კონტინენტზე,საკუთარი გავლენის გაძლიერება ომით, რელიგიურო ფაქტორების გავლენით. გლობალიზმის შემდგომი ეტაპი უკვე კომუნისტურ დოქტრინის სახით, ტროტსკის რევოლუციების და მარქსიზმის და ლენინიზმის სახით, რომელიც ითვალისწინებდა პროლეტარულ დედამიწის შექმნას, სადაც ყველა მუშა და გლეხი იშრომებდა და იცხოვრებდა ლაღად, მაგრამ ვერ გაითვალისწინეს, რომ ყველა ადამიანს განსხვავებული შეხედულებები და ინტერესები აქვს.

ფაშიზმიც გლობალიზმის ელემენტები გახლავთ გარკვეული რასობრივი უპირტესობის მოდელით და ისიც კრახით დამთავრდა.

ახლა მოვიდა ახალი გლობალიზმი საქართველოში, ეს არის ატლანტიკური - იგივე ამერიკული გლობალიზმი. დარჩა ერთი ბიპოლარული სამყარო, რომელსაც აქვს პრეტენზია მართოს მთელი მსოფლიო. ბუნებრივია მას თავისი სქემაც გააჩნია მთელი დაფინანსებით, იდეოლოგიით, რომელიც უნდა დაინერგოს და ბოლოს ყველამ ერთ ჰოლივიდურ ფილმს უნდა უყუროს, ყველა უნდა გაიზარდოს ჩ - ის პროგრამებზე. დედამიწის თვისების მოდელი შემუშავებულია, თავის სქემებით და ისევ ჩვენ გავხდით მსხვერპლი ახალი გლობალიზმისა. პირველი სერიოზული ექსპერიმენტი სერიოზული და ძლიერი ბოლშევიზმისა და საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში განხორციელდა, იგივე კეთდება დღესაც. ეს შეიძლება ქართველები არაკრიტიკული, არასერიოზული მიდგომის ბრალიც არის. ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდში ჩვენ მოვიწყვეთ 9 აპრილი, საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებმა კი იოლად შეძლეს დამოუკიდებლობის მოპოვება. დღეს აშშ - ს მიზანია ევროპისა და აზიის გაერთიანება და ჩვენ ამ სეგმენტში ვართ მოყოლილი.

ბოლო პერიოდში მე მქონდა შეხვედრა პარიზში საფრანგეთის საგარეო ასაქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. ეს იყო დახურული შეხვედრები, სადაც მე პირდაპირ განვაცხადე, რომ ის რაც მოხდა საქართველოში ვარდების რევოლუციის სახით, როდესაც ხალხი მოატყუეს, მოხდა ხელისუფლების ჩანაცვლება მისივე მოადგილეებით. თქვენ გაგიგიათ, რომ ხდებოდეს რევოლუცია და სახელმწიფოს მეორე პირი ხდებოდეს პირველი პირი, მმართველი ფრაქციის ყოფილი ლიდერი ხდებოდეს პირველი პირი, მმართველი ფრაქციის ყოფილი ლიდერი ხდებოდეს პრეზიდენტი, შევარდნაძის პარლამენტის თავჯდომარე ხდებოდეს პრემიერ - მინისტრი. რევოლუცია როგორც წესი, ყოველთვის გულისხმობს ახალი კლასის და ახალი ხელისუფლების მოსვლას სათავეში, მაგრამ აქ მოხდა პირიქით, მობერებულ შევარდნაძის კლანს ჩაენაცვლა ახალი შევარდნაძისტების კლანი, რომლებსაც მისისიპის წყალი აქვთ დალეული და გაცილებით კარგად და დახვეწილად იციან პოლიტიკური ტექნოლოგიები და პოლიტიკური და ეკონომიკური ნიუანსები, როგორ აკეთონ ფული. შევარდნაძისტების კლანმა ფულის მხოლოდ ბიუჯეტიდან მოპარვა იცოდა, ესენი პირდაპირ ბიუჯეტიდან არ მოიპარავენ,არამედ მივლენ სოროსთან, ის მოაწყობინებს მათ ვარდების ან ენძელების რევოლუციას, სანაცვლოდ კი მას გადასცემენ ისეთ სტრატეგიულ ობიექტს, როგორიცაა საქართველოს რკინიგზა. რკინიგზა უკვე გასხვიოსების

სტადიაშია. სწორედ ეს ფორმა აქვთ არჩეული ახალგაზრდა შევარდნაძისტებს. კორუფციის ეს ფორმა ძალიან ძნელი დასამტკიცებელია.

იუგოსლავია იყო ვარდების რევოლუციის პირველი ექსპერიმენტი, შედეგად ქვეყანა რამდენიმე ნაწილად დაიშალა. ვარდების რევოლუციის შეიძლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შეეწიროს. ამის მიზეზად შეიძლება გახდეს ის, რომ საქართველოში განლაგდეს აშშ - ს სამხედრო ბაზები. მე ხაზს ვუსვამ, რომ ჩვენი პარტი ა არც პროამერიკული და არც პრორუსულია, ჩვენ პროეროვნული ვართ, ჩვენ არ გვინდა გავხდეთ დიდი სახელწიფოების საბრძოლო არეალი. დიდი სახელმწიფოები გარიგდებიოან ერთმანეთში და არც ერთ ჩვენს გამო ბირთვულ ომს არ ატეხავს.

ყველაზე სშამწუხარო ის არის, რომ ეროვნული ფუნქცია თავის თავზე ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ჟვანიამ და სააკაშვილმა აიღეს. მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ საპრეზიდენტო პორტფელი სააკაშვილმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ივანოვის მეშვეობით მიიღო. ეს იყო შეთანხმებული აგრეთვე აშშ - ს სახელმწიფო დეპარტამენტთან. ეს რევოლუცია იყო აშშ - მთავრობის გადაწყვეტილება, მაგრამ დაფინანსება მოხდა ჯორჯ სოროსის საბანკო ანგარიშებიდან და სწორედ ამიტომაც არ მივიღეთ ჩვენ ვარდების რევოლუციაში მონაწილეობა

ახალი ხელისუფლება იგივეს კეთებას განაგრძობს, რასაც შევარდნაძე აკეთებდა. მაგ: 2 თვის პენსიები გაიყინა. შევარდნაძე ყველაზე კორუმპირებული იყო, მაგრამ მას 60 მილიონიანი სასახლე არ აუშენებია, როგორც ამას ამჟამინდელი პრეზიდენტი აკეთებს. მე პირადად არ ვთვლი მას. ჩემს პრეზიდენტად, თუმცა არ შემიძლია თქვენთან ძალიან რადიკალურად ვიყო.

ჩვენ ყველაზე მეტად გვეშინოდა იმის, რომ შევარდნაძეს არ მოესწრო საკუთარი ხელისუფლების ჩანაცვლება შიდა პოლიტიკური რესურსით, მაგრამ მან ეს მაინც მოასწრო ვარდების რევოლუციის სახით. ჟვანიამ 2 ნოერმბრის არჩევნებში ვერ მოახერხა 7% -ანი ბარიერის გადალახვა და მამალაძემ 30 - ათასი ხმა დაუწერა მარნეულში და ეს კაცია დღეს პრემიერ მინისტრი, სადაც 30 წელი ვითმენდით შევარდნაძეს, ერთიო წელიც მოგვეთმინა, ჩატყარდებოდა საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ჟვანიას და სააკაშვილის რეიტინგი დაიწევდა.

დღეისათვის ფუნქციონირებს 1999 წლის პარლამენტი, რომელსაც ვადა აქვს გასული და არა აქვს უფლება მიიღოს კანონები და აიღოს ხელფასიც კი, რადგან პარლამენტი 4 წლით ირჩევა, ამიტომ კონსტიტუციამ უნდა გაუგრძელოს ამ პარლამენტს მუშაობის უფლება. სრულიად წარმოუდგენელია, ის რომ 2 ნოემბრის არჩევნების შედეგად ნახევარი პარლამენტი კანონიერად იცნო, ნახევარი კი - უკანონოდ.

დღეს ყველაფერი შოუდ არის ქცეული. როდესაც მთავრობაში ხარ, დამნაშავე უნდა დაიჭირო, მაგრამ არა ტელეკამერებით, პლიუს ამასთან ერთად მთავარი დამნაშავე შევარდნაძე დღეს კრწანისის რეზიდენციაში ზის. აქ საქმე გვავს სწორედ იმ გარიგებასთან, რომელიც ვარდების რევოლუციის პერიოდში შედგა.

პარტიის როლი მიმდინარე პროცესებში:

ჩვენი პარტიის ამოცანა დაფუძნების დღიდან იყო შევარდნაძიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაფერი შევარდნაძის ბრალია და სააკაშვილი და ჟვანია ანგელოზები არიან, როგორც ამას სხვა ოპოზიციური ძალები ამბობენ და გატრუნებულები სხედან რათა სანაცვლოდ თანამდებები მიიღონ. ჩვენ არ შეგვიძლია ვიფარისევლოთ იმისათვის, რომ რეიტინგი არ დავკარგოთ. ადამიანი იბადება არა რეიტინგისთვის, არამედ იმისათვის, რომ ღირსეულად იცხოვროს, ჩვენ ამ პრინციპზე ვგდავართ.

პარტიის მონაწილეობა არჩევნებში:

ჩვენი პარტია ყველა არჩევნებში იღებდა მონაწილეობას და არც ერთი არჩევნების შემდეგ არ შეგვიშვეს პარლამენტში. 1999წ. ლეიბორისტულმა პარტიამ 7% იანი ბარიერი გადალახა. ეს მონაცემები ეუთომაც დაამტკიცა, მაგრამ ჟვანიამ, სააკაშვილმა და შევარდნაძემ ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე, მაინც არ შეგვიშვეს პარლამენტში. არჩევნებს ყველა პარტია აყალბნებდა, აღორძინებაც და მოქკავშირიც. ერთი ჩვენ არ ვისწავლით არჩევნების გაყალბება. 2 ნოემბერს დაგვიწერეს 12%, მაგრამ მაინ ც არ შეგვიშვეს პარლამენტში. სააკაშვილი შევიდა პარლამენტში, დალია შევარდნაძის ჩაი, მაგრამ რას ერჩოდა ახლად არჩეულ პარლამენტს, რომელიც ნაკელები გაყალბებით იქნა არჩეული.

28 მარტის არჩევნებში ჩვენ მაინც ვიღებთ მონაწილეობას, რათა ჩვენი ელექტორატის სეგმენტი არ დავუთმოთ მათ. ამასთან ჩვენ ყველაფერი გასაჩივრებული გვაქვს ევროპის სასამართლოში. ევროპაში ამ ტრიბუნას გამოვიყენებთ, ეს მოხდება უთუოდ, რათა ხალხმა მთავრობამ მთლად არ მოგვყიდოს სოროსს, რომლის წარმომადგენლებიც საქართველოს მთავრობაში შეადგენს 70% -ს. ეს უწყებები უკვე აღარ არიან ეროვნული უწყებები,მაგ: კახა ლომაია, განათლების ახალი მინისტრი, რომელიც იყო სოროსის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, რომელმაც დააფინანსა „კმარას“ ორგანიზაცია. როგორც ვიცით დაფინანსება 100 მლ -ს შეადგენს.

ადგილობრივ არჩევნებში ყოველთვის გავიმარჯვებთ, 1998 წელშიც გავიმარჯვეთ, სააკაშვილი ავირჩიეთ საკრებულოს თავმჯდომარედ, ამასთან სევთანხმდით, რომ ერთობლივი ოპოზიციური მთავრობა გვეყოლებოდა, მაგრამ შეეკრა ზოდელავას და იყიდა ჩვენი 5 დეპუტატი 50 ათას დოლარად.

რეფერენდუმი

ამ რეფერენდუმმა გადაწყვიტა, რომ შემცირებულიყო პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რეფერენდუმი კონსტიტუციურად მნიშვნელოვანი აქტია, ამიტომ ეს პარლამენტი უნდა აირჩეს რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად. ჩვენ სახეზე გვაქვს ანტიკონსტიტუციური გადატრიალება. კონსტიტუციის რაღაც მუხლების გაუქმებას მოჰყვა აფხაზეთის დაკარგვა.

პიარკამპანია, კომპანიის დფინანსების წყარო

ჩვენი წინასაარჩევნო კამპანია ძირითადად კონკრეტული საქმეებით გამოიხატება. მაგ. 60 მილიონი დოლარი დავაკარგვინეთ ამერიკულ კომპანია ეის თელასს და გავაძევეთ საქართველოდან. ესენი აპირებდნენ დენის ტარიფის გაძვირებას, რომელიც ბოლოს 25 თეთრამდე უნდა გაძვირებულიყო. ჩვენ ყოველთვის ვიყავით უმართავი ძალა, ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლა კი იქმნებოდა ლახვარი ამერიკის ბიზნეს ინტერესებითვის.

კითხვა - პასუხი

?ნუკრი ხაჟალია

თქვენმა პოზიციამ რევოლუციის პერიოდში გააღიზიანა მოსახლეობის დიდი ნაწილი.

! ჩვენი აზრით,საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი იყო შევარდნაძის წასვლა ხელისუფლებიდან და არა ახალი შევარდნაძეების მოსვლა. საზოგადოება რომელიც მოედანზე იდგა არ იყო ვალდებული, გაეკეთებინა გეოპოლიტიკური გათვლები. ჩვენ საზოგადოებას გვერდში დავუდექით ერთ ეპიზოდში,როდესაც არ მივედით ახლად არჩეული პარლამენტის ბოლო სხდომაზე, ჩვენ ხალხის გვერდზე დავდექით და არა სააკაშვილის. ჩვენ ვიცოდით, რა შედეგები მოყვებოდა გადატრიალებას და ხალხი პასუხს მოგვთხოვდა იმის გამო, რომ სააკაშვილის და ჟვანიას გვერდით ვიდექით.

? ფილოსოფიის ფაკულტეტის ლექტორი

მე მიმაჩნია, რომ მთელი პოლიტიკური სპექტრი საქართველოში სავსეა შევარდნაძის შვილებით და შვილიშვილებით, მათ შორის ხართ თქვენც, ბატონო შალვა, ეს ტენდენცია სანამ გაივლის, მანამ ხომ დაიღუპება ქართული სახელმწიფო?

! მე არასოდეს შევარდნაძის თანაგუნდელი არ ვყოფილვარ. ჩემი კონფრონტაცია მასთან დაიწყო 92 წელს, როცა მე პროკურატურაში ვმუშაობდი, შევარდნაძემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას თურქეთთან, სადაც მან აღიარა ჩვენი ტაო - კლარჯეთის მიტაცების კანონიერება, როდესაც განაახლა ყარსის შეთანხმება. მან მოგვისპო საშუალება, რომ ჩვენ გვქონეს იმ ტერიტორიების დაბრუნების იმედიც კი. არავითარი პოლიტიკური კავშირი შევარდნაძესთან არ მქონია, მე ვ იყავი უპარტიო მაჟორიტარი დუშეთიდან.

სააკაშვილს დავუთმე იურიდიული კომიტეტის თავჯდომარეობა პარლამენტში, თბილისის საკრებულოს თავჯდომარეობაც, პრეზიდენტობაც და ახლა გაეროს გენერალ მდივნობას ვერ დავუთმობ.

? ელენე ხუციშვილი - პოლიტოლოგი სტუდენტი

რამ განაპირობა თქვენი პოლიტიკური ლიდერობა და რა თვისებებს უნდა ფლობდეს პოლიტიკური ლიდერი?

! ლიდერობას სჭირდება ბრძოლა საკუთარ თავთან, უდიდესი ნებისყოფა. თუკი ადამიანი პოლიტიკური ცხოვრებით არის დაკავებული, მას პირადი ცხოვრება თითქმის აღარ აქვს. ეს არის ასკეტიზმის და ზნეობის საჭირო ფორმა. ასევე მნიშვნელოვანია იდეების ხალხისათვის გასაგებ ენაზე გადმოცემა. არავის არ უნდა ჰქონდეს კომპრომატები პოლიტიკურ ლიდერზე.

კონსტიტუცია, კონსტიტუციონალიზმი

კონსტიტუიაში აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი ცვლილებები და ტერიტორიოული მოწყობის მიხედვით საქართველო უნდა იყოს „რთული სახელმწიფო“, ანუ ქვეყანაში ავტონომიებს აქვთ ფედერალიზმის ელემენტები, ხოლო სხვა ტერიტორია არის უნიტარულ დაქვემდებარებაში. ჩვენთვის ალბათ მისაღებია ესპანური ვარიანტი. არსებობს რამდენიმე ძლიერი ავტონომია, ხოლო სხვა მხარეები უნიტარულად არის მოწყობილი მარტო უნიტარიზმი ან მარტო ღრმა ფედერალიზმი საქართველოს დაშლის.

ზურაბ კუკულაძე - საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი:

? რას გააკეთებდით იმისათვის, რათა საზოგადოებამ მოიპოვოს მხარდაჭერა და რეალურად ებრძოლოს ამ მთავრობას?

! ლეიბორისტულმა პარტიამ შეძლო ამ ათი წლის განმავლობაში ისეთი პრობლემების მოგვარება, სადაც სხვა ქვეყნებში სამოქალაქო ომი დასჭირდათ.

გელა ბანძელაძე - საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი

?მიუხედავად იმისა რომ ევროპის სასამართლოში თქვენ გაგამართლეს, მაინც არანაირი ცბვლილებები არ მომხდარა, და არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას საერთაშორისო სანქციები არ გაუტარებია. როგორ დავაინტერესებთ ჩვენ რუსეთსა და აშშ - ს, რომ მათ ჩვენდამი გეოპოლიტიკური ინტერესები დაკარგონ?

! მე მქონდა შეხვედრა რუსეთის მთავრობის უმაღლეს ი დონის წარმომადგენლებთან. მათი პოზიცია შემდეგია: თუ აქ შემოვლენ სხვა სუბიექტები, რუსეთის ბაზები უპირებოდ გავლენ საქართველოდან. ეს არის უკვე მიღებული გადაწყვეტილება.

სოფო გოგილავა - პოლიტოლოგიის კათედრის მაგიატრანტი.

? რატომ უცხადებთ სადამკვირვებლო მისიას უნდობლობას წინასარჩევნოდ?

! არც ერთს არ ვენდობი, რადგ ან ყველა მსგავსი ორგანიზაცია ფინანსდება ამერიკიდან. როდესაც „ სამართლიანი არჩევნები“ აკვირდებოდა არჩევნებს, მე განვაცხადე, რომ ეს არის არაობიექტური ორგანიზაცია, რადგან მან დახუჭა თვალები წინა გაყალბებაზე. „აი - ფი - ეს“ ის და „ სამართლიანი არჩევნების“ დახმარებით გაყალბდა სიები და ამით ძირითადად ჩვენი პარტია დაზარალდა, რადგან სიებიდან ვარდებოდა ჩენი ამომრჩეველი, მომავალში მნიშვნელოვანია ჩვენი პარტიის წარმომადგენლები არ მოისყიდონ საუბნო და საოლქო დონეზე.

ბაქარ ბერეკაშვილი - პოლიტოლოგიის კათედრის სტუდენტი

? რას ხედავთ ცუდს „ღია“ და „სამოქალაქო „ საზოგადოებებში?

? ღია საზოგადოებაში არაფერს ვხედავ ცუდს, მაგრამ ცუდს ვხედავ სოროსის ფონდის „ ღია საზოგადოებაში“, იმ მოდელებში, რასაც ჯორჯ სოროსის ღია საზოგადოება გვთავაზობს, სოროსს მიაჩნია, რომ საერთოდ პროცესები ქვეყანაში უნდა აკონტროლებდეს მეოთხე ხელისუფლებამ, რაშიც იგულისხმება მედია და არასამთავრობო სექტორი.

საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ მთლიანად კორუმპირებულ სისტემას, ნებისმიერი სადამკვირებლო ჯგუფი, რომელიც აქ ჩამოდის და აკვირდება არჩევნებს იღებს ქრთამს. მათთვის განკუთვნილია ანტიკვარიატი, ძვირფასი ნივთები, დოლარების შეკვრა. ასეთი ცნობილი გახლავთ მათიას იორში, ევროსაბჭოს სადამკვირებლო ჯგუფის ხელმძღვანმელი.

არჩევნებში სასტარტო პირობები ყველასათვის თანაბარი უნდა იყოს. 8 წევრი უნდა ჰყავდეს სააკაშვილს და სხვა დანარჩენ პარტიებს თითო წევრი?

უსუპი ბიწაძე - პოლიტოლოგიის კათედფრის სტუდენტი

? თქვენი აზრით უნდა გავიდეს რუსეთის ბაზები და არ შემოვიდეს აშშ - ში? თქვენ რომ ხელისუფლებაში იყოთ, როგორ დაარეგულირებთ ამ საკითხს?

! საქართველო არ უნდა იყოს დიდი სახელმწიფოე ბის საჯიჯგნი არეალი. ჩვენ ჩავატარებდით რეფერენდუმს კითხვით: უნდა იყოს თუ არა საქართელო ნეიტრალური სახელმწიფო? როგორც კი მოსახლეობის უმეტესობა ხმას მისცემს ნეიტრალიტეტს, ეს სავალდებულო ხდება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. რაც შეეხება ინვესტიციებს, მე ამაში ვერაფერ პრობლემას ვერ ვხედავ. პატარა ერების გადარჩენის ერთადერთი გამოსავალი სწორედ ნეიტრალიტეტია.

გიორგი ხოჭოლავა - პოლიტოლოგიის კათედრის სტუდენტი

?რა შეიძლება მოიტანოს ახალი მთავრობის სურვილმა ინტეგრაციისას როგორც დასავლეთთან ასევე რუსეთთან?

! რაც შეეხება საქართველოს სურვილს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისა, ეს არის ა ,შ. შ. - ს შეკვეთა, ამერიკის სურს აკონტროლოს ევროპა სატელიტური ქვეყნების მეშვეობით. ასეთ სატელიტები პოსტსაბჭოთა ქვეყნებია. დღევანდელი პრეზიდენტი პოლიტიკურად ცელქობს, მის ვიზიტს თუნდაც რუსეთში არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

ჯუბა მარუაშვილი - ვინ გაფინანსებთ?

ლეიბორისტულ პარტიას მე ვაფინანსებ. ფაქტიურად შიდა პარტიული რესურსით ვფინასდებით. ზოგს 500, ზოგს 100 ლარი შემოაქვს თვეში. პარტია დიდია, ეს თანხები აღარ გვყოფნის, ხელფასები არ არის პარტიაში.

რუსუდან პაჭკორია - წინასაარჩევნოდ თქვენი პარტია საერთოდ არ ურთიერთობდა საზოგადოებასთან, პარტია ცნობადი იყო თქვენი გამოსვლებით პრესაში, მაგრამ არა ადგილობრივი ლიდერებით?

ფინანსებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინც ზნეობრივია და ინტელექტუალურია, ის ნაკლებად მიდის პოლიტიკაში. ამ დროს ჩნდება ვაკუუმი და ადგილი ცარიელი არ რჩება. აქ მოდიან ავანტიურისტები. ასეთი ავანტიურისტები ჩემს პარტიაშიც შემოდიან.

თამარ კიკნაძე - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი - მარტო რეფერენდუმის ჩატარება ნეიტრალიტეტის მიღწევას არ ყოფნის. არსებობს მთელი რიგი პირობები, რაც ქვეყნად უნდა დააკმაყოფილოს, დღეისათვის კი ეს წარმოუდგენლად მეჩვენება?

ბევრი პროცედურაა გასავლელი, ყველა მეზობელმა სახელმწიფომ უნდა დაადასტუროს თანხმობა, რომ შენ იყო ნეიტრალური.

გიორგი ლავრელაშვილი - როგორ გადაწყვეტდით აფხაზეთის პრობლემას, ხელისუფლებაში რომ იყოთ?

მზა რეცეპტი არ არსებობს. ჩვენ კიდევ კომუნისტების მმართველობის წლებში ვეღარ ვმართავდით აფხაზეთს. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება, ეს კი შეუძლებელი გახდება, თუ საქართველოში უცხო ქვეყნების ძალები შემოვლენ.

გიორგი ბერია - პოლიტოლოგიის კათედრის სტუდენტი - თქვენ საუბრობდით, რომ ყველა პარტიამ გაყალბება არჩევნები თქვენს გარდა. რატომ არ მიხვედით პირველ სხდომაზე და თუ არ მიხვედით, ახლა რატომ ითხოვთ 2 ნოემბრის პარლამ,ენტის ფუნქციონირებას?

პარლამენტი რომ განწირული იყო, ეს ჩვენ ვიცოდით. აშშ -ს ელჩი სხდომას არ ესწრებოდა. რუსეთის ელჩი არ ესწრებოდა და უწმინდესი არ ესწრებოდა.

სხდომას რომ არ დავესწარით, ამით ხალხს გამოვუცხადეთ სოლიდარობა, მაგრამ არა ჟვანია - სააკაშვილს. ყველაფერი ეს სპექტაკლი იყო.

„ახალი მემარჯვენეები“
ფიქრია ჩიხრაძე

27.02.2004

ძალიან საინტერეოა ჩემთვის თქვენთან შეხვედრა და აზრთა გაზიარება, რადგან მე როგორც წარმომიდგენია, ეს არ არის ცალმხრივი. ეს არის ადამიანებთან დიალოგი, თავიანთი დამოკიდებულებები პოლიტიკური პროცესებისადმი. სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური კულტურის სერიოზული დეფიციტია. ჟურნალისტებიც, რომლებიც პოლიტიკაში მუშაობენ, ძირითადად გარკვეული სტერეოტიპების ქვეშ არიან მოქცეული და ბუნებრივად ერთიდაიგივე კლიშეები და სტერეოტიპები ტრიალებს ყველა ინტერვიუში, ყველა კომენტარში და ეს კლიშე რომელიც გადადის საზოგადოებაში. შემდეგ ძნელი ამოსაძირკვი ხდება. ეს ალბათ იმის ბრალიც არის, რომ ჩვენც მაინც ახალგაზრდა სახელმწიფო ვართ და შესაბამისად პოლიტიკური ცხოვრების არც ისე დიდი ტრადიცია გვაქვს და ალბათ ნელ - ნელა ეს ყველაფერი თავის ფორმას და სახეს მიიღებს. მე სტუდენტური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი ვიყავი, მაგრამ ჩვენ ვითვლებოდით უფრო პოლიტიკის მოყვარულებად, არაპროფესიონალურ პოლიტიკოსებად და არც ვუწოდებდით ჩვენს თავის პოლიტიკოსებს, იმიტომ, რომ როგორც ასეთი პოლიტიკაზე ჩვენ არანაირი პროფესიული წარმოდგენა არ გვქონია. ჩვენი აქტიურობის მასაზრდოებელი იყო მხოლოდ პატრიოტული მოსაზრებები.

რაც შეეხება პარტიას, პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“ საკმაოდ ახალგაზრდული ძალაა. ჩვენ ჩამოვყალიბდით 2001 წლის ივნისში და ამ პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა პარლამენტში ახალი ფრაქციის გაჩენა. ეს იყო ათკაციანი ფრაქცია - რომლის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ მაშინდელი უმრავლესობიდან პროტესტის
ნიშნად წამოსული ადამიანები. მხოლოდ ორნი ვიყავით არაუმრავლესობის წევრი - მე და გია ყარყარაშვილი. ამ ფრაქციის გაჩენამ საკმაო პოლიტიკური ძვრა მოახდინა მაშინდელი პარლამენტის ცხოვრებაში, რამაც თავის მხრივ განსაზღვრა იმ პერიოდის ოპოზიციის კოორდინირება. ამან კი მაშინდელი უმრავლესობა დაშალა. მართალია, დიდი ვერაფერი პარლამენტი ვერ მივიღეთ, რადგან უკვე ყოფილი უმრავლესობის ფრაქციები არანაირ პოლიტიკურ ღირებულებებს აღარ წარმოადგენენ და ისინი უფრო რაოდენობრივ ეფექტს ახდენდენ, ვიდრე პროფესიულს.

ჩვენი პარტიის თავჯდომარე დავით გამყრელიძე გახლავთ, რომელიც პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა და მე შემიძლია ვთქვა, რომ ახალი თაობის პოლიტიკოსთა შორის ერთერთია იმ ადამიანთაგან, რომელიც პოლიტიკას

უყურებს როგორც მეცნიერებას, როგორც მსოფლმხედველობას და არა ისე, როგორც ეს ჩვენშია მიღებული.

საქართველოს პოლიტიკური პარტიები ძირითადად დაკომპლექტებული იყო ძველი სახეებით, სიები ივსებოდა ნომენკლატურული შეხედულებებით და არა პროფესიონალებით. უფრო ადრე მრეწველები და შემდგომ ახალი მემარჯვენეები იყო ახალი ტიპის პოლიტიკური პარტიები საქართველოში, რომლებიც ასე ვთქვათ, ბიზნესის წრეებიდან წამოსულ ადამიანებს აერთიანებდნენ და პოლიტიკაში ეკონომიკური აზროვნების პრიმატი შემოქონდათ.

ჩვენ ორ არჩევნებში მოვასწარით მონაწილეობის მიღება. ახალი მემარჯვენეები ვიყავით ერთი წლის პოლიტიკური ძალა, როცა მონაწილეობა მივიღეთ 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივ არჩევნებში და მაშინ იცით, რომ პროპორციული არჩევნები ტარდებოდა მხოლოდ თბილისში, დანარჩენ საქართველოში კი- მაჟორიტარული არჩევნები პარტიული წარდგინებით და ჩვენ პროცენტულად რაიონისა და სოფლის საკრებულოების თავჯდომარეების გაყვანის თვალსაზრისით გავედით პირველ ადგილზე. ავიღეთ სადღაც 600 - მდე მანდატი. მეორე ადგილზე მოდიოდნენ მრეწველები. რაც შეეხება თბილისს, საკრებულოში აღმოჩნდა ჩვენი შვიდკაციანი ფრაქცია ნაციონალებსა და ლეიბორისტების შემდგომ. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში. მაშინაც დამოუკიდებლად ვმონაწილეობდით, თუმცაღა გვქონდა დიდი სურვილი, რომ იგივე მრეწველებთან შეგვეკრა ბლოკი, მაგრამ მაშინ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო არ მოხერხდა ამ ბლოკის შეკვრა და ჩვენ ცალ - ცალკე გამოვედით ამ არჩევნებში. ვერ ვიტყვით, რომ იმ შედეგს მივაღწიეთ, რასაც ვგეგმავდით, თუმცა ესეც მიღწევა იყო იმ ფონზე. მოგეხსენებათ მემარჯვენეები არ გამოირჩევიან პრობლემისადმი რადიკალური მიდგომით, არ აკეთებენ პოპულისტურ განცხადებებს და არ ეწევიან სოციალურ დემაგოგიას.

მრეწველებს ჰქონდათ ჩვენზე ნაკლები პროცენტები, მაგრამ საერთო ჯამში ჩვენი და მათი ხმები შეადგენდა 14 – 15% , ანუ ჩვენ ეს წარმოდგენას გვაძლევს რა რაოდენობის მემარჯვენე ელექტორატია საქართველოში. სამწუხაროდ ძალიან მცირეა, თუმცა რუსეთშიც მემარჯვენე ორიენტაციის პარტიებმა საერთო ჯამში 9 – 10% დააგროვეს.

რაც შეეხება რევოლუციასთან დაკავშირებულ საკითხებს, მე მთელი ჩემი არსით, შეგნებით და მსოფლმხედველობით ვიყავი რევოლუციის წინააღმდეგი, ვინაიდან მჯერა, რომ ერთია რევოლუციის გარდაუვალი აუცილებლობა, როდესაც ქვეყანაში ბუნებრივად მიდის ყველაფერი იქითკენ, რომ მოხდეს რევოლუცია და მეორე, როდესაც ხელოვნურად ხდება იმ პროცესების გამოწვევა, რომ მოხდეს რევოლუცია. ბუნებრივი წინაპირობები ძალიან ბევრი იყო ამგვარი პროცესების განვითარებისათვის, მაგრამ ძალიან ბევრი ხელოვნურად იყო გამოწვეული, რომელიც ამ განწყობას უფრო და უფრო მობილიზებას უკეთებდა და გარდაუვალს ხდიდა რევოლუციას. შეიძლება ასეთ ვითარებაში ადამიანი ნაკლებ ყურადღებას აქცევს, თუ არ შეიძლება მოჰყვეს რევოლუციას, მაგრამ

პოსტრევოლუციური პერიოდი უკვე იძლევა ანალიზის შესაძლებლობას. ჯერჯერობით რევოლუციური ეიფორია ჯერ კიდევ არ არის ჩათვლილი და 2 – 3 თვეში ალბათ ყველაფერი უფრო დარეგულირდება და შესაძლებლობა მოგვეცემა თითოეულ ჩვენგანს გავაანალიზოთ ის, რასაც ამ რევოლუციის შემდგომ პერიოდში მოხდა და რამდენად კარგია ეს ყველაფერი ქვეყნისათვის, საერთოდ ჩვენს მაგალითზე, რომ ვთქვათ სხვა არის პოლიტიკური ძალის პასუხისმგებლობა, როდესაც ის რევოლუციურ ტალღაზე მოვა ხელისუფლებაში და სხვა, როდესაც მშვიდობიან პერიოდში მოხდება მთავრობის ფორმირება ანუ რევოლუციას თან ახლავს პრეტენზიულობა და შესაბამისად პრეტენზიულია რევოლუციის შემდგომ მოსული მთავრობაც. ამ პრეტენზიულობის დაბალანსება ძალიან ძნელია სახელისუფლებლო შტოების მეშვეობით, ძნელია იგი განსხვავებული აზრის მქონე საზოგადოების საშუალებითაც. ამის დაბალანსება ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს. დღეს საზოგადოებასაც ძნელად გააგებინებ და პრეზიდენტ სააკაშვილსაც ძნელად დაათმობინებ, იმას რაც მიიღო რევოლუციის შედეგად. ვთვათ ჩვენ ვამბობთ, რომ ძალიან მაღალმა საზოგადოების პროცენტმა მხარი დაუჭირა მას და მართლაც დაუჭირა ხალხმა მხარი მის საპრეზიდენტო პოსტზე არჩევას, მაგრამ ამ გზით ხელისუფლებაში მოსულ ადამიანს გაუჩნდა პრეტენზია, რომ ის არის უმაღლესი არბიტრი, რომ ის დგას კონსტიტუციაზე მაღლა და მისი სიტყვა არის კანონზე უზენაესი. მაგალითად, როდესაც პრეზიდენტი საგადასახადო ამინისტიასთან დაკავშირებით ამბობს, რომ მოახდინეთ ქონების სწორი დეკლალირება, გადაიხადეთ გადასახადები და მე სიყვას გაძლევთ, რომ არ იქნებით დასჯილი. ესე იგი პრეზიდენტი კანონის არარსებობის შემთხვევაშიც კი თავს უფლებას აძლევს ვიღაცას მისცეს გარანტია, თუმცა მერე იმასაც ამატებს, რომ თუ საჭირო იქნა ამის ინიციატივითაც შევა პარლამენტში. მე არ ვსაუბრობ ოპოზიციის კუთხით, რადგან არ ვესაუბრები ამომრჩევლებს. მე მინდა მომავალ პროფესიონალებთან ერთად გავაანალიზო ის, რაც მოხდა. იგივე საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან იყო განცხადებები იმის თაობაზე, რომ თუ არ მოხდება საკონსტიტუციო ცვლილებები, მათ შესაძლებლობა არ ექნებათ განახორციელონ ის მიზნები, რომლებიც ქვეყანაში საზოგადოების საკეთილდღეოდ აქვთ დასახული,ანუ ამ საკითხების პოლიტიკურ ძალებზე და საზოგადოებაზე თავს მოხვევა ხდებოდა. ჩვენ და იმ ძალებს რომლებიც ოპონირებას ვუწევთ მთავრობას, პრეზიდენტს, გვაიძულებდნენ და გვთხოვდნენ მხარი დავუჭიროთ ამ ცვლილებებისთვის, რათა მისცემოდათ მათ რეალური ნაბიჯების გადადგმის საშუალება, ანუ რევოლუციამ გააჩინა ისეთი დაკვეთა საზოგადოებაში, რომელსაც ძალიან აქტიურად, უნდა დაუპირისპირდე, რაც არ არის არანაირად შედეგის მომტანი, ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ ვართ ის ძალა რომელიც ქვის სროლითა და ლანძღვა - გინებით ახდენდეს ოპონირებას. არადა დღეს ქვეყანაში ნორმალური ოპონირების რეალური შესაძლებლობა ნამდვილად არ არის. მე იმედი მაქვს, რომ 2 – 3 თვეში მაინც ყველაფერი დარეგულირდება, მაგრამ ამ ეტაპზე არჩევნების დანიშვნა ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან ყოველივე ამის შემდეგ საზოგადოებაში ჩნდება ის აზრი და განწყობა, რომ ესენი ხომ არიან ხელისუფლებაში მოდი პარლამენტშიც ესენი იყვნენ და თუ არ ივარგებენ, წინა ,ხელისუფლება ხომ ჩამოვაგდეთ ამასაც ჩამოვაგდებთ. ესეც სამწუხაროდ ცუდი სინდრომია რომელიც ჩვენს საზოგადოებაში დამკვინდრდა და ალბათ დიდი დრო დასჭირდება, რომ ჩვენს ამას გადავეჩვიოთ. მე სტუდენტი ვიყავი, როდესაც

პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ დაიწყო გამოსვლები და ვნანობ არა იმას, რომ ოპოზიციაში ვიყავი - ალბათ დღესაც ეს პოზიცია მეკავებოდა - არამედ იმას, რომ აღვმოჩნდი იმ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების გვერდით, რომლებმაც შემდეგ იარაღი გამოიყენეს მაშინდელი ხელისუფლების დასამხობად. ამან ძალიან დიდი დაღი დაასვა საზოგადოებას. გარდა იმისა, რომ ის ორ ნაწილად გაიხლიჩა და ძნელად განკურნებადია ეს სისხლიანი დაპირისპირება თანამოძმეებს შორის, რომ გაჩნდა ამგვარი ფსიქოლოგია, რომ იარაღის ძალით შეიძლება ხელისუფლების ჩამოგდება. ასეთ ვითარებაში ფერხდება დემოკრატიული პროცესები. დღემდე პრაქტიკულად არც ამორჩეულისა და არც ამომრჩევლის პასუხისმგებლობა არ ასებობდა, იმიტომ რომ ფაქტიურად ამომრჩევლის ნება მინიმალურად იყო გათვალისწინებული. იმიტომ რომ არჩევნები სერიოზული მასშტაბით ყალბდებოდა. როდესაც ამ გზით ხდება ხელისუფლებაში მოსვლა, რაოდენ ბევრი ლაპარაკიც არ უნდა იყოს იმაზე, რომ დეპუტატი ხალხის მანდატითაა აღჭურვილი, მაინც ხდება ხალხის იგნორირება, რადგან ის რევოლუციურ ტალღაზე და არა ჩვეულებრივ კონკრეტული არჩევნებით მოვიდა ხელისუფლებაში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ უფრო კარგია და ეს საზოგადოებასაც უნდა, თუ ჩვენ გვეყოლება 55 -60% არჩეული პრეზიდენტი, რომელიც იძულებული იქნება გაითვალისწინოს, რომ ქვეყანაში არსებობს ძლიერი ოპოზიცია, ის რომ სახელისუფლებლო შტოებზე არსებობს ურთიერთკონტროლი და ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ თუ მომავალში პრეტენზია აქვს, კიდევ იყოს არჩეული. სულ სხვა სიტუაცია გვაქვს, როდესაც ადამიანმა იცის, რომ 90 ან მეტი პროცენტით არის არჩეული, იგი ლაპარაკობს ხალხის სახელით, რადგან იცის, რომ ხალხმა მას ამხელა მანდატი მისცა, აკეთებს იმას, რაც უნდა და ცვლის ყველაფერს ისე, როგორც მას წარმოუდგენია. მე არ ვსაუბრობ ოპოზიციის კუთხით, სამწუხაროდ ჩვენ სამივე. . .,პრეზიდენტი თითო არჩევაზე ავირჩიეთ ძალიან დიდი პროცენტებით. გამსახურდია ავირჩიეთ სადღაც 87%, მაგრამ ერთი წლის თავზე საზოგადოებამ შევარდნაძე აირჩია ისევ 87 თუ მეტი პროცენტით. გაყალბებები მაშინ ყოველშემთხვევისთვის ამ მასშტაბით ნამდვილად არ იყო და ეს ციფრი რაღაც რეალობას ასახავდა, ესე იგი საზოგადოების დამოკიდებულება პოლარულად იცვლებოდა. შემდეგ არჩევნებზე მდგომარეობა სხვაგვარი იყო. შევარდნაძეს ნამდვილად არ ეკუთვნოდა იმდენი ხმა, რამდენიც მიიღო, თუმცა საუბრობენ იმაზე, რომ ის არჩევნები კონკურენტუნარიანი იყო. ეხლაც იგივე მდგომარეობა იყო, როდესაც ხალხმა სააკაშვილი 94% - ით აირჩია და ალბათ ყველა დამეთანხმებით, რომ ხალხი ამას ფიქრობს, თუ ამანაც არ გაამართლა, ჩამოვაგდებთ და მზადა ვარ იგივე ნდობით ავირჩიოთ სხვა ვინმეო. ალბათ დიდი დრო დასჭირდება ამგვარი სტერეოტიპების აღმოფხვრას საოგადოებაში. ჩემთვის და საზოგადოებისათვის ალბათ უფრო კარგი იქნება, როდესაც კანდიდატებს შორის 3 – 4% იქ ნება განსხვავება და არჩეული პრეზიდენტი როგორმე ეცდება კანონის ფარგლებში აიწიოს რეიტინგი.

რაც შეეხება კონსტიტუციას, მასში ცვლილებების შეტანასთან ერთად ჩაიწერა, რომ ეს არის გარდამავალი და ეს ექვემდებარება გარდასვლას. საერთოდ ძალიან ცუდია, რომ ყოველი არჩევნების შემდგომ ჩვენ შესწორებები შეგვაქვს კონსტიტუციაში,გამსახურდიას დროს მიღებულ კონსტიტუციაშიც დიდად იყო

გათვალისწინებული გამსახურდიას ფაქტორი. შემდეგ შემუშავდა ახალი კონსტიტუცია, რომელიც 1995 წელს არის მიღებული და რომელშიც თითქმის ამერიკული ელემენტები იდო, სინამდვილეში კი მასშიც დიდი იყო შევარდნაძის ფაქტორი. დღესაც ეს მოდელი პრეზიდენტ სააკაშვილისა და მომავალ სავარაუდო პრემიერმინისტრის გავლენით იქნა შემუშავებული და მიღებული. ეს ასე რა თქმა უნდა არ უნდა იყოს, კონსტიტუცია ბევრად უფრო მყარი და შეუვალი უნდა იყოს. კონსტიტუციას უნდა ერგებოდნენ ადამიანები და არა კონსტიტუცია ადამიანს რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას არსებულ მოდელთან დაკავშირებით, მე ეხლაც ჩემს პოზიციაზე ვდგავარ მე მომხრე ვიყავი წინა მოდელის მიახლოებისა ამერიკულ მოდელთან, ანუ ჯობდა დარჩენილიყო საპრეზიდენტო მმართველობა, თუმცა არა იმ უფლებებით,როგორითაც შევარდნაძე სარგებლობდა, გაიოლებულიყო პრეზიდენტის იმპიჩმენ ტთან დაკავშირებული პროცედურები. ახლანდელი ხელისუფლების გუნდურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ჩემთვის ცოტა გაუგებარია ეს, იმიტომ, რომ არც ერთ მოდელში არც ერთ ხელისუფლებას არავინ არ უშლის შემოიკრიბოს თავისი გუნდი. საერთოდ აბსურდია, რომ თუ კაბინეტი არ ექნება, გუნდის შექმნა არის შეუძლებელი. ალბათ ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ადრე ნამდვილად არ არის იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოებაში უნდა იმართებოდეს ფართო დისკუსია და არც ერთი პოლიტიკური ძალის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს, თუ რომელი და როგორი კონსტიტუციური მოდელი უნდა იყოს ქვეყანაში. ამ მხრივ ჩვენ დიალოგიც და საზოგადოებრივი აზრიც ნამდვილად გვაკლია, რადგან მაინცდამაინც დიდი პროფესიონალიზმით არ გამოვირჩევით, როდესაც ამგვარ საკითხებს ეხება საქმე. ამასაც ალბათ ნორმალური შესწავლა სჭირდება, რა თქმა უნდა, არიან შესანიშნავი ექსპერტები, მაგრამ ძირითადად დილეტანტურ დონეზე ხდება მსჯელობა ამ საკითხზე.

მინდა ვთქვა, რომ ამერიკული მოდელი არ არის მძლავრი საპრეზიდენტო მოდელი. იქ უფრო კარგად არის გადანაწილებული პასუხისმგებლობა და ურთიერთკონტროლი.

რეფერენდუმი იმ რევოლუციურმა პროცესებმა გადაიტანა თან, იმიტომ, რომ საერთოდ აბსურდი მივიღეთ იმ თვალსაზრისით, რომ გაყალბებული სიები აღმოჩნდა იმ მოვლენების მიზეზი. მაგრამ ამავე სიებით ჩატარდა მაჟორიტარული არჩევნები, რეფერენდუმი, ორივე დარჩა ძალაში. მხოლოდ გაუქმდა პროპორციული. მაჟორიტარული არჩევნები ძალაში დარჩა და შესაბამისად მომავალ პარლამენტში წარდგენილი იქნებიან ის ადამიანები, რომლებმაც 2 ნოემბრის არჩევნებში გაიმარჯვეს. მაგრამ რეფერენდუმი დარჩა ჰაერში გამოკიდული. არის დარჩენილი ორი წელი იმისათვის, რომ პარლამენტმა განიხილოს რეფერენდუმის შედეგები, მაგრამ იმ ვადაში ამის განხორციელება არ ესწრება, რა ვადასაც ითხოვდა რეფერენდუმი. საკანონმდებლო - სამართლებრივი თვალსაზრისით ლოგიკა ამ გადაწყვეტილებებსა და შედეგებს შორის არ არის.

არსებობს ერთის მხრივ დეკლარირება, რომელიც პოლიტიკურმა ძალებმა უნდა წარმოადგინონ, არა საარჩევნო პროცესებში და ასევე მეორე, რომელიც საარჩევნოდ დახარჯულ ფულს და სახსრებს ეხება. ძალიან რთულია, როცა პოლიტიკურ ძალას უწევს 3 – 4 თვეში სამი არჩევნების ჩატარება. ამ პერიოდის

არჩევნები ამ მხრივ იქნება სერიოზულად განსხვავებული ყველა პოლიტიკური ძალისათვის, რამეთუ დროში არის საკმაოდ შეზღუდული. ვერ ვასწრებთ საზოგადოების ნახევართან მაინც შეხვედრას რადგან ზამთარია, აუდიტორიაში ცივა, საზოგადოების შეკრება გაძნელდება, იმის გამო რომ პრაქტიკულად რაიონებს არ მიეწოდებინათ შუქი, უკვე უჭირს მათთვის ინფორმაციების მიწოდება. შეზღუდულია ის პოპულარული პოლიტიკური გადაცემები, რომლებსაც უყურებდა საზოგადოება და წარმოდგენას იქმნიდა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიაზე. შეზღუდულია, ჩვენ ამ, შემთხვევაშიც შევეცდებით, რომ გადატანილი იქნას რაიონულ სტრუქტურებზე და ალბათ ნახევრად პროდუქციაზე, გაზეთის სახით და არა ბუკლეტის სახით, რომელიც ძვირი სიამოვნებაა.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარტიის საქმიანობაზე მე წინასწარ ვერაფერს ვერ გეტყვით, თუ როგორ ჩატარდება ეს არჩევნები, მე პირადად სკეპტიკურად ვუყურებ იმას, რომ ეს არჩევნები სამართლიანად ჩატარდება, რადგან საარჩევნო კომისიებში იგივე გაუგებარი სიტუაცია რჩება. წინა პერიოდში თუ ხელისუფლებას ჰყავდა 6 წარმომადგენელი, ახლანდელ ხელისუფლებას უკვე ჰყავს 8 წარმომადგენელი, აქედან 1თავჯდომარის სახით, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს, 5 წარმომადგენელს ასევე პრეზიდენტი ნიშნავს და თითო - თითო იმ პოლიტიკური ძალებისაგან, რომლებიც სახელისუფლებლო ბლოკში იქმნებიან გაერთიანებულნი. 8 ადამიანთან გამკლავება ერთი ადამიანით სამართლიანობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ძალიან გართულდება. ჩვენ ასევე არ ვიცით, როგორი იქნება საარჩევნო სიები ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ამ ელექტრონული ვერსიის ჩამოყალიბება, რომ ვიცდეთ რა ტიპის სიებთან გვაქვს საქმე, შესაბამისად ისევ იქნება წინასწარი რეგისტრაცია პლუს დამატებითი სიები, რაც მონიტორინგის სიებთან დაკავშირებით ძალიან ართულებს ვითარებას, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის არჩევნების გასაყალბებლად. დღევანდელ ხელისუფლებას გაყალბება ნამდვილად არ სჭირდება არაფერში ობიექტურად, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი სულ მცირე 110 კაცზე ნაკლების გაყვანას არ აპირებენ, ანუ ეს ყველაფერი არის წინასწარ გაწერილი და აქ უკვე აღარაფერს აქვს აზრი.

რაც შეეხება წინასაარჩევნო პროგრამას და დაპირებას, ჩვენ ვერ წარვადგინეთ კლასიკურ პროგრამას, ვერც კი მიუახლოვდით 2 ნოემბრის საარჩევნო პროგრამას. გახსოვთ, ალბათ, ჩვენი დასაქმებისა და აღმშენებლოპბის 900 დღიანი პროგრამა. წინასწარ ვიცით, რომ ოპოზიცია იქმნება მინიმალური რაოდენობით წარმოდგენილი და შესაბამისად ან უნდა მოატყუო ვინმე, ან ილუზია გაუჩინო, რომ 2 კაციანი წარმომადგენლობით მოვახერხებთ კანონპროექტის გატანას, ასეთი წარმომადგენლობით შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ცვლილებების შეტანით მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში.

კითხვები:

გიორგი აბრამიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

ქალბატონო ფიქრია, პარლამენტში მოხვედრის ორი გზა არსებობს. ერთი, როდესაც ოპოზიციის რიგებიდან მოხვდებით იქ და მეორე, როდესაც მხარს დაუჭერთ სამთავრობო ბლოკს და ამ გზით მოხვდებით პარლამენტში. ხომ არ აჯობებდა მხარი დაგეჭირათ სააკაშვილისთვს, შესულიყავით პარლამენტში. ამის შემდეგ დაგეტოვებინათ ბლოკი და ამით უფრო დიდი დარტყმა მიგეყენებინათ სამთავრობო ბლოკისთვის?

ფიქრია ჩიხრაძე - რა თქმა უნდა, ამგვარი რამის პოლიტიკური მეთოდით გაკეთება შეიძლება. იგივე გააკეთეს პრაქტიკულად გაერთიანებულმა დემოკრატებმა და რესპუბლიკურმა პარტიამ. რა თქმა უნდა კულუარულ ინფორმაციებს ჩვენ უფრო კარგად ვფლობთ და ვიცით, რამხელა ნაღმია ჩადებული დემოკრატებსა და ნაციონალებს შორის და მოსალოდნელია მათი დაშლა. რაც შეეხება რესპუბლიკელებს, ისინი ახლა უკვე პირდაპირ აცხადებენ, რომ პარლამენტში დამოკიდებული ძალა იქმნებიან.

ერთია როცა ამა თუ იმ პარტიაში ერთიანდებიან იმიტომ, მოგვწონს და შენთვის მისაღებია მათი პრინციპები და მეორე, როდესაც შეგნებულად, წინასწარ გამიზნულად ერთიანდებიან პარტიაში, რომ შემდეგ ის გაანადგურო. ალბათ ასეთი ხერხიც დასაშვებია მხოლოდ იმიტომ, რომ გადაარჩინო ოპოზიციური აზრი, მაგრამ მეორეს მხრივ, რას ეუბნები შენს ამომრჩეველს ყოველივე ამის შემდეგ? ასევე აღსანიშნავია მორალური მხარეც, ასე, რომ არა მგონია ეს ხერხი პოლიტიკურად, მორალურად და ალბათ სამართლებრივად იყოს გამართლებული.

?თქვენ არ მიიღეთ მონაწილეობა ვარდების რევოლუციაში, როგორ ფიქრობთ ეს უარყოფითად არ იმოქმედოს თქვენს პარტიაზე 28 მარტის არჩევნებში?

მე პირადად ვეწინააღმდეგები ხელისუფლების ამგვარ შეცვლას, რადგან ეს არ არის სამართლებრივი მეთოდი. კარგი იქნებოდა დანიშნულიყო რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, თავიდან თითქოს ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ეს შეთანხმება დაირღვა და მათ გადაწყვიტეს რევოლუციის ბოლომდე მიყვანა. შევარდნაძის ხელისუფლებამ ბოლომდე მოაბეზრა ხალხს თავი. პოლიტიკური პროცესის სიჯანსაღისთვის ვფიქრობ, უფრო კარგი იქნებოდა მოგვეცადა კიდევ 5 თვე და კანონის საშუალებით მოგვეხდინა ხელისუფლების ცვლა. მემარჯვენეობად მე ზომიერი პოლიტიკოსობა მიმაჩნია. თანამიმდევრობა პოლიტიკაში მსოფლმხედველობრივად უფრო მისაღებია, ვიდრე არათანამიმდევრობა, თუმცაღ აჩვენს საზოგადოებაში სწრაფი რეაგირება უფრო მოსწონთ, ვიდრე თანამიმდევრული და უფრო შედეგის მომცემი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენ შენი დამოკიდებულება შეცვალო. იყო შემოთავაზება, მიგვეღო მონაწილეობა რევოლუციაში და ამით უფრო მოგებული დავრჩებოდით. აკაკი ასათიანმა მიიღო რევოლუციაში მონაწილეობა, და ამის შემდეგ დისტანცირება მოახდინა მისგან და პრეზიდენტის კრიტიკა დაიწყო. მე ყოველთვის მაქვს დავა ამ საკითხზე აკაკისთან, რადგან მან ხელი შეუწყო ამ ტიპის ლიდერის ჩამოყალიბებას. მე კი არ მქონდა სურვილი მონაწილეობა

მიმეღო ამგვარი ლიდერის ჩამოყალიბებაში. აი ალბათ ის ქვაკუთხედი, რომელმაც განაპირობა ჩემი დამოკიდებულება რევოლუციისადმი.

ოლეგ ნამიჩეიშვილი - ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორი:

ქალბატონო ფიქრია, თქვენ რომ არ მოსულიყავით პირველ სხდომაზე და არ შეგექმნათ ქვორუმი, როგორ ფიქრობთ, ისე განვითერდებოდა მოვლენები როგორც ახლა? - წარსულს რომ გადავხედოთ თქვენ, თედო ისაკაძემ და სხვებმა შეიარაღებული ადამიანების გვერდით დგომით ხელი შეუწყვეთ კანონიერი ხელისუფლების დამხობას. ამას მოჰყვა კონსტიტუციის გაუქმება, ამით ისარგებლეს აფხაზებმა, თავი კონსტიტუციის გარეთ იგრძნეს და აღადგინეს თავიანთი ძველი კონსტიტუცია. როგორ უყურებთ ამ თქვენ წარსულს და თუ ფიქრობთ, რომ ცოდვები თქვენც გაწევთ?

- ბატონო ოლეგ, არ ვიცი ამას მონანიებას დავარქმევთ თუ რას, მაგრამ მე არ ვნანობ ჩემს ოპოზიციურ პოზიციას. მე ვნანობ იმას, რომ მოხდა შეიარაღებული გადატრიალება და დაიღვარა სისხლი. მე ვნანობ იმას, რომ ჩვენ, სტუდენტები აღმოვჩნდით შეიარაღებული ადამიანების გვერდით და ეს ჩვენ დროზე ვერ გავაცნობიერეთ. რაც შეეხება პარლამენტის სხდომას, ჩვენ იქ მივიდოდით და თუ არ მივიდოდით, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს შეიძლება ბევრს არასერიოზულად მოეჩვენოს, მაგრამ ასეა. ჩვენ ოპოზიციასთან და მთავრობასთან მივდიოდით ერთი წინადადებით, რომ პირველივე სხდომაზე დაგვენიშნა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. მე ვთვლი,რომ ქვეყანას და პროცესს ეს უფრო წაადგებოდა, ვიდრე ის, თუ როგორც განვითარდა მოვლენები.რაც შეეხება პარლამენტში ვარდებით შევარდნას ეკლების თანხლებით ეს იყო დაგეგმილი. წინასწარ დაწერილი და იქ მისვლა, არმისვლას კიდევ ვიმეორებ, მნიშვნელობა არ ჰქონდა. მახსოვს მუსიკაც კი წინასწარ დაწერეს.

გიორგი ბერია - პოლიტოლოგიის კათედრის სტუდენტი

თქვენ ამბობთ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ხელს უწყობს უკანონობის დაკანონებას. მაშინ ხომ შეიძლებოდა მხარი არ დაგეჭირათ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის. პრაქტიკულად თქვენ ხელი შეუწყვეთ უკანონობას.

- ამ საკონსტიტუციო ცვლილებების გატანას, ჩვენ რაც არ უნდა თავი მოგვეკლა. ისინი მაინც გაიტანდნე. იყო გარანტირებული 30 პულტი, რომელიც მათ სასიკეთოდ მუშაობდა. ამ პროექტისთვის მხარი რომ არ დაგვეჭირა, წავიდოდა ბრალდებები, რომ ქვეყანაში ცვლილებების გატარებას ოპოზიციოიამ მხარი არ დაუჭირა. წარმოიდგინეთ, მთელი წინასაარჩევნო პერიოდი მოგვიხდებოდა თავის მართლება, რაც არ იქმნებოდა მიზანშეწონილი. რომც არ გასულიყო ეს კანონპროექტი, შემდეგ პარლამენტში ეს მაინც განხორციელდებოდა.

ჯუბა მარუაშვილი - გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლევან გაჩეჩილაძემ დატოვა პარტია.

ლევან გაჩეჩილაძეს პარტია არ დაუტოვებია, ის არის ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი და თუ არ გააუქმეს მაჟორიტარის უფლებამოსილება, იგი გააგრძელებს საქმიანობას პარლამენტში. მან, უბრალოდ, აქტიური პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვიტა დროებით. როდის და რა ფორმით დაბრუნდება იგი პოლიტიკაში, ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია.

მერაბ ვაჩნაძე - ისტორიის ფაკულტეტის დეკანი

თქვენ წარმატებას მიაღწიეთ 2001 წლის თვითთმართველობიოს არჩევნებში და საქართველოს მასშტაბით პირველ ადგილზე გახვედით. შემდეგ რა მოხდა? ჯერ ირაკლი ბათიაშვილმა დატოვა პარტია, შემდეგ გია ყარყარაშვილმა. ორ წელიწადში თქვენმა რეიტინგმა საგრძნობლად იკლო. რა ფაქტორებმა ითამაშა უარყოფითი როლი?

ჩვენ რეიტინგის აწევა იმ პერიოდში განაპირობა, ერთის მხრივ, სიახლეებმა და ასევე იმან, რომ მონსტრი მოქკავშირი შევაჯანჯღარეთ. მაშინ ამას საპარლამენტო რევოლუციასაც ეძახდნენ. შეიცვალა უმრავლესობა და ფაქტიურად პარლამენტში ახალი გადანაწილება მოხდა, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებაში. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, ჯერ სააკაშვილის ფრთა გამოვიდა წინა პლანზე, შემდეგ - ჟვანიასი. ამის შემდეგ უფრო რადიკალიზმი წამოვიდა წინა პლანზე და ზომიერი პოზიციის მქონე პარტიები ჩრდილში აღმოჩნდნენ. ნინო ბურჯანაძეს, დიდი რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ საქმე - საქმეზე რომ მიდგა, ხალხმა უფრო რადიკალური ლიდერი აირჩია. ხალხისთვის საჭირო მესიჯები სააკაშვილმა ადრესატამდე უფრო კარგად მიიტანა. ყოველთვის მეგონა, რომ რადიკალურობა პოლიტიკოსისათვის ცუდი იყო.

გიას და ირაკლის რაც შეეხება. გიას ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჯორბენაძესთან. როდესაც გიაზე ტერაქტი განხორციელდა, თუ ვინმემ მას პატრონობა გაუწია, ეს ჯორბენაძე იყო. როდესაც ჯორბენაძემ მოქკავშირის რეორგანიზაცია დაიწყო, გიამ მაშინვე გვითხრა, რომ მას არ შეუძლია ავთანდილ ჯორბენაძეს დაუპირისპირდეს. მართალია , ის პარტიაში არ შესულა, მაგრამ აქტიური მხარდამჭერი იყო. რაც შეეხება ირაკლის, მასთან უფრო რთულად იყო საქმე. ჩვენ ერთადერთ კომიტეტზე გამოვაცხადეთ პრეტენზია, და ეს იყო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, რადგან ნატოსთან ურთიერთობა და თანამშრომლობა ჩვენი პრიორიტეტი იყო. ჩვენი კანდიდატურა, ამ კომიტეტის თავჯდომარის პოსტზე ირაკლი ბათიაშვილი იყო, მაგრამ მაშინ ჩვენს შორის ბიუჯეტის კანონპროექტთან დაკავშირებით მოხდა კონფლიქტი. ჩვენ ამ ბიუჯეტს მხარს არ ვუჭერდით, ირაკლიმ კი დაუჭირა, რადგან თავდაცვის სფეროს აფინანსებდნენ. შემდეგ ჩვენ უკვე მივხვდით, რომ მას უნდა დაეტოვებინა პოლიტიკური პარტია.

ნუკრი ხაჟალია - პოლიტოლოგიის კათედრის სტუდენტი

იმისათვის, რომ პარლამენტში ოპოზიციის უფრო ფართო სპექტრი რომ იყოს წარმოდგენილი, ხომ არ თვლით რომ საჭიროა 7% - იანი ბარიერის დაწევა?

რა თქმა უნდა კარგი იქნებოდა, მაგრამ უკვე ამის თეორიული შანსიც არ არსებობს. მოგეხსენებათ, ეს კონსტიტუციური ნორმაა და ერთი თვე სჭირდება მის განხილვას. წინადადებით უნდა შემოვიდეს პრეზიდენტი, ან უნდა მოგროვდეს პარლამენტის წევრთა უმრავლესობა, ან კიდევ უნდა შეგროვდეს 200 ათასი ხელმოწერა, რაც უკვე დროში არ თავსდება. თავიდან 5 % ბარიერიდან 7% ბარიერზე ასვლა მოხდა ხელოვნურად. მაშინდელმა მოქკავშირმა და ედპ შემოიტანეს ეს ინიციატივა, რომ მოქკავშირს და „აღორძინებას“ გადაელახა ეს ბარიერი და გაეყვანათ ის ძალა, რომელიც მოუნდებოდათ. მაშინ თვით ედპ დარჩა ბარიერს მიღმა.

ბაქარ ბერეკაშვილი - პოლიტოლოგიის კათედრის სტუდენტი

თქვენ თქვით, რომ დასავლეთში განათლების მიღება არაფერს ნიშნავს. მაგრამ იგივე ახლებს ამერიკელი პიარისტები გყავდათ, იმედია იმიტომ, რომ ის პროფესიონალი იყო და არა იმ ნიშნით, რომ ამერიკელი იყო და თუ ამ ნიშნით აიყვანეთ ეს ძალიან ცუდია.

რაც უფრო მეტი ადამიანი მიიღებს განათლებას დასავლეთში, მით უფრო კარგია. მე მიმაჩნია, რომ განათლების სისტემას უნდა ვუშველოთ საქართველოში, რადგან მხოლოდ სერთიფიცირებული ადამიანები, რომლებმაც ორთვიანი კურსები გაიარეს დასავლეთში, არ უნდა ინიშნებოდნენ თანამდებობებზე. ჩვენი ქვეყნისთვის დიდ ფასეულობას უნდა წარმოადგენდნენ ის ადამინები, ვინც ვერ მოახერხა დასავლეთში განათლების მიღება. ჩვენ გვყავს გონიერი და განათლებული ხალხი, რომელთაც განათლება საქართველოში მიიღეს, მაგრამ ამ ადამიანებისათვის, სამწუხაროდ დღეს არანაირი პერსპექტივა არ ჩანს.

რაც შეეხება ამერიკელ პიარისტებს, ისინი ჩვენ მოვიწვიეთ არა ამერიკე ლობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა საქართველოში შემოვიდეს ახალი ტექნოლოგიები და ახალი მიდგომები პრობლემებისადმი და არა კგბ-ს აგენტების მიერ იქნეს დანერგილი საარჩევნო ტექნოლოგიები. თუმცა ამბობენ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსი პიარისტები უფრო კარგად მუშაობენ.

ელენე ხუციშვილი - პოლიტოლოგიის კათედრის მე - 3 კურსის სტუდენტი

რამდენად ანგარიშგასაწევი ძალაა ახლად ჩამოყალიბებული კოკო გამსახურდიას პარტია და წაგართმევთ თუ არა ის თქვენ ელექტორატს?

მე, კონსტანტინე გამსახურდიას ვიცნობ, როგორც ზვიადის შვილს, ხოლო როგორც პოლიტიკოსს მე და, ალბათ საზოგადოებაც მას არ იცნობს. კოკოს არ გაუკეთებია განცხადება, რა ტიპის პოლიტიკური პარტია ექნება და რა დამოკიდელებაში იქნება იგი ახალ ხელისუფლებასთან.

მამუკა კოკორაშვილი - პოლიტოლოგიის კათედრის სტუდენტი

საქართველოში რეალურად არ მუშაობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. რა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ დაყოფილ იქნას სახელისუფლებლო შტოები და არსებობდეს ურთიერთკონტროლი?

დღეს სასამართლო ხელისუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების დაკვეთების შემსრულებელია. შტოებს სჭირდება დანაწილება, რათა ერთი არ იჭრებოდეს მეორეს ფუნქციებში. დღეს ყველაფერი თავიდან არის ასაწყობი კანონთან მიმართებაში, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრიოსითაც, ამისათვის საჭიროა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. საერთოდ სისტემაა დასახვეწი.

აღორძინება
ჰამლეტ ჭიპაშვილი

05.03.2004

პარტიის ისტორია და არჩევნებში მონაწილეობა

ისევე, როგორც ყველა პარტია საქართველოში ჩვენი პარტიაც ახალგაზრდაა, რამეთუ ნამდვილი პოლიტიკური ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო. პირველად ჩვენმა პარტიამ მონაწილეობა 1990 წელს ჩატარებულ მრავალპარტიულ არჩევნებში მიიღო.ეს იყო ზვიად გამსახურდიას პერიოდი. მერე თქვენ იცით, რით დამთავრდა ეს ყველაფერი. აი, ამ პერიოდიდან ითვლის აღორძინების კავშირი თავის არსებობას. ეს პარტია 1992 წელს დაიბადა ბათუმში და მას დემოკრატიული აღორძინების კავშირი ეწოდა. 1995 წლიდან პარტია უფრო სხვა სახით წარმოჩინდა, მას უკვე ჰქონდა თავბისი პროგრამა და 95 წლიდან, როდესაც ჩატარდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, ის ოპოზიციურ პარტიად ჩამოყალიბდა. 1995 წელს ჩვენ გვქონდა გარკვეული წარმატება, მაგრამ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო პარტიამ შეწყვიტა სხდომებში მონაწილეობა, თუმცა ის აგრძელებდა კომიტეტებსა და ფრაქციებში მუშაობას. რაც შეეხება იმას, თურატომ არ ვიღებდით მონაწილეობას სხდომებში, ეს იმ კანონპროეტის უგულველყოფით იყო გამოწვეული, რომლებიც ჩვენ შევთავაზეთ მოქკავშირს. ვერ მივაღწიეთ ამ კანონპროექტის გატანას. სანამ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდა, ჩვენ სხდომებზე მონაწილეობა არ მიგვიღია. 1999 წელს პარტიამ შექმნა ბლოკი სხვადასხვა პარტიებთან - ესენი იყვნენ, ტრადიციონალისტები, სოციალისტები, 21 - ე საუკუნე და თავად ღორძინება. ეს არჩევნები საკმაო წარმატებული იყო ჩვენთვის. აღორძინებამ პარლამენტში 60 -ზე მეტი დეპუტატი გაიყვანა. ამ ბლოკმა დღემდე იარსება, თუმცა პარლამენტში შესვლიდან 2 წელიწად ნახევარის შემდეგ ბლოკი, - ისევე, როგორც მოქკავშირი - დაიშალა. ოფიციალურად ამის შესახებ არ გამოგვიცხადებია, მაგრამ რეალობა ასეთი იყო. სოციალისტები სახელისუფლებლო ბლოკისკენ წავიდნენ, ხოლო ტრადიციონალისტები ცალკე იყვნენ. ჯერ - ჯერობით 99 წელს არჩეულ პარლამენტს არ დაუსრულებია მუშაობა. ის ოფიციალურად დაასრულებს მოღვაწეობას მას შემდეგ, რაც 28 მარტს გაიმართება არჩევნებიდა შემდეგ გაიმართება1 სხდომა.

ასევე მოგეხსენებათ, რომ 2003 წლის 4 ნოემბერს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, ცხადია ჩვენ ვმონაწილეობდით ამ არჩევნებში, გვქონდა საკმასოდ დიდი წარმატებაც - 30 -ზე მეტი გაიყვანეთ პარლამენტში - თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ ცნობილი მიზეზების გამო, ეს შედეგი გაუქმდა.

ვიმედოვნებ, რომ 28 მარტს არჩევნები გაცილებით უფრო დემოკრატიულ;ად ჩაივლის, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა.

არსებული პოლიტიკური ვითარება საქართველოში და მისი შეფასება

ქვეყანაში იყო ძალიან მძიმე მდგომარეობა, ეს გამოწვეული იყო იმ მცდარი, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური ნაბიჯებით, ცუდი საშინაო და საგარეო პოლიტიკით, რასაც წინა ხელისუფლება აკეთებდა. მე ვერ გეტყვით, რა იქნება სამომავლოდ და ეს ხელისუფლება რა ნაბიჯებს გადფადგამს, მაგრამ ჯერჯერობით ის ხელისუფლება ახლა იდგამს ფეხს და ამდენად მსგავსი კრიტიკა მათი მისამართით უადგილო იქნება, თუმცა კრიტიკა ყოველთვის შესაძლებელია. ამდენად, ვნახოთ, რა იქნება, ამერიკული გათვლით ხელისუფლებაში ყოფნის დროს შედეგებს მე - 100 დღეს ითვლიან. არც ერთ ხელისუფლებას არ დაუწყია თავისი მოღვაწეობა იმდენი შეცდომებით, რამდენსაც ეს ხელისუფლება უშვებს. თქვენ ახალგაზრდები ხართ, ახალგაზრდებს აქვთ ის რევოლუციური შემართება, მაგრამ პოლიტიკას სჭირდება უფრო გაწონასწორებული პოლიტიკოსი და ის ვინც ინიშნება თანამდებობაზე - მინისტრი იქმნება თუ უბრალო თანამშრომელი - უნდა იყოს გაწონასწორებული, მას არა აქვს სწრაფი და აუწეონავი მოქმედების უფლება. ასეთი ქცევა შეიძლება მეგობრობის წრეში და პირად ცხოვრებაში, მაგრამ როცა თანამდებობა გიკავია და ასე მოქმედებ, ეს არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. სამწუხაროდ, დღეს ასე ხდება. მოხდა ცუდი მიდგომა დემოკრატიისადმი, უგულვებელყოფილია დემოკრატიის პრინციპები. მსოფლიოში ერი ხანდაზმულად ითვლება, როდესაც შობადობა 7% აღწევს, საქართველოში ეს 11% - ია. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ქართველების გარდა სხვა ერების წარმომაგწენლებიც ცხოვრობენ, რომლებსაც საკმოოდ კარგი დასაყრდენი აქვთ სომცებსა და აზერბაიჯანში, შობადობის თვალსაზრისით საქართველოში სომეხი და აზერბაიჯანელები გაცილებით უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე სომხეთსი და აზერბაიჯანში, საქართველოში დემოგრაფიული სურტათის გამოსასწორებლად თითოეულმა ახალგაზრდამ გოგონამ 4 – 5 შვილი იყოლიოს. ეს შეუძლებელია მომავალი 10 წლის განმავლობაში, რადგან სოციალური ყოფა აუტანელია. წინა ხელისუფლებას ამ სურათის შესაქმნელად არაფერი დაუშურებია, მე მაქვს ამის თქმის უფლება არა როგორც ოპოზიციონერს, არამედ როგორც უბრალო მოქალაქეს. საქართველო პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში ბოლო ადგილზეა შობადობის მხრივ. პირველ რიგში დამსახურებაა ჩვენი „ დიდი დიპლომატის“ ედუარდ შევარდნაძის და იმ გუნდის, რომელმნაც ყლაპა და ყლაპა ყველაფერი, რაც იყო მთლიანად საქართველოში. სახელმწიფოში საშუალო და ხანდაზმული ასაკის ადამიანები არც თუ ისე ცოტაა, და ძნელია საზოგადოებას ასეთმა ნაწილმა ყური დაუგდოს ან გაიზიაროს 26 წლის მინისტრის რჩევა - დარიგებები, რაც არ უნდა განათებულიყო იყოს ის. უკვე დიდი, სერიოზული შეცდომაა, რომ ჩვენ

მხარი დავუჭირეთმინისტრთა კაბონეტს, რადგან საქართველოს დღეს არ სჭირდება, მაგრამ ამავე დროს დავიტოვეთ ჩვენი მიდგომა. ჩვენ ავანსად მხარს ვუჭერთ მინისტრთა კაბინეტს, მაგრამ კრიტიკის უფლებას ვტოვებთ. რაც შეეხება რევოლუციას ქვეყანაში იყო გაუსაძლისი პირობები, მოხდა საზოგადოების ქუჩაში გამოსვლა. ჩვენ ჯერჯერობით ის ქვეყანა ვართ, რომელიც საჭიროებს ლიდერს - ყოჩს, ეს იმით არის გამოწვეული, რომ 70 წელი ჩვენ ისეთ ტოტალიტარულ რეჟიმში ვიყავით, რომერლსაც საბჭოთა სისტემა ჰქვია, რომელიც სპობდა ყოველგვარ ინდივიდუალიზმს და თავისუფალ აზრს, თუმცა ზოგიერთი მინისტრის იმ ყოფას, როცა მაშინ იყო და ეს გარკვეული სოცილაური გარანტიებიდან გამომდინარეობდა. დღეს ჩამოყალიბდა ე. წ. „საბაზრო ეკონომიკა“ „ე. წ.“ იმიტომ, რომ ჩვენ თავიდანვე ვერ ავუღეთ ალღო, საბაზრო ეკონომიკას, რადგან ამ დარგში არანაირი გამოცდილება არ გვქონდა და მერე ჩვენმა კუჭის პრობლემამ დასძლია გონებას, შეიქმნა კლანები და საბაზრო ეკონომიკის მაგიერ მივიღეთ კლანური ეკონომიკა. გაჩნდნენ გარკვეული პიროვნებები რომლებიც აკონტროლებდნენ ყველაფრის შეტანა - გამოტანას ქვეყნიდან, მათ ხელში აღმოჩნდა მთელი საქართველოს სიმდიდრე. ყველა გრანტი, დახმარება და ინვესტიცია ამ კლანის ხელში გადიოდა და რჩებოდა მათ ჯიბეებში.

ამან მოსახლეობაში სრული ნიჰილიზმი გამოიწვია, თუ ჩვენ მანამდე ვამბობდით რომ ვართ საუკეთესო ერი მსოფლიოში, ათი წლის განმავლობაში ჩვენს ცნობიერებაში გაჩბდა აზრი, რომ ვართ ზარმაცი, გამოუსედაგი, გაუტანელი და უქნარა ერი. ამას გარკვეულწილად აღვივებდნენ ზემოდან რათა რწმენა დაგვეკარგა.

მე ყოველთვის იმის მომხრე ვიყავი, რომ უნდა გამოვსულიყავით, მშვიდობიანად თუნდაც უხმოდ, როგორც იყო ამის მაგალითები მსოფლიოში. მოსახლეობა გამოვიდა და დასდგა ჯაკარტაში და ინდონეზიაში სამ დღეში შეიცვალა პრეზიდენტი. მოხდა მსგავსი რამ იგივე იუგოსლავიაში, პერუში და ა. შ. საზოგადოებაში 4 ნოემბრის არჩევნების შემდეგ გაჩნდა შიში იმისა, რომ 2004 – 05 წლებში შეიცვლებოდა კონსტიტუცია და შევარდნაძის ხელისუფლება უფრო გაძლიერდებოდა. პრეზიდენტი თვითონ გახდებოდა პრემიერ - მინისტრი და ათვლა დაიწყებოდა ახალი თანამდებობიდან. ჩვენ გვეყოლებოდა ქვეყნის მმართველი სამარადისოდ, ვიდრე ის განგების გადაწყვეტილებით არ წავიდოდა ამ ქვეყნიდან. ამის რეალური საფრთხე გაჩნდა. ოპოზიციურმა პარტიებმა შევეცადეთ ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის მოგვეწოდებინა. ამას დაერთო მძიმე ეკონომიკური პირობები. ამომრჩეველს ხელი შეუსალეს მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. ამ დროს გამოჩნდა ლიდერიც და რაც მოხდა, თქვენ კარგად იცით. აღორძინებამ ამ დროს დაუშვა საბედისწერო შეცდომა. შეცდომების დაშვება მოხდა 2003 წლის აგვისტოდან დაწყებული, როდესაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ აღორძინებას ლოიალობა გამოეჩინა სახელისუფლებლო ბნლოკისთვის „ახალი საქართველო“ და მომხდარიყო არჩევნებზე ქულების განაწილება. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევთანხმდებით, ცსკ - ს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. ჯემალ გოგიტიძემ მაშინ გადაწყვიტა, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ ჩვენ პარტიას ცესკოში 3 კაცი ეყოლებოდა. უფრო სწორედ 2, როგორც გამარჯვებულ პარტიას და ერთი, როგორც ავტონომიას. მე

კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ამისა. არა მარტო მე. პირველი შეხლა - შემოხლა მოხდა დემოკრატებთან და ჩვენიოს შემწეობით პოზიციები სახელისუფლებლო ბლოკმა გაიმაგრა. ამასთან ერთად ცუდად იმუშავა თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ, და მისმა ლიდერმა. პიროვნებიდან გამომდინარე ცოტნე ბაკურია გახდა პერსონა ნონგრატა და დიდი გაღიზიანება გამოიწვია საზოგადოებაში. ბაკურიამ ბათუმში გაგზავნა პატაკი, სადაც აღნიშნავდა, რომ თბილისში აღორძინებამ მიიღებდა 26%. ეს იყო ასლან აბაშიძეს მოტყუება. აბაშიძე ხშირ შემთხვევაში ძალიან, გულუბრყვილო კაცია, მიუხედავად თავისი პოლიტიკური გამოცდილებისა. მაშინ აბაშიძემ ჩათვალა, რომ სახელისუფლებლო ბლოკი და თვით შევარდნაძე მას ატყუებდა. მან გადაწყვიტა მიეშვა ისინი, ვინც იყვნენ ადგილებზე და მოხდა გაყალბება. ერთ კვირაში ჩვენ 2,3 % - იდან გავედით 26% - ზე. შემდეგ დაიწია ამ პროცენტმა, მაგრამ 3 დღის განმავლობაში ჩვენ პირველ ადგილზე ვიყავით. ამან გამოიწვია დიდი გაგულისხმება ნაციონალების მხრიდან. 10 წლის შემდეგ, რაც ჩვენ, ფაქტიურად, ყოველ დღე ვაგინებდით შევარდნაძეს. ორ ნოემბრის არჩევნებში საზოგადოებამ დაინახა, რომ ჩვენ შევარდნაძესთან არც თუ ისე ცუდი დამოკიდებულება გვქონია და მოტყეუბულად იგრძნო თავი. ამიტომ რეიტინგი დავკარგეთ, პარტიის შიგნით ვირაც - ვირაცეები არასწორი ნაბიჯების გამო სახელისუფლებლო ბლოკი მიიჩნევდა, რომ ყველაზე უფრო საშიში ოპოზიციიდან იყო „გაერთიანებული დემოკრატები“ ანუ ჟვანია არ ჩანდა. მისი რეიტინგი დღესაც არ არის ისეთი მაღალი. ამიტომ არჩევნერბამდე რეიტინგებში (რომლებიც იყიდება) ბურჯანაძე - დემოკრატები პირველ ადგილზე იყვნენ. ისინი დიდ პროცენტით უკეთებდნენ დანარჩენ პარტიებს. როდესაც მთელი ყურადღება გადატანილი იყო ბურჯანაძე - დემოკრატებისაკენ, პირველ ადგილზე 19% - ით ნაციონალური მოძრაობა გავარდა. სააკაშვილს არანაირი სხვა სურვილი არ ჰქონია, გარდა ამისა, რომ მან გაიმარჯვა ამ არჩევნებში და უნდა იყოს პირველ ადგილზე. სხვა მოთხოვნა მას არ ჰქონია. წავიდა ვაჭრობა იმ დროს, როცა მიდიოდა დაპირისპირება ნაციონალებსა და სახელისუფკლებლო ბლოკს შორის პირველ ადგილზე აღმოჩნდა აღორძინება. ეს მთლად მიუღებელი იყო სააკაშვილისთვის. მას არ აღელვებდა ბურჯანაძე -დემოკრატების ბედი, მათ ვერ გადალახეს 7% ბარიერი, იმდენად „კარგად“ იმუშავა სახელისუფლებლო ბლოკმა, სააკაშვილი ვერ გავიდოდა პირველ ადგილზე და ერთ კვირაში მან გაიხსენა ბურჯანაძე - დემოკლრატები და გაუთავებლად დაიწყო ყვირილი იმაზე, რომ დემოკრატებს დააკლეს ხმები. სააკაშვილს ის უკვე პარლამენტში დამხმარედ სჭირდებოდა, ამიტომ ცოტათი წაუმატეს დემოკრატებსა და მათ გადალახეს 7% ბარიერი, რაც საშუალებას აძლევდა პარლამენტში 12 კაცი ჰყოლოდათ. პირველი შეკრება ფილარმონიაში გაიმართა, ისინი პანიკაში იყვნენ, რადგან ძალიან ცოტა ხალხი გაყავდათ და განაცხადეს რომ პარლამენტს ბოიკოტს უცხადებენ, ფილარმონიის შეკრება ფილარმონმიასთან გაგრძელდა, ამ დროს აღორძინება კიდევ უშვებს შეცდომებს, შევარდნაძე ჩადის ბათუმში და ატყუებს აბაშიძეს, ეუბნება, რომ მას უნდა აბაშიძე საქართველოს პრეზიდენტად - იმ შემთხვევაში თუ შენ, დააბრუნებ ოსეთსა და აფხაზეთს, მოელაპარაკები რუსებს, მე შენს ჩემს მემკვიდრედ დაგვტოვებო. ცდუნება ტკბილი იყო, ამიტომ მოხდა აბაშიძის ვოიაჟები სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, ამან კი მწყობრიდან გამოიყვანა სააკაშვილის და ბურჯანაძე - დემოკრატყებიც. შეიქმნა მძიმე ვითარება, გრძელდებოდა ეს მიტინგები, ყველა მიტინგი ფინანსდებოდა. ნაციონალურ

მოძრაობას გაუჩნდა ფული და ამ ფულის შედეგად ერთი კვირის განმავლობაში წვიმაში და თქეშში, მათ მოაწყვეს ეს მიტინგები პარლამენტის წინ. 200 კაცისათვის, დაახლოებით, მიტინგის დროს უნდა გადაეხადათ ფული, რათა ყოველთვის ვინმე მდგარიყო, როდესაც ეს თანხა გამოელიათ - ამის შესახებ. ა.შ.შ. -ს საელჩოდან ჰქონდა ინფორმაცია - სააკაშვილმა შეყწვიტა ეს მიტინგები. ამას მოჰყვა აღორძინების კიდევ ერთი შეცდომა. ბათუმიდან მოხდა 5 ათასი კაცის ევაკუაცია და ჩვენ ის მოედანი დავიკავეთ. ერთი კვირა მიდიოდა ბურჯანაძის, სააკაშვილის და ჟვანიას მოხსენიება, როგორც ფაშისტების, მამათმავლების და ამით დაიწყო დაირისპირება ბათუმსა და თბილისს შორის. ამას მოჰყვა ივანოვის ვოიაჟები კრწანისა და პარლამენტს შორის, მერე პარლამენტის გაყრა და ა.შ. და საბედნიეროდ აჭარიდან ჩამოსული ხალხის მშვიდობიანად გავლა იმ ტერიტორიიდან, შესაძლებელი იყო მომხდარიყო მერიასთან და პარლამენტთან მდგომი ხალხის ერთმანეთთან შეტაკება და სისხლისღვრა.

მე ვერ გეტყვით რომ, ეს რევოლუცია ძალადობის გარეშე განხორციელდა. ეს იყო ძალადობა. რევოლუცია ძალადობის გარეშე არ არებობს, მაგრამ ეს იყო უსისხლო ძალადობა. ეს ხელისუფლება აუცილებლად უნდა წასულიყო ხელისუფლებიდან. ძალიან კარგია რომ ეს რევოლუცია მოხდა, თორემ შევარდნაძე სამარადჟამოდ გახდებოდა ქვეყნის მმართველი. ცუდია ის, რომ რევოლუციის შემდგომ პერიოდს მოჰყვა დაძაბულობა აჭარასთან და ეს დაძაბულობა დღესაც გრძელდება.არის სურვილი რომ აჭარაში მოხდეს ვარდების რევოლუციის ექსპორტი.

ჩვენ მზად არ ვართ დემოკრატიისთვის, არჩევნები რამენაირად უნდა ჩავატაროთ. ვარდმა გაუღვიძა მადა მთელ საზოგადოებას: მოდი, ამ ვარდებით წავიდეთ და ეხლა აბაშიძე დავამხოთ, არავინ არ ამბობს რომ, აჭარაში არ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს საკანონმდებლო ჩარჩოებში. კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. თბილისში ჩვენ გადავრჩით სისხლისღვრას, შევარდნაძე იძულებით გადადგა. ბათუმში არის შეიარაღება, მოსახლეობას შეიარაღება დაურიგდა 92 წელს. თქვენთვის ცნობილია, რომ სიგუას, კიტოვანს, და იოსელიანს უნდოდათ ბათუმში შესვლა, მაგრამ ვერ მოახერხეს. აჭარასთან დღეს იწყება ნორმალური ურთიერთობები, ამას აშშ -ს ადმინისტრაციამ ჩაუყარა საფუძველი. აჭარა ყოველთვის რიცხავს 1,900 ათას ლარს ბიუჯეტში. ცენტრს აქვს აჭარის რეგიონის 300 მილიონი ლარი ვალი, ცენტრი კი ადანაშაულებდა რეგიონს 150 მილიონი ლარის დავალიანებაში. ეს არის ისეთი თანხები, რომლებიც უნდა გაეღო ცენტრს მაგრამ არ გაიღო, ეს არის პენსიები, ხელფასები. აჭარას აქვს თავისი ბუჯეტი, მაგრამ არსებობს ქვეყნის ბიუჯეტი იმისათვის, რომ შენს ქვეყანას გადმოურიცხო თანხა, საჭიროა შენი ბიუჯეტის შესრულება. აჭარას, რომელსაც 1 მილიონიც არ ჰქონდა 1991 წლისათვის, დღეს 120 მილიონზე მეტი აქვს. აჭარა ყოველთვის ასრულებს ბიუჯეტს, მაგრამ ამავე დროს ცენტრალური ბიუჯეტში რიცხავდა თანხებს. მაგალითად, აჭარამ გადმორიცხა ერთნახევარი მილიონი. როგორც კი გადმოირიცხება თანხა ცენტრალურ ბიუჯეტში, ცენტრალური ბიუჯეტიდან ეს თანხა უნდა გადანაწილდეს რეგიონებში. აჭარის ტერიტორიაზე არის 61 დაწესებულება, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. ცენტრალური ბიუჯეტი აფინანსებს ისეთ დაწესებულებებს, როგორიცაა საზღვრის დაცვა, პოლიცია, უშიშროების სამინისტრო.

ამავე დროს არსებობს პრესა, „კმარა“ , ოპოზიციური პარტიები და ისინი ყველა ერთად ემზადებიან არჩევნებისათვის. ზოგი პროვოკაციულად - ზოგი არაპროვოკაციულად ამასწინათაც მქონდა ოპოზიციასთან შეხვედრა და მათ შევთავაზე მივიდნენ ამ არჩევნებამდე. ცემა ტყეპის გარეშე. ეს არჩევნები დაგვანახებს, თუ რა შეგვიძლია ჩვენ. ოპოზიციის გათვლით აღორძინება ვერ გადალახავს ბარიერს, რასაც მე ვერ დავეთანხმები.

რაც შეეხება ტერიტორიული მოწყობის საკითხს, ჩვენი პოზიცია შემდეგია: ქვეყანა უნდა იყოს ფედერალური, მაგრამ ასლან აბაშიძე მიიჩნევს, რომ მისგან არ მიდიოდეს ამაზე საუბარი, რადგან აბაშიძე მერე არ დაადანაშაულონ სეპარატიზმში. ფედერალიზაციის პროექტი ევროსაბ ჭოს უნდა წარუდგინოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ.

რაც შეეხება ავტონომიის გაუქმებას, რაზეც ბევრი პოლიტიკოსი საუბრობს, ეს დაუშვებელია. სულ მცირე იმის გამო, რომ აჭარაში უამრავი ადამიანი მუშაობს სახელმწიფო სტრუქტურებში და ეს ადამიანები დარჩებიან საარსებო წყაროს გარეშე. სამწუხაროდ ბატონ ზვიად გამსახურდიას წამოსცდა მსგვასი რამ გაუქმების შესახებ 1992 წელს, რასაც მოყვა ერთკვირიანი საპროტესტო გამოსვლები აჭარაში. იქ იმასაც ითხოვდნენ, რომ აჭარა მთლიანად გამოყოფდა საქართველოს ამან სიტუაცია დაძაბა.

ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა ცენტრმა ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში. როდესაც აფხაზეთში შევიდა ჯარები, ოსეთს გაუუქმეს ავტონომია და ასე შემდეგ, როგორც დამთავრდა ეს ყველაფერი კარგად გახსოვთ. უფრო დიდი შეცდომა იქნა დაშვებული, როდესაც 1995 წელს კონსტიტუციაში ისიც კი არ ჩაწერეს, რომ აფხაზეთი ავტონომიაა. რახან აფხაზეთი არ ჩავწერეთ ზედ დავაკალით აჭარაც. ავტონომიური რესპუბლიკა გავუტოლეთ რეგიონს.ესე იგი 95-დან 2000 წლამდე რაც კი აჭარაში სახელმწიფო სტრუქტურები იყო უკანონოდ ფუნქციონირებდა.2000 წელს ჩვენ დიდი ბრძოლით პრეზიდენტმა კონსტიტუციაში ჩაწერა, რომ აჭარა ავტონომიური რესპუბლიკაა. პრეზიდენტი შევარდნაძე იტყუებოდა, როცა ამბობდა, რომ აფხაზეთს მისცემდა ფართო ავტონომიას, მან სიმართლე ერთი თვის წინ რუსეთის ერთ - ერთ გაზეთთან ინტერვიუში თქვა, რომ რუსეთი არასდროს დააბრუნებს აფხაზეთს.

რატომ გადმოაქვს ტერიტორიული მოწყობის ევროპული ვარიანტები? მაგალითად გერმანიაში არსებობს მიწები, მიწებს აქვთ შესანიშნავი ურთიერთობა ცენტრთან, მაგრამ გამიჯნულია ფუნქციები. სახელმწიფოს პრეროგატივაა საზღვრის დაცვა, ერთიანი არმია, ვალუტა, ერთიანი საბაჟო სისტემა, ერთიანი საგარეო პოლიტიკა. დანარჩენი ყველაფერი რეგიონისაა. (ეკონომიკური ურთიერთობები, კულტურული ურთიერთობები) 10 წელი ასეთი მოდელისთვის ვიბრძოდით. არაფერი გამოვიდა. ის რაც არ გააკეთა შევარდნაძემ, ეხლა უნდა გააკეთოს სააკაშვილმა. უნდა შექმნან სპეციალური დოკუმენტები და გაგზავნონ ევროსაბჭოში. თუ დამტკიცდა, შემდეგ საქართველოს პარლამენტი განიხილავს. ამისათვის საჭიროა ძლიერი რეგიონები. თუკი აჭარაში გაუქმდა ავტონომია, მაშინ რა გარანტია აქვთ აფხაზეთს - თუ ისინი შემოვლენ ჩვენთან -

რომ ისინიც არ გაუქმდებიან. თუმცა აფხაზეთი არ აპირებს საქართველოში შემოსვლას. ეს რეალობაა.

კონსტიტუცია და კონსტიტუციონალიზმი: როგორც ვენეციის კომისიას, ისევე ევროსაბჭოს მიაჩნია, რომ ძალიან ცუდი ცვლილებები შევიდა კონსტიტუციაში. და იმედს გამოთქვამენ, რომ ახალი პარლამენტი შეცვლის ამ ცვლილებებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში ყველა თანამდებობა უნდა იყოს არჩევითი. დანიშვნადი უნდა იყოს მხოლოდ მინისტრი. კონსტიტუციაში რეგიონალიზმთან დაკავშირებით ჯერ - ჯერობით არაფერია გაკეთებული. ჩვენ გვაქვს კონსტიტუცია,რომელშიც მნიშვნელოვანი საკითხები განსაზღვრული არ არის. არ არის განსაზღვრული, ქვეყანა უნიტარულია თუ ფედერალური. რაც შეეხება ბოლოს მიღებულ ცვლილებებს, ამ ცვლილებების შედეგად პარლამენტის ფუნქციები დაკნინდა.

რეფერენდუმი: 2 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები აღარავის ცხადია პარლამენტი უნდა იყოს ორპალატიანი, და დეპუტატთა რიცხვი უნდა შემცირდეს. მაგრამ რეალურად ეს შეუძლებელია. პარლამენტი მაშინ იქმნება ორპალატიანი, როდესაც აღდგება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა. ჯერჯერობით ამის ნიშანწყალიც არ ჩანს.

პიარ - ტექნოლოგიები - იმიჯ - მეიკერები, რომ ყავდეთ საქართველოს პოლიტიკოსებს, ძალიან კარგი იქნება. მე ვისურვებდი, რომ საქართველოს პრეზიდენტსაც ყავდეს იმიჯ - მეიკერი. სამწუხაროდ, ჩვენი ხელმძღვანელობა ძალიან ცუდად გამოიყურება. არ ტოვებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მსოფლიო არენაზეა მიღებული პროტოკოლის თვალსაზრისით და სხვა თვალსაზრისებითაც. ყველას, მათ შორის ასლან აბაშიძესაც უნდა ჰყავდეს იმიჯ - მეიკერი ამ შემთხვევაში არ ისაუბრებს პაუზებით და ასე შემდეგ.

კითხვები:

1) გიორგი ბერია - პოლიტოლოგიის კათედრის მე - 2კურსის სტუდენტი

? თქვენ ისაუბრეთ იმაზე, რომ „აღორძინებაში“ ცვლილებებია საჭირო, დღეს კი აღორძინების სიაში იგივე სახეებია. როგორ აპირებთ არჩევნებში ხმების აღებას და საერთოდ, აღორძინება მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას? რამდენიმე დღის წინ ასლან აბნაშიძემ განაცხადა, რომ აღორძინება არ მიიღებს მონაწილეობას 28 მარტის არჩევნებში.

! დიახ, აღორძინება დღემდე უშვებსა შეცდომებს. მე გეთანხმებით იმაში, რომ საარჩევნო სია, რომელიც წარდგენილი იყო ცსკო - ში, არ არის ისეთი, როგორსაც ჩვენ ველოდებით. გვეგონა, რომ მოხდებოდა ძირეული გარდაქმნა. ეს არ მომხდარა. მსგავსი ძალით წარმატების მოპოვება ძალიან ძნელია. მაგრამ აჭარაში არის გარკვეული რესურსი, მიუხედავად ძლიერი ოპოზიციისა. ბევრი ადამიანი გაბრაზებულია ახალ ხელისუფლებაზე. ბევრი ხალხი მოდის ჩვენთან, რაც შეეხება ასლან აბაშიძის განცხადებას, ის ალბათ უფრო 4 იანვარს ჩატარებულ

საპრეზიდენტო არჩევნებს გულისხმობდა. აღორძინება არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

კახა ლომაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მე - 4 კურსის სტუდენტი

? რგორ შესაფასებდით აჭარაში დღეს „60 წუთის“ ჟურნალისტის ცემას?

მე პირადად ბევრჯერ მითქვამს, რომ დაუშვებელია ასეთი ფაქტები. ეს ნიშნავს იმას, რომ შენ შენი თავი გაილახო. მასმედიასთან ურთიერთობა მითუმეტეს, ძალიან ფაქიზი უნდა იყოს. თუ შენ მას შეურაცხოფას მიაყენებ, ის ათჯერ მეტს მოგაყერნებს. იმიტომ, რომ ამის შესახებ გაუთავებელი ლაპარაკი იქმნება 28 მარტამდე. ზოგს იგივე აჭარაში აწყობს სიტუაციის დაძაბვა, რადგან თუ სიტუაცია დაიძაბა, დაიმალება ის ცუდი საქმეები, რაც ამ კონკრეტულ პირებს აქვთ ჩადენილი.

ლექსო კემულარია - ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრანტი

? “აღორძინება“ და ასლან აბაშიძე ყოველთვის უმაგრებდა ზურგს შევარდნაძეს, როცა მას უჭირდა
! არ შეიძლება ოპოზიცია იყოს რადიკალური, როდესაც მაინც უნდა გქონდესდ ურთიერთობა ცენტრთან. ჩვენ ყოველთვის კონსტრიქციული ოპოზიცია ვიყავით. იყო გარკვეულწილად შეთანხმების მსგავსი რამ, მაგრამ ეს შეთანხმება იყო საქართველოს სასარგებლოდ.

ვასილ მამულაშვილი - გეოგრაფიის ფაკულტეტის მე -4 ფაკულტეტის სტუდენტი

? რა დამოკიდებულება აქვს აღორძინებას ადამიანის უფლებების მიმართ?

! ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით მთელი საქართველო მოიკოჭლებს. ის რაც დღეს საქართველოში ხდება არ მიმაჩნია ადამიანის უფლებების დაცვად. არ მიაჩნია მიზანშეწონილად ჟურნალიტების ცემა, სტუდენტების დაჭერა და ა.შ. არ შეიძლება დაჭერები იქცეს სატელევიზიო შოუდ. ჩვენი შვილიშვილები, თუ მოესწრებიან იმას, რომ იცხოვრებენ დემოკრატული სახელმწიფოში.

სოციალური პარტია
ზაქრო ქუცნაშვილი

12.03.2004

საქართველოს სოციალისტური პარტია დაფუძნდა 1994 წელს. მისი დამფუძნებელი მე არ გახლავართ. პარტია დააფუძნა საქართველოს მეორე მოწვევის პარლამენტის ვიცე - სპიკერმა ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა, რომელიც ჟვანიას მსგავსად შევარდნაძის თანამოაზრედ ითვლებოდა. მან 1994 წელს მოახლოებული სპარლამენტო არჩევნების წინ დააფუძნა საქართველოს

სოციალური პარტია და თავად გახლდათ თავჯდომარე და პარტიას განაგებდა 1994 – 2003 წლებში, 23 ნოემბრის მოვლენების შემდეგ იგი გად აგა პარტიის თავჯდომარეობიდან, აღიარა რა მის მიერ დაშვებული შეცდომები და წავიდა ქართული პოლიტიკიდან. შესაბამისად პარტიის კომიტეტის გადაწყვეტილებით პარტიის თავჯდომარედ არჩეული იქნა ირაკლი მინდელი, ხოლო მე - გენერალურ მდივნად. არჩევნებში მონაწილეობის კუთხით, პარტიამ მიიღო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა 1995 წელს, მაშინ შევარდ ნაძის მხარდაჭერისათვის იბრძოდნენ ჟვანია და რჩეულიშვილი. აჯობა ჟვანიამ. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ შევარდნაძე - ჟვანიას პარტიამ არჩევნებში მიიღო 17%, რჩეულიშვილის პ არტიამ 4,5% და დარჩა პარლამენტს მიღმა, თუმცა პარტიის რეკომენდაციით 4 დეპუტატმა მოიგო მაჟორიტარული არჩევნერბი და შესაბამისად პარტია პარლამენტში წარმოდგენილი იყო მაჟორიტარული არჩევნები და შედეგად, 1998 წელს იყო ადგილობრივი თვით მმართველობის არჩევნები. ამ არჩევნებში პარტიამ დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა და მესამე ადგილზე გავიდა მოქკავშირისა და ლეიბორისტული პარტიის შემდეგ. 2000 წელს პარტია მხარს უჭერდა ჯუმბერ პატიაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში და მან მიიღო სულ 17%. მაშინ გაიმარჯვა შევარდნაძემ თუ არ ვცდები 75% - ით. 2002 წელს პარტია ასევე დამოუკიდებლად იღებდა მონაწილეობას ადგილობრივ არჩევნებში და საქართველოს მასშტაბით ვაჩვენებთ მერ - 4 შედეგი. თუმცა მაშინდელმა დანარჩენმა ოპოზიციამ ისე წარმოადგინა თავი კარგი სარეკლამო კლიპებით, რომ მათ გაიყვანეს ყველაზე მეტი წარმომადგენელი. სინამდვილეში სააკაშვილმა 27 დეპუტატი გაიყვანა, ამათგან 12 თბილისში , ხოლო ჟვანიამ , რომელიც კონსერვატორული პარტიის სახელით გამოდიოდა, გაიყვანა 4 წარმომადგენელი, ჩვენ კი გავიყვანთ 200 წარმომადგენელი. მე მგონი დიდი განსხვავებაა. ჩვენ 2003 წელს ვიყავით შევარდნაძის ბლოკში საპარლამენტო არჩევნების დროს, გვქონდა რამდენიმე არჩევანი. ე.წ. „რევოლუციის“ შემდეგ. პირველი: უნდა მივსულიყავით ბელადებთან გვეთხოვა, პატიება და გვეღიარებინა მათი ძალაუფლება. მეორე წავსულიყავით პოლიტიკიდან საერთოდ, რადგან კეთილი მიზნის მიღწევა ძალადობრივი გზით დაუშვებელია. ჩემი მიზანია, რომ პოლიტიკაში ძალადობა, რანაირი კეთილი მიზანიც არ უნდა გამოძრავაბდეს, არ უნდა იქცეს მიზნის მიღწევის საშუალებად. ამიტომაც მე არ გავქცეულვარ პარლამენტიდან, როდესაც იქ შემოცვივდნენ და ჟურნალისტებს ვუთხარი, ძალიან ცუდია, რომ ჩემს ცხოვრებაში მეორედ ვარ მომსწრე ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლისა. ეს იყო ის სიტყვები, რომელიც მე მაშინ ვთქვი და დღესაც ვიმეორებ, რომ ეს არ არის გამართლებული მეთოდი ხელისუფლების შეცვლისათვის.

ისტორიისათვის ვიტყვი, რომ თავის დროზე სოციალისტები გამოეყონ კომუნისტებს, იმიტომ რომ მათ რევოლუცია მიზნის მიღწევის საშუალებად, ხოლო სოციალისტები თვლიდნენ რომ მხოლოდ ევოლუციით და რეფორმით შეიძლებოდა ხელისუფლებაში მოსვლა. როდესაც ჩვენ ავირჩიეთ, პოლიტიკაში დარჩენა და პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელება, ეს რა თქმა უნდა ემყარებოდეს გარკვეულ საფუძვლებს და ადმიანთა გარკვეულ განწყობას. მე არ მაქვს ილუზია, რომ ჩემს ნააზრებს მოსახლეობის 100%. უჭერს მხარს, მაგრამ გარწმუნებთ, რომ 34 – 40% უკვე იზიარებს და დროთა განმავლობაში ამ შეხედულებებს კიდევ უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლება. იმიტომ, რომ შეუძლებელია დაგროვილი

პრობლემების გადწყვეტა გამოუცდელი და არაკომპეტენტური. მე ვაკვირდები, რომ 25 წლის გოგოებს და ბიჭებს ისე უკრავენ თავს მაღალ და კომფორტულ თანამდებობაზე, რომ თვითონ მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, თუ რამხელა პასუხისმგებლობის ტვირთს იკიდებენ ზურგზე. ჩვენ თუ გვინდა, რომ საქართველო წარმატებული სახელმწიფო იყოს, საჯარო სამსახურსა და თანამდებობას არ უნდა ვუყუროთ როგორც პატივს, რაიმე არასდროს არ უნდა მოიკიდო ისეთი ტვირთი, რომელსაც ვერ ზიდავ და ის მალე ქვეშ მოგიყოლებს. დარწმუნებული ვარ, რომ გამოუცდელი ადამიანებით საქართველოში დაგროვილი პრობლემები ვერ გადაწყდება. პრინციპი. ჩვენს პარტიაში წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც ახალგაზრდა, გამოუცდელი, კომპეტენტური, გამოცდილი ადამიანები. კადრების შერჩევა უნდა მოხდეს პროფესიონალიზმის ნიშნით და არა ნაცნობობით.

ჩვენ გვიკავია კონსტრიქციული ოპოზიციის პოზიცია, ეს იამას ნიშნავს, რომ კარგზე უნდა ვთქვათ კარგი და ცუდზე ცუდი.

კონსტიტუცია და კონსტიტუციონალიზმი: რაც საქართველოში 5 – 6 თებერვალს მოხდა, იყო კონსტიტუციის და სამართლის გაუპატიურება, იმიტომ, რომ ხალხის ზურგს უკან მომზადდა პროექტი, რომლის შინაარსს არავინ არ იცნობდა ქვეყანაზე 3 კაცის გარდა და რომელიც 2 დღეში გამოიტანეს პარლამენტში და ქვეყნის ძირითად კანონად აქციეს. ჩვენ - ოპოზიციის მცირე ნაწილი დავრბოდით და ყველას ვეხვეწებოდით ხელი მოეწერა განცხადებისათვის სათაურით „ დემოკრატია საფრთხეშია“ ამას იმიტომ ვაკეთებდით, რომ ხალხის ზურგს უკან არ მიიღონ ქვეყნის უმაღლესი კანონი, კანონის თანახმად მძიმეც რომ შევიდეს კონსტიტუციაში ის სახალხოდ უნდა განიხილოს ერთი თვის ვადაში და მხოლოდ მაშინ უნდა იქნას ის მიღებული. თქვენ იცით, რომ ამ ცვლილებების არანაირი საყოველთაო განხილვა არ მომხდარა.

ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით მოხდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის უგულვებელყოფა. კონსტიტუციის მთავარი დებულებაა ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლი . საკმარისია ეს კონტროლი დაირღვეს ერთის სასარგებლოდ, ჩათვალეთ, რომ უკვე გაჩნდა ავტორიტარული რეჟიმის ნიშნები. რა ძირითადი ფუნქციები აქვს პარლმენტს: ეს არის კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა და კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. დღემდე მოქმედი კონსტიტუციის თანახმად საქ. პარლამენტს დამოუკდლად შეეძლო მიეღო ყველანაირი კანონი. 5 – 6 თებერვლის შემდეგ კონსტიტუციაში გაჩნდა მავალდებულებელი ხასიათის მინიშნება: საქართველოს პარლამენტს არ აქვს უფლება მიიღოს საკანონმდებლო აქტი მთავროვის თანხმობის გარეშე თუ ეს კანონი იწვევს საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას ან ხარჯების ზრდას. ე. ი. პარლამენტმა დაკარგა კანონშემოქმედებითი ფუნქცია და ეს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მიიღებს მთავრობის თანხმობას. ვთქვათ, უნდა დაინიშნოს ელჩი ამა თუ იმ ქვეყანაში. ეს არის პარლამენტის პრტეროგატივა. პრეზიოდენტი წარადგენს კანდიდატურას. ელჩის დანიშვნა ხომ გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამიტომ თანხმობა უნდა მოგვცეს მთავრობამ. ე. ი. წაგვართვეს საშინაო და საგარეო ურთიერთობების ძირითადი მიმართულებების დაგეგმვის და წარმართვის

უფლება. რაც შეეხება კონტროლის საკითხს 5 – 6 თებერვალს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად პარლამენტს აღარ აქვს მთავრობის დათხოვნის უფლება, პირიქით მთავრობამ შეიძინა ეს უფლება და მას შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი, ხოლო თუ პარლამენტი მოინდომებს მთავრობის დათხოვას, ამისათვის საჭიროა პარლამენტთა ხმების 3\5, რაც ყოვლად წარმოუდგენელია დღევანდელ ვითარებაში. რაც შეეხება მთავრობის მოთხოვნით პარლამენტის დათხოვანს, პრეზიდენტს მიანიჭეს ექსკლუზიური უფლება, რომლის თანახმადაც თუ პარლამენტი მთავრობის შუამდგომლობას არ დაამტკიცებს 118 ხმით ერთხელ, შემდეგ პრემიერის შემოტანილს, და ბოლოს, არ დაამტკიცებს არც მესამედ, მაშინ პრეზიდენტი პრემიერს კი არ ათავისუფლებს მთავრობის ფორმირებისათვის, არამედ პარლამენტს ითხოვს და უშვებს სახლში. ასე რომ ლოზუნგი „დემოკრატია საფრთხეშია“ - შემთხვევით არ მიხსენებია და მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში სერიოზულად დაირღვა ხელისუფლების შტოთა ბალანსი. რა დამატებითი უფლებები შეიძინა პრეზიდენტმა? აქამდე მას არ ჰქონდა უფლება იმავდროულად ყოფილიყო პარტიის თავჯდომარე, ეხლა კი აქვს ეს უფლება. პრეზიდენტს არ ჰქონდა უფლება დაენიშნა თბილისის, ზუგდიდის, თელავის გარნიზონის უფროსები, თავდაცვის მინისტრს მისი წარდგინებით ნიშნავდა პარლამენტი, ახლა კი მას შეუძლია სამხედრო დაჯგუფების უფროსები თვითონ დანიშნოს. არ ჰქონდა პარლამენტის დათხოვნის უფლება, ახლა კი აქვს. არ შეეძლო პარლამენტის თანხმობის გარეშე მოსამართლეების გადაყენება, დღეს ეს უფლება მოიპოვა. ამიტომ ყურმოჭრილი მონებივით იქცევიან მოსამართლეები, აი ეს არის ის საკითხები, რომლების გამოც მე მიმაჩნია რომ დემოკრატია საფრთხეშია.

რაც შეეხება რეფერენდუმს იგი ძალაშია. პარლამენტის წევრთა რიცხვი უნდა შემცირდეს 150 - მდე, მაგრამ ეს მთავრობას არ აწყობს, რადგან მაშინ უნდა პროპორციული სისტემით 65 კაცი გაიყვანოს. 65 კი არა 100 კაცზე აქვთ თავპირისმტრევა. ამიტომაც საკონსტიტუციო ცვლილებებში ეს არ ასახეს. ესე იგი, ხალხის გამოხატული ნება, რომ არ გვინდა ამდენი დეპუტატი, შეამცირეთ მისი რაოდენობა, გვერდზე მიგდებული და დავიწყებული აღმოჩნდა. ახალმა ხელმძღვანელობამ სხვა კურსი აირჩია. ჩვენ სოციალისტები მთავარ აქცენტებს ვაკეთებთ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე. მიგვაჩნია რომ სოციალური მოძრაობა მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული მოძღვრებაა, რომელიც ემყარება ადამიანის პრობლემებზე ორიენტირებულ სახელმწიფოს. ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ავადმყოფ და ინვალიდ ადამიანებზე მზუნველობას. მიგვაჩნია, რომ მოსახლეობის ასეთი ფენები ელემენტარული პირობებით მაინც უნდა იქნან უზრუნველყოფილი . მათ მხარდასაჭერად კერძო სექტორმაც უნდა გამოიღოს ხელი. არის ჩვენთან ასევე ასაკოვანი ადამიანების ანუ პენსიონერების ფენაც, რომლებიც ასევე საჭიროებენ მზრუნველობას. რომელი ხელისუფლებაც არ უნდა მოვიდეს, ეს ფენა ყოველთვის იარსებებს და ისინი ყოველთვის საჭიროებენ დახმარებას. შემდეგი ჯკგუფი, რომელზედაც ჩვენ ვართ ორიენტირებულნი, არიან სტუდენტები. ისინი 6 – 7 წელიწადს სწავლობენ. მაგრამ სწავლის დამთავრების შემდეგ მათ არა აქვთ სამუშაო და სახსარი, რომ დაიკმაყოფილონ ელემენტარული მოთხოვნილებები. საქართველოს მთავარი რესურსი არ არის გზები და ჭიათურის მარგანეცი, არამედ საქართველოს მთავარი რესურსია ადამიანები. ყოველთვის ის ხელისუფლებ აღწევს წარმატებას,

რომელიც ამ რესურსს გამოიყენებს წარმატებულად. თანამდებობაზე არ უნდა ინიშნებოდნენ პარტიული სიით, ვანო მერაბიშვილი, რომელიც სოფლიდან გამოგდებული კაცია, წამოჭიმეს ამხელა თანამდებობაზე, ასეთ თანამდებობებზე უნდა ინიშნებოდნენ პროფესიონალები და არა პირდაპირი მეგობრები. სზოგადოების იმ ფენას, რომელიც განათლებაზე ხარჯავს დროს, სჭირდება სახელმწიფოს მზრუნველობა.

PR -კამპანიების გამოყენება ჰაერივით აუცილებელია. პიარკამპანია ეს არის საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე მუშაობა. რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია სასურველი საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა ამერიკული მეთოდი, რაც ნიშნავს ნაკლები დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღებას. თქვენ იცით ცნობილი ეკოლოგიური ორგანიზაცია გრინფისი. სწორედ მან შემოიღო ეს მეთოდი. საქართველოში რომ პროტესტი გამოხატო, უნდა ჩაატარო მიტინგი. გრინპისი კი აი, როგორ იქცევს საზოგადოების ყურადღებას. მაგალითად, რომელიღაც ყინულმჭრელი, საფრთხეს უქმნის ზღვის სამყაროს. მივა ამ ყინულმჭრელთან პატარა ნავი სამი კაცით და აფრიალებენ დროშებს და ამ დროს მათ თან იღებს ვიდეო - კამერა. ეს არის ნაკლები დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა. მაგრამ ამას აქვს მეორე უარყოფითი მხარეც - ხდება მრავალი პრობლემის დამალვა და მიჩქმალვა. სააკაშვილის ერთწლიანმა მოღვაწეობამ საკრებულოში სხვა რა შედეგი გამოიღო გარდა იმისა, რომ სტადიონები და სახურავები შეკეთდა. მაგრამ იმდენად სწორი პიარ - კამპანია ჰქონდათ, და ისე წარმოაჩინეს ყველაფერი, თითქოს მათ გარდა არავის არაფერი გაუკეთებია.

რაც შეეხება დაფინანსებას მე მინდა ამ თემას აუცილებლად შევეხო იმიტომ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მე ვარ ავტორი პროექტისა, რომლითაც გვინდა გამჭირვალე გავხადოთ პარტიის დაფინანსება, საარჩევნო კამპანიის დაფინანსება და ავკრძალოთ ანონიმური შემოწირულობებით საარჩევნო კამპანიის დაფინანსება. რატომ ვართ ანონიმური შემოწირულობის წინააღმდეგ? - არჩევნები ფინანსდება შავი ფულით და ეს არის პოლიტიკური კორუფცია. შავი ფულით არჩევნების დაფინანსება ნიშნავს იმას, რომ მე კარგი საქმის გამკეთებელი ვერ ვიქნები, ვიქნები დამოკიდებული იმ ბიზნეს ჯგუფებზე, ვისგანაც ავიღე შავი ფული. ამიტომაც მე მიმაჩნია, რომ საარჩევნო პერიოდში ყველაფერი უნდა იყოს ღია და გამჭირვალე. მე უნდა ვიცოდე, რომ ზაქარია ქუცნაშვილმა - გახდება თუ ვერ გახდება დეპუტატი - რა ფულით აწარმოვა საარჩევნო კამპანია. ჩვენი პარტიის მთავარი დაფინანსების წყარო იყო ბატონი რჩეულიშვილი. ის თავისი ბიზნესიდან აფინანსებდა პარტიას. ეს არის სიმართლე და ამ ერთი კაცის ფულზე იყო ჩამოკიდებული პარტია. იყო ასევე მეთოდიც, რომელსაც მე დავარქვი მანდატების კომერციონალიზაცია, ანუ პარტიულ სიაში ჩაწერის სანაცლოდ ესა თუ ის პირი აფინანსებდა პარტიას.

„რუსთავი ორზე“ რეკლამა ერთი წუთი 1000$ ღირს, თუ არ გაუშვი დღეში რამდენჯერმე, მაშინ ამას აზრი არ აქვს. ეს არის საბოლოოდ უზარმაზარი თანხა. ამიტომაა, რომ ტელევიზიები კი არ იხურება, არამედ იხსნება და იხსნება. ამდენი ტელეკომპანიოა ფუფუნებაა პატარა ქვეყნისთვის, ისეთი მედია მაგნატები როგორიცაა, მაგალითად ეროსი კიწმარიშვილი, დიდად გავლენიანი ხალხია

საქართველოში. დღეს მას ჩააბარეს საქართველოში ექსპორტ - იმპორტის კონტროლი ანუ ეს ნიშნავს, რომ ის იძლევა ნებას რომელი პროდუქცია გავიდეს ბაზარზე.

ჩვენ ეხლა გვაფინანსებენ პარტიის წევრები, არსებობს აგრეთვე შემოწირულობის სისტემა, დაახლოებით 20 კაცმა დაახლოებით 1000 ლარზე მეტი თითეულმა შემოგვწირა. სანაცვლოდ მათი სახელები ჩაეწერება საარჩევნო კამპანიის ფონდში და ისინი ყველა დაინტერესებულ პირს ეცოდინება.

სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან მცირეა სამოქალაქო საზოგადოება. ამიტომ არჩევნები ძირითადად კეთდება თეთრზე და შავზე პირობითად თეთრია ხელისუფლება და, როგორც ისინი ამბობენ, შავია ოპოზიცია.

სამწუხაროდ საქართველოში არსებობენ ისეთი ადამიანები რომლებიც ხმას აძლევენ მათ, ვინც უფრო კარგად შეიგინება. 2 ნოემბრის არჩევნები პრაქტიკულად იყო შეჯიბრი, თუ ვინ უფრო რადიკალურად დაუპირისპირდებოდა ხელისუფლებას! სააკაშვილი არაფერს იშურებდა ამისათვის და მოუწოდებდა კიდევაც მხარდამჭერებს, რომ გამოეჩინათ უკიდურესი რადიკალურობა და ამან გაამართლა კიდეც.

კითხვები:

ბექარ ბერეკაშვილი - პოლიტოლოგიის კათედრის სტუდენტი

? მაინტერესებს აქვს თუ არა სოციალისტურ პარტიას ურთიერთობა ევროპულ პარტიებთან და როგორ ხდება ახალგაზრდების რეკრუტირება?

! ერთ - ერთი მთავარი შეცდომა წინა ხელმძღვანელობისა იყო ის, რომ ის მოწყდა იმ საფუძველს, რასაც დემოკრატიული სოციალიზმი ქადაგებს. მე პირველი ვიყავი, ვინც ვახტანგის წასვლას მივესალმე პოლიტიკიდან, იმიტომ რომ ის იყო დისკრედიტირებული პოლიტიკოსი საზოგადოების თვალში და ის თვითრეაბილიტაციას ვეღარ შეძლებდა, რადგანაც მოწყდა იმ ფესვებს, რასაც დემოკრატიული სოციალიზმი ჰქვია. მე მრწამსით და მენტალიტეტით ვარ ამ შეხედულებების ერთგული და ჩვენ თუ მოვახერხებთ ამის საზოგადოებამდე გარკვეული ენით მიტანა, მაშინ ვიტყვი, რომ მას მომავალი აქვს. მე ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს სოციალური პრობლემები ამოწურვადია. გვაქვს ურთიერთობა ევროპულ სოციალისტურ პარტიებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდული ორგანიზაციების დონეზე. დიმიტრი ცქიტიშვილი არის ჩვენი ახალგაზრდული ორგანიზაციის საერთაშორისო დეპარტამენტის თავჯდომარე, დიმა ზალიან მიღებული პიროვნებაა ევროპაში.

ოლეგ ნამიჩეიშვილი - ფიზიკის ფაკულტეტი, პროფესორი

? თქვ ენ რა ასაკში იგრძენით თავი სოციალისტად და ვახტანგურ სოციალიზმისკენ როდის გაგიჩნდათ ლტოლვა. თქვენ არ აფასებდით იმას, ვინც თქვენ შეგქმნათ. რატომ?

! საქართველოში ცხოვრების წესად უნდა დამკვიდრდეს არა უმადურობის და ღალატის პრაქტიკა, არამედ მადლიერებისა და სინდისის განცდა. მე ყოველთვის ვიყავი ჩემი სინდისის მცველი და მე არ მერიდება ამის თქმა. მე მირჩევნია ვიყო სინდისი მცველი, ვიდრე უსინდისობის. რაც შეეხება ასაკს, 25 წლის ვიყავი როცა პარტიაში შევედი, მაშინ მე არ ვყოფილვარ პატარა ბიჭი და კარგად ვიცოდი, რატომ და რისთვის მივდიოდი იქ. პარტიაში არ მივსულვარ ერთი პიროვნების გამო, პარტია არ არის არავისი, ეს არის შპს, რომელსაც ჰყავს მესაკუთრე, მე მიმაჩნია რომ პარტია არის ადამიანთა ნაკრები, სადაც ყველას ეთქმის თავისი სიტყვა და აქვს სიმართლე.

მიმაჩნია, რომ მეგობრობა უნდა ემყარებოდეს არა მავნებლობას, არამედ სიმართლეს და თუ მეგობარი გიყვარს მაშინ მას უნდა უთხრა: „შენ, უნდა წახვიდე!“ და ეს უფრო ღირსეული საქციელი იქნება, ვიდრე ის, რომ საზოგადოების მცირე ნაწილმა თქვას ჩემზე კარგი და მე დავრჩე სინდისის მძევალი.

ეკა გახოკიძე - პოლიტოლოგიის კათედრა

ვინ არის თქვენი ელექტორატი და საზოგადოების რა ფენებზე აპირებთ გათვლას რომ მათ მხარი დაგიჭირონ?

? ჩვენ ძირით ადად გათვლას ვაკეთებდით დევნილთა, უმუშევართა ფენებზე, ძირითადად კი პარტიულ აქტივებზე. არიან პოლიტიკოსები, რომლებიც გათვლას აკეთებენ განაწყენებულ ელექტორატზე. მე შეგნებულად ვთქვი უარი ასეთ მიდგომაზე, იმიტომ, რომ განაწყენებულ ელექტორატზე ნადირობა არ მიმაჩნია მლად სინდისიერად და სწორად. მე ვგრძნობ, რომ პენსიონერებს არ გაუორმოგდებათ პენსია, არ გამოსწორდება უმუშევართა მდგომარეობა, დევნილთა მდგომარეობა, ამიტომ ჩვენ ამ ფენებზე გავაკეთებთ აქცენტს.

ეკა გახოკიძე - პოლიტოლოგიის კათედრა

ეს ფენები რომლებიც, თქვენ ახსენეთ, პრაქტიკულად უკვე დაკავებულია იგივე ნაციონალებისა და ლეიბორისტების მიერ, ამას რა კომენტარს გაუკეთებდით?

ოპოზიციის მოთხოვნა, რომ არჩევნები ჩაეტარებინათ უფრო მოგვიანებით დაკმაყოფილდა. არჩევნების გადადება მათთვის ხმების დაკარგვას ნიშნავდა. ეს რა თქმა უნდა არ აწყობდათ, ამიტომ ვითხოვდით ჩვენ რომ მოეცათ 4 – 5 თვე, ჩამცხრალიყო ეს რევოლიციური ეიფორია, რომელიც ექვს თვეს მაინც გასტანს. ჩემი ამოცანაა, რომ ჩემს ტრადიციულ მხარდაჭერებზე ვიმუშაო და გარწმუნებთ, რომ, 900, 000 პენსიონერი და 200, 000 დევნილი მალე მე დამიჭერს მხარს და ამას მივაღწევ არა ბრტყელ -ბრტყელი სიტყვებით, არამედ იმ მეთოდებით, რომლებიც ევროპაში არის მიღებული.

გიორგი მუხურაძე - პოლიტპოლოგიის კათედრის სტუდენტი

თავის დროზე ვახტანგ რჩეულიშვილმა წამოაყენა სამკუთხედის თეორია, რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთობების რეგულირებას მოსკოვთან და ვაშინგტონთან, მას ასევე ჰქონდა სხვა იდეებიც რუსეთთან ურთიერთობის კუთხით, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა, ახლა ხელისუფლება ცდილობს ამ პრაქტიკის გამოყენებას, დაუჭერთ თუ არა მხარს ამაში?

! რა თქმა უნდა, ამერიკასთან ჩვენ უნდა გვქონდეს სტატეგიული და მეგობრული ურთიერთობა, რადგან იგი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოსათვის. ასევე საჭიროა ურთიერთობა რუსეთთან როგორც პროდუქტის გასაღების ქვეყანასთან, რომელიც ასევე დიდ როლს შეასრულებს საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებაში, ამასთანავე ჩვენ უნდა მოვუწოდოთ ამ ქვეყნებს, რომ დაგვეხმარონ. ჩვენ უნდა ამოვიდეთ საქართველოს ინტერესებიდან. რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაში ჩვენ მხარს დავუჭერთ საქართველოს. ყველგან უნდა იქნას გათვალისწინებული საქართველოს ინტერესები.

ნაციონალური მოძრაობა
გიორგი ბოკერია
და
დავით ზურაბიშვილი

19.03.2004

დავით ზურაბიშვილი:

საქართველოში, ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის მხრივ, ნაციონალური პარტიის აქტიურობა იწყება 2 ნოემბრის არჩევნებიდან. მანამდე იყო წინაპირობები ადგილობრივი თვითთმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიხედვით, მაგრამ ამაზე საუბარი არ იქნება საინტერესო. მე მინდა, 2 ნოემბრის მოვლენებზე გავამახვილო ყურადღება, ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს უზარმაზარი წარმატება არ იყო ჰაერზე მოტანილი. ამ არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობა გამოვიდა, როგორც შევარდნაძის ალტერნატივა, ეს დაინახა საზოგადოებამ და ამან განაპირობა არჩევნებში ამხელა წარმატება. ამის შემდეგ უკვე მოხდა დიდი გაყალბება და ამას რაც მოჰყვა, მგონი, ყველამ კარგად ვიცით.

ჩვენ დღეს ვდგავართ იმ რეალობის წინაშე, რასაც ჰქვია ქართული სახელმწიფოს დაფუძნება. პრაქტიკულად ეს უნდა მოხდეს ახლა იმიტომ, რომ რაც აქამდე იყო

ეს უნდა აღვიქვათ შესავლად, დღევანდელ ხელისუფლებას გვიწევს მოქმედება ისეთ პირობებში, რომ ჩვენ ვიწყებთ ნოლიდან. ჩვენ არ გვაქვს არაფერი. ყველა მიმართულებით დაწყებული ეკონომიკიდან, სოციალური ვითარებიდან, სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობიდან, ტერიტორიული პრობლემიდან, ყველგან გვაქვს ძალიან მძიმე სიტუაცია. და ეს მძიმე პრობლემები მოითხოვეს სწრაფად გადაწყვეტს.

გიგა ბოკერია:

არჩევნებმა პოლიტიკური პარტიები დაყო ორ ნაწილად: ერთნი, ვინც ხალხის გვერდით დადგა და მეორე, რომელიც წავიდა ხალხის წინააღმდეგ. რაც არჩევნების შემდგომმა პერიოდმაც დაადასტურა. ეს საკითხები არ ეხება კოკო გამსახურდიას, რადგან იგი არის ახალი ძალა, ახალი პარტია პარტია. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რა ტიპის ძალასთან გვაქვს საქმე. რა მოდელის სახელმწიფოს აშენება უნდათ მათ. მე ვფიქრობ, რომ ის რაც მათ აქვთ პროგრამის სახით ვერ შეძლებენ ამ არჩევნებისათვის საზოგადოებამდე მიტანას.

მე და დათო პარტიაში წარმოვადგენდით უმცირესობას, რომლებიც, წინააღმდეგი იყვნენ კონსტიტუციური ცვლილებების. ჩვენი პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ ამ ცვლილებებით, რეალური საფრთხე შეიქმნა იმისა, რომ დარღვეულიყო ხელსუფლების შტოებს შორის ბალანსი. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ არ დავუშვათ ეს საფრთხე რეალურად იქცეს. რაც შეეხება რეფერენდუმს აქ გვაქვს ძალიან უცნაური მომენტი. მე და ჩვენი პარტიის დიდი ნაწილი ვუჭერთ მხარს პარლამენტართა რაოდენობის შემცირებას. ამ რეფერენდუმმა ვფიქრობ სწორად გამოხატა ჩვენი ამომრჩევლების ნება, მაგრამ რეფერენდუმით არ შეიძლება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. აქ არ იყო მითითებული, თუ რა ვადებში უნდა განხორციელებულიყო ეს ცვლილებები. მე ვფიქრობ, რომ ყველაზე რეალური იქნება თუ ეს განხორციელდება მომავალი არჩევნებისათვის და პარლამენტი დაკომპლექტდება შემცირებული სახით.

დათო ზურაბიშვილი:

რაც შეეხება პარტიის წინასაარჩევნო პროგრამას კონკრეტულად ეკონომიკურ საკითხებს, ჩვენ ვდგავართ დღეს ელემენტარული პრობლემის წინაშე. ვთქვათ იგივე დასაქმება, იგივე იმპორტსა და ექსპორტს შორის ბალანსის აღდგენა იგივე ადგილობრივი წარმოების განვითარება, იგივე პრიორიტეტების გამოკვეთა, რა გვჭირდება და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება? მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება, წესრიგის აღდგენა საგადასახადო სფეროში. რაც შეეხება ეროვნულ უსაფრთხოებას და საგარეო პოლიტიკას. შეიძლება იყო რაც ყველაზე ნაკლებად კრიტიკდებოდა შევარდნაძის დროს, თუმცა აქაც არ იყო გამოკვეთილი. ახლა გაცხადებულ იქნა, რომ არანაირი კონპრომისი სახელმწიფოს ხარჯზე არ დაიშვება. ჩვენ რუთთან ჩამოვაყალიბებთ რუსეთთან ჩვენი კონკრეტული მოთხოვნები, რა თქმა უნდა რაღაც საკითხებზე შეიძლება მოხდეს პოლიტიკური ვაჭრობა.

ტერიტორიული პრობლემა რაც მნიშვნელოვანია, ესეც იქნება ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტული საკითხი და ეს დაიწყება სწორედ აჭარიდან. იქ არის ასლან აბაშიძის რეჟიმი, მას აქვს შეიარაღებული ძალები, აქვს თავისი უშიშროება, საგადასახადო სისტემა, გამოკვეთილი საზღვრები ბლოკ - პოსტებით, სადაც როცა უნდა მაშინ გაატარებს პრეზიდენტს. ეხლა ეს პრობლემა ასე თუ ისე მოიხსნა და ეს იქნება მესიჯი ოსებისთვის და აფხაზებისთვის. ჩვენ არ ვაპირებთ ამ პრობლემას თვითონ მოვაგვარებთ, რომელშიც გამოყენებული იქნება ამერიკასთან, რუსეთთან ურთიერთობა და საერთაშორისო ბერკეტები.

გიგა ბოკერია:

პირთან დაკავშირებით მე მინდა ვთქვა, რომ სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე მე ვთვლი, რომ პიარს რაღაც მისტიურად აღიქვამენ. პიარი ნიშნავს იმას თუ როგორ მიაწოდო საზოგადოებას შენი ნაბიჯები. მე ძალიან უკმაყოფილო ვარ, როდესაც ამ ტერმინს უარყოფითად მოიხსენიებენ. როგორ შეიძლება ინტერვიუერი მოატყუოს ადამიანმა ისევე, როგორც პიარს მოიტყუო.

არ არის წინასაარჩევნო კამპანია ინტენსიური და აგრესიული, როგორიც რა თქმა უნდა იქნება, სერიოზული პოლიტიკური კონკურენციის პირობებში, რომელსაც დღეს არა აქვს ადგილი.

პარტიის წიმნასაარჩევნო პროგრამაზე, დათომ ილაპარაკა, მაგრამ მე დავამატებ, რომ თუ არ მოხდა ხელისუფკლების გაძლიერება, იგივე პოლიტიკის, უშიშროების, და იქ არ მოხდა დისციპლინირება და არა მარტო უშიშროებასა და პოლიციაში, ყველა სფეროში, მაშინ ჩვენ ვერ მივაღწევთ პროგრესულ შედეგს. თუ რა მოხდა ბიორაკრატიის დეცენტრალიზაცია ან რაიონის მოსახლეობას ჩვენ არ მივანიჭებთ უფლებას თვითონ აირჩიონ გამგებლები, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება.

1. ვანო მერაბიშვილმა თქვა, რომ ხელისუფლებაში საჭიროა პატრიოტები და არა პროფესიონალები.

ამ შემთხვევაში მე მთლიანად ვიზიარებ ვანო მერაბიშვილის პოზიციას და უფრო კატეგორიულიც კი ვიქნები. აქ საუბარი იმაზე კი არ არის, რომ პროფესიონალიზმი რაიმე სფეროში არის მინუსი. უბრალოდ, ჩვენი ოპონენტები იძახდნენ, რომ თქვენ იქცევით ძალიან ცუდად როცა 20 – 25 წლის სტაჟის ადამიანებს უშვებთ და მოჰყავთ 20 – 25 წლის ადამიანები. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ თუ გაქვს 5 წლის სტაჟი, ესე იგი თუ გიორგაძის დროს არ გაქვს ნამუშევარი, არ ხარ პოფესიონალი და რა ტიპის პროფესიონალზე ვსაუბრობთ ჩვენ თუ საუბარია იმ ხალხზე , რომელმაც კარგად იცის ხალხის წამება, ქრთამის აღება. ამას ჩვენ უნდა დავემშვიდობოთ. ეს ჩვენ აღარ გვჭირდება. ჩვენ ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ ახალი იდეებით და რა თქმა უნდა აქ გვეყოლება არაპროფესიონალები, ამიტომ რა თქმა უნდა მთავარი კრიტერიუმი ამ შემთხვევაში იქნება პატრიოტიზმი. ჩვენ ახალ ქვეყანას ვაშენებთ და ეხლა ვსწავლობთ და ეხლა ვხდებით პროფესიონალები, თუ ვთვლით, რომ ის ადამიანები პროფესიონალები იყვნენ, მათ მუშაობას არაფერი შედეგი არ მოჰყოლია, მაშინ რას ნიშნავს პროფესიონალიზმი მე არ მესმის.

რაც შეეხება საზოგადოებამდე მტკივნეული რეფორმის გასაგებ ენაზე მიტანას, რა თქმა უნდა ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ეს რეფორმა ყველა ადამიანისათვის გასაგები იყოს, ეს რეფორმები განხორციელდა საგანგებო სიტუაციებში, ამიტომ ნაკლები ყურადღება დაეთმო ასეთ საკითხებს, თუმცა ამის ასე წარმოჩენისათვის თვით ტელევიზიებსა დიდი როლი ეკისრებათ მათმა რაღაც ელისტურმა დამოკიდებულებამ წარმოშვა საერთოდ ეს პრობლემა.

კითხვები:

მე მაინტერესებს პატარა სახელმწიფოში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. თუ არის შესაძლებელი შეიქმნას ადგილობრივი თვითთმართველობის ეფექტური მოდელი, რომელიც გამორიცხავს სეპარატისტულ საფრთხეს?

აჭარაში პირადი წარმომადგენლის დანიშვნით პრობლემა არ მოგვარდება, თქვენი აზრით თუ არის რაიმე კონკრეტული გეგმა, რომ ასლან აბაშიძის ერთხელ და სამუდამოდ მოშორდეს?

გიგა ბოკერია

? ყველა ქვეყანაში თვითთმართველობა არსებობს. ინგლისშიც კი, რომელიც უნიტარული ქვეყანაა თვითმართველობა არის დამოუკიდებელი. თუ ისინი თავის თავზე აიღებენ უფრო მეტს ვიდრე კონსტიტუციურად აქვთ ამის უფლება, თუ მას უნდა ცალკე გამოყოფდა და ის ცნობს შენს კონსტიტუციას მაშინ ეს არა ლოგიკურია. და თუ ცნო შემოვიდა ერთ თამაშის წესებში მაშინ, ის დამერწმუნეთ ვერასდროს გახდება სუვერენული. დეცენტრალიზაცია არ არის დაშლისკენ გადაგმული ნაბიჯი, ის პირიქით ქვეყნის მთლიანობას უფრო უწყობს ხელს.

ეროვნული უმცირესობების წახალისება სეპარატიზმზე მაშინ უფრო მაღალია, როცა ეუბნებიან თქვენ არაფერს არ წყვიტავთ. როდესაც თბილისში წყდება თუ როდის დაიჭერენ ძროხის ქურდს. ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანებმა იგრძნონ თავი ნაწილად ამ სახელმწიფოში.

სანამ პრეზიდენტი დანიშნავს ხალხს რაიონებში, ყოველთვის იქნება პრობლემები, ინება გაუცხოება, სანამ იქნება ასეთი ტენდენცია, რომ მე ვიცი ვინ იქნება კარგი თელავის გამგებელი და თელაველებმა არ იციან. ეს არის შეურაცხყოფა საკუთარი ამომრჩევლების.

რაც შეეხება აჭარას აქ არაფერი არ არის დასამალი. ასლან აბაშიძის რეჟიმი უნდა დამთავრდეს. უბრალოდ ჩვენ ვთვლით, რომ საუკეთესო გზა ამისა არის არჩევნების გზა. ჩვენ გვინდა ყველა რესურსი ამოიწუროს ამ ადამიანების ჩამოცილებისა, სანამ მივალთ სხვა გზებამდე, ეს არის ჩვენი პოლიტიკა და ამას არ ვმალავთ. ჩვენ არ ვაპირებთ ასლან აბაშიძის რეჟიმთან შეგუებას, სამწუხარო იქნება თუ ჩვენ დაგვჭირდა ძალისმიერი მეთოდები. მაგრამ ჩვენ ამაზე წამსვლელები ვართ უფრო სწორად ჩვენ ვალდებულნი ვართ და წავალთ

ყველაფერზე, რომ საქართველოს პრეზიდენტს ყველგან შეეძლოს გადაადგილება. ეს არჩევნები, გარწმუნებთ, რომ ის სასტიკად წააგებს და ეს იქნება ძალიან კარგი გამოსავალი,

ბაქარ ბერეკაშვილი - პოლიტოლოგიის კათედრის II კურსის სტუდენტი

უფრო კარგი იქნება ვიფიქროთ იმ გეგმების დასახვაზე, რომელიც არსებულ პრობლემებს მოაგვარებს და არა აპელირება იმ საკითხებით, რომ 70 წინ ვიღაც ბოროტი ადამიანები დასხდნენ და მათ ბოროტ საქციელს დღეს ვიმკით?

თქვენ თქვით, რომ ჩვენ ეხლა ვსწავლობთ, მაშინ ჩვენ რა ვქნათ, ვისაც უნდა იმნაირი ადამიანები, რომელსაც ექნება ნასწავლი და არა სწავლის პროცესშია?

დავით ზურაბიშვილი - ? საბჭოთა კავშირ ზე მე შემიძლია გითხრათ, რომ იგი რეალურად დასრულდა 2003 წლის ნოემბერში. იმიტომ, რომ ე. შევარდნაძე ეს იყო საბჭოთა სისტემის მიერ შობილი ადამიანი. შევარდნაძის დროს საქართველო თითქოს იყო ლიბერალური, მაგრამ რეალურად მაშინ სახელმწიფო სისტემა იყო მოშლილი. საბჭოთა რეალობიდან გამოსვლა არ არის ადვილი მითუმეტეს მაშინ როცა მას შემდეგ დიდი დრო არ არის გასული და მაშინ, როცა ხელისუფლებაში გვყავდა ამ სისტემის შობილი ადამიანი.

ძნელია როცა შენ ხარ უშიშროების მუშაკი და შენი ყოფილი უფროსი რუსეთში იყოს იგივე თანამდებობაზე უარი თქვა მასთან კონტრაქტებზე, მეგობრობაზე და უფრო მეტიც ინფორმაციის მიწოდებაზე. ამ ადამიანმა საკმაოდ უმტკივნეულოდ ჩაატარა საკადრო პოლიტიკა და გაათავისუფლა ის ადამიანები,რომლებიც პრაქტიკულად არ იდგნენ სახელმწიფო სამსახურში. რა თქმა უნდა რაღაცა ნასწავლი გვაქვს, რაღაცას აწი ვისწავლით. ჩვენ ახლა ვყალიბდებით, როგორც სახელმწიფო.

გიგა ბოკერია - მე არ მგონია, ხელისუფლება იყოს იმ მდგომარეობაში, როდესაც ხალხს ასწავლის რა ქნას, ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს რა უნდა.

ლიბერალური დემოკრატია არის ასეთი, რამ ეს არის უმრავლესობის მმართველობა შეზღუდული ადამიანების ძირითადი უფლებების, ანუ გადაწყვეტილებებს იღებს უმრავლესობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე უმრავლესობა ვარ და ამიტომ ვინც არ მომეწონება, უნდა ჩამოვახრჩოთ. მაგრამ, თუ ჩვენ ვი??ებთ იმაზე, რამდენ ხანში უნდა დავამთავროთ ეს შეხვედრა ყველაზე სამართლიანი წესი იქნება უმრავლესობის აზრი, ალბათ.

ოლეგ ნამიჩეიშვილი - ფიზიკის პროფესორი:

მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა აბაშიძესთან დაკავშირებით: თუ ობობა მოთვინიერდა, რატომ არ შეიძლება მისი მოთვინიერება თუ ხელიდან მივცემთ საჭმელს. მართლა ასეთი ლოგიკით ხელმძღვანელობს მთავრობა?

- თქვენ იმყოფებით, ფიზიკის კათედრაზე, სადაც მოღვაწეობდა გოგი ალექსანდრია, უსპეტაკესი ადამიანი, მაგრამ იყო კომუნისტი. თქვენ აპირებთ ლუსტრაციის კანონის შემოღებას, მაგრამ როგორ აპირებთ გოგისნაირი ხალხის გარჩევას სხვა ბევრ ნაძირალასაგან.

ნება იმისა, რომ ასლან აბაშიძის რეჟიმი უნდა დამთვარდეს, დიდია და ეს მოხდება. ამას ვამბობთ მართველი ძალის წარმომადგენლები. უბრალოდ აქ ლაპარაკია დროზე, ადგილზე, ჯერ კიდევ არ არსებობს შესაძლებლობები ამოწურული, წინ გვაქვს არჩევნები, რომელიც მეტნაკლები დემოკრატიულობით რომ ჩატარდეს, იგი დამარცხდება. მაგრამ თუ იქნება პირობის დარღვევა და იგი გააგრძელებს იმას, რასაც ამდენ ხანს აგრძელებდა, გაცილებით მკაცრი ზომები იქნება მიღებული.

რაც შეეხება ლუსტრაციის კანონს. ხალხი, რომელმაც ნებით აირჩია,რომ ყოფილიყო რეპრესიული აპარატის წარმომადგენლები. ასეთი ხალხი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მმართველობით აპარატში. ადაიანები, რომლებსაც ჰქონდათ მცდარი მრწამსი ან კომპრომისის გამო შევიდნენ პარტიაში, ასეთ ადამიანებს ეს არ ეხება. დამერწმუნეთ, რომ ძალით არავინ არ ხდებოდა კაგებეს გენერალი ან ცეკას მდივანი, არ არსებობს ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ რა ვქნა, მომიწია, რომ ცეკას მდივანი გამხდარიყავი. ადამიანები, რომლებიც იღვწოდნენ იმისათვის, რომ საკუთარი ხალხის დამმონებული და რეპრესიების ჩამტარებლები იყვნენ ჩემი აზრით, მათ უნდა აგონ სისხლის სამართლებრივი პასუხი. სხვებს, რომლებსაც ნაკლები დანაშაული მიუძღვით, უნდა შევზღუდოთ სახელმწიფო აპარატში მოღვაწეობა. ადამიანებმა, რომლებმაც შეგნებულად გაატარეს მთელი ცხოვრება სხვის ჩაგვრაში და დამონებაში, არ შეიძლება წარმოდგენილნი იყვნენ ახალ საქართველოში, რადგან არ იმსახურებენ ნდობას და ამ პატივს.

კახა ლომაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი:

- როგორ აპირებთ? ყველას სია უნდა გამოქვეყნდეს, თუ დაიბარებთ მათ და ეტყვით, რომ თავი აარიდონ სახელმწიფო სამსახურში საქმიანობას. არიან ადამიანები, იგივე აგენტები, რომლებიც მალავენ თავიანთ წარსულს და როგორ აპირებთ მათ გამოაშკარავებას?

დათო ზურაბიშვილი - ალბათ ხშირად გსმენიათ: გაიტაცეს ან დაწვეს არქივები. ეს, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების ერთ - ერთი ფორმაა. ამას გარდა, არსებობს პრობლემა ნდობისა, ვინც ამას ქმნიდნენ ბოლოს, ანუ ის ფიალები, რომლებსაც ქმნიდნენ, რამდენად ავთენტურია. ანუ ის რეალურად იყო არ იყო აგენტი. მე ხვალვე შემიძლია დავამზადო თქვენზე ფაილი, ე. ი. რაღაც მიწერები იქაც კეთდებოდა პირადი ანგარიშწორების ნიადაგზე. იყო ასეთი შემთხვევა, რომ კგბ -მ თეთრ სახლში შეაღწია და ისინი გავიდნენ კისინჯერზე. როდესაც კისინჯერი თანამდებობაზე დაინიშნა, ავტომატურად მოუვიდა, რომ ლორდი აგენტი ჩვენ თეთრ სახლში პირველად შევაღწიეთ. რა თქმა უნდა, ამას მოჰყვა გამოძიება და გაირკვა, რომ ეს ყველაფერი სიცრუე იყო, ე. ი. განხორციელდა მიწერის მექანიზმი.

ნუკრი ხაჟალია - პოლიტოლოგიის კათედრის 2 კურსის სტუდენტი:

- შევარდნაძის დროს თქვენ ამბობდით, რომ ირღვეოდა ადამიანის უფლებები. როგორ ფიქრობთ, დღეს არ ირღვევა ადამიანის უფლებები და დაფიქრებულხართ. თუ არა იმაზე, რომ ჩვენი ხელისუფლება შეცდომებს უშვებს და თან ძალიან დიდს.

გიორგი ბოკერია - ადამიანის უფლებების მხრივ, ეს პრობლემა დღესაც არსებობს და ამაზე უკვე ვისაუბრეთ. შევარდნაძის რეჟიმისგან განსხვავებით, პრინციპულ;ი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის ერთ - ერთი და ძირითადი უფლება, რომ გვყავდეს ის ხელისუფლება, რომელსაც თვითონ ირჩევს - აი, ეს საკითხი გადაწყდა ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში.

თუ როგორ იქცევიან თვითონ სამართალდამცავი ორგანოები ამ მხრივ, ჩვენ არ გვაქვს პროგრესი და ეს არის მთავრი ამოცანა, რომელიც ჩვენ უნდა გადავწვიტოთ მომავალში, რომ ამ სტრუქტურებმა ისწავლონ და იძულებული იყვნენ იმოქმედონ ისე, რომ ამას არ შეეწიროს ადამიანის ძირითადი უფლებები. რაც შეეხება დაუშვებს თუ არა შეცდომები - ერთ შეცდომაზე მე უკვე მოგახსენეთ, ეს არის საკონსტიტუციო ცვლილებები. რაც შეეხება უსანქციო დაკავებებს, თქვენ თუ გულისხმობთ იმას, რომ სანქციას მერე იღებენ როცა დაიჭერენ, ეს ტექნიკური თვალსაზრისით არ არის კანონდარღვავევა ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა. უბრალოდ, ვადები უნდა იყოსა დაცული. თუ გულისხმობთ, რომ ეს ორგანოები იყენებენ იმავე მეთოდებს, რა მეთოდებსაც იყენებდნენ ადრე, სამწუხაროდ, ეს ასეა. მართალია, შემცირდა ფაქტები წინასწარ დაკავებისას წამების შემთხვევაში. საერთოდ უნდა შეიქმნას პრეცედენტი იმისა, რომ ვის ხელშიც ადამიანი დაიღუპება დაკავების დროს, როგორი მტკიცებულებებიც არ უნდა ჰქონდეს მას, ის უმკაცრესად უნდა იყოს დასჯილი.

ლაშა ბლიაძე - პოლიტოლოგიის კათედრის სტუდენტი:

- რამდენად სამართლიანია ის ფაქტი, რომ „ომეგაში“ შედიან და „ კოკა - კოლაში“ არ შედიან“?

დავით ზურაბიშვილი - საქართველოში რეალურად დაიწყო ბრძოლა

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ. ბონდო შალიკიანის ყველანაირი მცდელობა ჰქონდა, რომ ყოფილიყო ჩვენს პარტიაში და მან ქუთაისში ფრაქციაც კი შექმნა - ნაციონალები. მაგრამ ეს გადაფარა მისმა დანაშაულებრივმა საქმიანობამ და იგი იქნა დაკავებული, კარგი მაგალითია სხვებისათვის ჭკუის სასწავლებლად.

გიორგი ბოკერია - რაც შეეხება „ომეგას“, დიდი ხანია არის ეჭვმიტანილი იმაში, რომ ის არის ბანდიტური დაჯგუფება. ეს ეჭვები საზოგადოებაში გამოიხატებოდა დიდი ხანია, მაგრამ ეს ეჭვები ვერ განხორციელდებოდა, რათა ეს აწყობდა წინა ხელისუფლებას. დღეს ჩვენ აუცილებლად უნდა გავთ ავისუფლდეთ იმ

ხალხისგან, რომლებიც მზად არის და აქვს ამის რესურსები. იარაღით ვაშორებთ ბიუროკრატიულ ორგანოებთან აკონტოლონ ესა თუ ის სეგმენტი ჩვენი ეკონომიკისა და შეუქმნან საფრთხე მოქალაქეებში, თუკი ისინი მათ წინ დადგებიან რაიმე ბიზნეს - ინტერესებიდან. სწორედ ამიტომ „ომეგასნაირი“ კომპანიები იქმნებიან სისხლის სამართლებრივ დევნაში.

- თქვენ ახსენეთ, რომ უმრავლესობის მმართველობა არის მმართველობის საუკეთესო ფორმა, რომ უმრავლესობამ უნდა გადაწყვიტოს ყველა საკითხი, მაგრამ ხომ არსებობს რაღაც მომენტი, რომ ისინი უნდა შეჩერდნენ. თავისუფლება არ ნიშნავს, რომ შენ არ გიჭერენ, თუნდაც ის, რომ არ აყენებდნენ შეურაცხოფას იმ ადამიანებს, რომლებსაც განსხვავებული მრწამსი გააჩნდათ.

დავით ზურაბიშვილი - საბჭოთა კავშირში საერთოდ არ იყო უმრავლესობის მმართველობა. მას მართავდა ძალიან მცირე ჯგუფი - პარტიული ნომენკლატურა.იქ არ არსებობდა არჩევნები, ანუ ის ხალხი არ იყო არჩეული საზოგადოების მიერ, ეს იყო თანამდებობაზე მისული ადამიანები, რომლებიც პრაქტიკულად გადასცემდნენ ხელისუფლებას სხვას. იქ არ არსებობდა ადამიანის უფლებები და პრინციპები. საერთოდ არ არსებობდა თავისუფლება, ამიტომ იქ ვერც უმრავლესობის მმართველობაზე ვილაპარაკებთ და მით უმეტეს, ვერც ამ უმრავლესობის მმართველობის შეზღუდვაზე რაღაც ადამიანთა უფლებების პატივისცემით.

გიორგი ბოკერია - ეს იყო ნომენკლატური მმართველობა. ასე რომ, ამის ანალოგია დღევანდელ სიტუაციასთან, ვფიქრობთ, არასწორია. თქვენ პრაკტიკულად მეუბნებით მე, რომ რაღაც აზრები აღარ ვთქვათ, რისიც გვწამს იმიტომ, რომ შეიძლება ვიღაცას ეწყინოს იგივენაირად მე შემიძლია ვთქვა, რომ ნუ დავსვამთ ასეთ კითხვებს იმიტომ, რომ მე გული მტკივა და ამიტომ ჩუმად იყავით. არ არსებობს უფლება, რომ ერთმანეთი გავაჩუმოთ. არსებობს უფლება, რომ ორივემ ვილაპარაკოთ და მე გარწმუნებთ, რომ ეს მეორე ვარიანტი უკეთესია. მითუმეტეს, თუ უმცირესობაში ვართ. თუ თქვენ დაუშვებთ იმას, რომ თქვა უმრავლესობაში რაღაც საკითხები საწყენია, მოდი გაჩუმდი, თქვენ უფრო ხშირად იქნებით გაჩუმებული, ვიდრე მე. ამიტომ მოდით, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ყველამ ვილაპარაკოთ იმაზე, რისიც გვწამს. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სიტყვები პირდაპირი მოუწოდებს ძალადობას. თქვენ რომ მე მითხრათ, მოდი, არ შეაფასო ის, რაც მე მწყინს, ეს არ არის სწორი.

გიორგი დავრელაშვილი :

- რა გზებით აპირებთ აფხაზეთის დაბრუნებას: ამერიკასთან დაახლოებით თუ რუსეთთან?

- იყო საუბარი „ვეხვისტყაოსნის“ სკოლის პროგრამიდან ამოღების შესახებ.

სოფო გოგილავა, პოლიტოლოგიის კათედრიოს 2 კურსის მაგისტრანტი:

მე არ შემიძლია არ შეგეკითხოთ ბასილ მკალაშვილის შესახებ. ბასილი, მართალია, ჩემში ასოცირდებოდა ძალადობასთან, მაგრამ ნამდვილად არ მოველოდი, თუ ვარდებით მოსული ხელისუფლება მას ძალადობით უპასუხებდა.

დავით ზურაბიშვილი: - წინა ხელისუფლება თითქმის არცერთი კონკრეტული ინიციატივით არ გამოსულა. ჩვენ, რა თქმა უნდა, უნდა დავიწყოთ პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარება. ამისათვის, რა თქმა უნდა, კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს რუსეთთან, ამერიკასთან. ჩვენ ასევე უნდა გვყავდეს კარგი გაწვრთნილი ჯარი, რადგან დაზღვეული არაფრისგან ვართ.
რაც შეეხება „ ვეფხისტყაოსანს“ მე გარწმუნებთ, რომ ეს არის ჭორი და ასეთი რამ არ განხორციელდებოდა

გიგა ბოკერია - თქვენ ახსენეთ, რომ არ მოგწონდათ მკალავიშვილი, რომ ის ძალასთან ასოცირდებოდა. ახლა აღარ მოგეწონათ, რომ სახელმწიფო ძალა დაუპირისპირდა მის ძალას. ახლა ჩვენ რომ შემოგვიცვივდნენ და გვცემონ სახელმწიფო ვალდებულია ეს ადამიანები დაიჭიროს და თუ ისინი წინააღმდეგობას გაუწევენ გაუსწორდნენ ფიზიკურად, უფრო მეტიც რადიკალურ ქმედებებზეც შეიძლება წასვლა, როდესაც ამოწურულია სხვა შესაძლებლობა და ეს პრობლემა საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრიობას. ადამიანი, რომელიც არის ძებნილი უნდა იქნას დაკავებული. ვერავინ ვერანაირი მოტივებით მსოფლიოში ვერ გააჩერებს ხელისუფლებას ამ ქმედების განხორციელებისგან, რა ფარისევლური მოტივებიც არ უნდა მოიყვანონ, რომ იქ დიდი მარხვა იყო

დავით ზურაბიშვილი - მთავარი არგუმენტი, მე მიკვირს, რომ თქვენ არ წაუყენეთ ხელისუფლებას, რომ ამ ოპერაციის განხორციელება შეიძლებოდა ერთი დღით ადე სხვაგან და ამას არ მოჰყვებოდა არც ის მსხვერპლი და არც ის აჟიოტაჟი, რაც მიჰყვა. იქ ასე არ მომხდარა, რომ პირდაპირ მივარდნილიყვნენ. ჯერ იყო შეთავაზება, რომ ჩაბარებულიყო როგორც ძებნილი, მაგრამ ეს მათ გააკეთეს.

გიგა ბოკერია - მე მოვძებნი იმის ახსნასაც, რატომ იყო ვალდებული ხელისუფლება მიემართა ასეთი არაპოპულარული ოპერაციისათვის, რომ რის აჭარა, რა აფხაზეთი - აგერ კანცელარიასა და გლდანს შორის დაპირისპირებას ვერ წყვიტავს ხელისუფლება. კაცი, რომელიც სისხლის სამართლის დამნაშავეა, აშკარად იძახის, რომ მე აქა ვარ, მყავს 120 კაცი და აქ მოსვლას ვერ გაბედავთ. მას რომ ნდომებოდა ჩაბარება, ის ამას გააკეთებდა. რის შესაძლებლობაც ჰქონდა. ვინ წაწყმინდა მისთვის ეს წმინდა სალოცავი, რომ არა მაშინ, როდესაც ეს სალოცავი მათ გამოიყენეს იმისათვის, რომ პოლიციას იქ შეეღწია. ყველა დამრღვევი და ყველა მოძალადე, როგორი სპეკულირებაც არ უნდა მოახდინოს დღეს, როგორი წამგებიანიც არ უნდა იყოს ეს ხელისუფლებისათვის და როგორი ძალის გამოყენებაც არ უნდა დაგვჭირდეს, იქნება დასჯილი და თანაც სამაგალითოდ.

პროექტის ავტორები

ლევან პაჭკორია
ლაშა ბლიაძე
ბაქარ ბერეკაშვილი

დიალოგიო წინასაარჩევნო პერიოდში
პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსა
და საზოგადოებას შორის

თბილისი
2004

ტექნიკური უზრუნველყოფა - კახა რევიზიშვილი

WWW.el te.ge